საჯარო ბიბლიოთეკა

მეექვსე წელიწადი

[illegible]

კომუნისტი

საქართ. კომუნისტურ პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტის
და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცენტრ. აღმასკომის
ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 24, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა, 10—11 ს.
ტელეფონები: რედაქტორის 14—76, მდივნის 10—58

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 24; მეორე სართული, ტელეფონი № 10—49
ხელის მოწერის ფასი: მუშა-მოსამსახ. 90 კაპ., დანარჩენებისათვის—1 მ. და 20 კ. ხელისმომწერნი მიიღებენ ჟურნალ „დროშას" და „მეცნიერება და ტეხნიკას". განცხადებები: ნონპარელის სტრიქ.—40 კ., ტექსტში ორჯერ მეტი. სამგლოვიარო —10—15—20 მან. დოკუმენტების დაკარგვა—1 მ., განცხადებების მიღება 3 ს.-დე.
ექსპედიციის ტელეფ. 5—43, სტამბის ტელ. 13—80.

დღიური

- საბჭოთა კავშირი მიწვეულია საერთაშორისო სარკინიგზო კონფერენციაზე.
- საფრანგეთის პალატა დუმერის საფინანსო პროექტებს ცივად შეხვდა.
- ინგლისის მაღაროების მეპატრონეები მოითხოვენ სამუშაო დღის გადიდებას.
- ბუქარესტში გაიხსნა რუმინეთის რეფორმისტული პროფკავშირების ყრილობა.
- უნგრეთის მთავრობამ შესწყვიტა ყალბი ფულის მკეთებელთა საქმის გამოძიება.

ხუთშაბათი, 14 იანვარი 1926 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 10 (1465)

ამიერ-კავკასიის ცაკის მე-2 სესია

ამიერ-კავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის მე-2 სესია მოწვეული იქნება 1926 წ. 25 იანვარს

ქ. ერევანში

დღის წესრიგი:

1. ამიერ-კავკასიის მთავრობის მოხსენება.
2. სომხეთის მთავრობის მოხსენება.
3. ამიერ-კავკასიის სამეურნეო მდგომარეობის შესახებ.
4. ღონისძიებანი ამიერ-კავკასიაში გლეხური მეურნეობის გასაუმჯობესებლად და ასაღორძინებლად.
5. ამიერ-კავკასიის 1925—26 წლ. ბიუჯეტი.
6. ამიერ-კავკასიის ფედერაციის კონსტიტუციაში დამატების შეტანა საბიუჯეტო უფლებების შესახებ.
7. ადგილობრივ მნიშვნელობის ტყეების და საბჭოთა მეურნეობების შესახებ.
8. ამიერ-კავკასიის ცაკის პრეზიდიუმის მიერ ამიერ-კავკასიის ცაკის სესიების შუალედში მიღებულ დეკრეტების დამტკიცება.

ამიერ-კავკასიის ცაკის მდივანი—**ა. შავერდოვი**

მიპატიჟება ჟენევაში

როგორც ვიცით, ჩვენი მთავრობა მიიპატიჟა ეგრეთწოდებულმა ერთა ლიგამ იმ კომისიაში მონაწილეობის მისაღებად, რომელმაც ნიადაგი უნდა მოუმზადოს კონფერენციას შეიარაღების განსაზღვრის და შემცირების შესახებ. ამ ლიგასთან ჩვენ საკმაოდ გულგრილი დამოკიდებულება გვაქვს. ჩვენ ისიც კი არ გვჯერა, რომ მას შეეძლოს თუნდაც მისივე წევრების მეტოქეობის ალაგმვა განიარაღების დარგში. მაგრამ ჩვენ, რომლებიც ყოველ სახელმწიფოზე უფრო მეტად ვართ დაინტერესებული მშვიდობიანობით, არ უნდა ვუქცევდეთ გვერდს თუნდაც ასეთ პატარა შესაძლებლობას ამ საკითხის დასაძრავად გაყინულ წერტილიდან. ჩვენ რომ ვყოფილიყავით ძალიან მგრძნობიარენი და თავმოყვარენი, იმჟამად მიღებულ მიპატიჟებაზე შეგვეძლო გვეპასუხა ცივი უარით.

მაგრამ ჩვენ ამას არ ვიზამთ ყველა იმათ ჯინაზე, რომლებიც სპეკულიაციას ეწევიან ყოველგვარი უარის შესაძლებლობაზე ჩვენის მხრივ, რაც მათ ახალ საბაბს მისცემდა ეყვირათ საბჭოთა მილიტარიზმზე და იმპერიალიზმზე. ჩვენ, რასაკვირველია, გავგზავნით ჩვენს წარმომადგენლებს ამ თათბირზე, თუ...

თურმე, მიპატიჟებაში, რომელიც მოკრძალებით გამოგვიგზავნა ჟენევის მშვენიერმა არსებამ, არის პატარა ოინი. ის ჩვენ გვინიშნავს „პაემანს" თავის სახლში, სადაც, როგორც მან იცის, ჩვენ სიტყვა მივეცით ჩვენ თავს არ დავდგათ ფეხი, სანამ შვეიცარიის მესვეურები არ დაგვაკმაყოფილებენ იმ სისხლიან ეპიზოდისათვის, რომელსაც ადგილი ჰქონდა შვეიცარიის ტერიტორიაზე 1923 წელს.

ჩვენ, რასაკვირველია, სახეში გვაქვს ვოროვსკის, ლოზანის კონფერენციაზე ჩვენი ოფიციალური დელეგატის მოკვლა. ნუთუ ფიქრობს ერთა ლიგა, რომელიც გვეპატიჟება ჩვენ ჟენევაში, რომ ჩვენ დავივიწყეთ მაშინ ჩვენს მიერ გამოცხადებული ბოიკოტი იმ ქვეყნისადმი, რომლის მთავრობამ დაუშვა ასეთი ვერაგული მკვლელობა და არც კი გაისაჯა წესისამებრ ბოდიში მოიხადა ამისათვის? ან და შეიძლება ლიგა განზრახ სჩადის ამას, რადგან ფიქრობს, რომ ჩვენ უარს ვიტყვით იქ წასვლაზე და ამ უარს ის გამოიყენებს იმისათვის, რომ სახელი გაგვიტეხოს განიარაღების მომხრეების თვალში!

ჩვენ გადაჭრით ვაცხადებთ, რომ არ დაგვიწყებია ვერაგობა, რომელიც მოხდა შვეიცარიის ტერიტორიაზე, არ დაგვიწყებია შვეიცარიის მთავრობის უყურადღებობა, და რომ აგრეთვე ჩვენ არ დავუშვებთ იმ პროვოკაციას, რომელიც სურთ გამოიწვიონ იმ შემთხვევაში, თუ ჩვენ უარს ვიტყვით ჟენევაში წასვლაზე.

თუ ლიგის მოღვაწეებს, თუ უცხოეთის ზოგიერთ სახელმწიფოებს მართლაც აინტერესებთ განიარაღების პრობლემების დამუშავების საქმეში ისეთი ვეებერთელა სახელმწიფოს თანამშრომლობა, როგორსაც ჩვენ წარმოვადგენთ,—მათ უნდა განუმარტონ შვეიცარიის მთავრობას, რომ უცხოეთის წარმომადგენლის მკვლელის დაუსჯელად დატოვება არ შეიძლება და რომ აქედან წარმოშობილ კონფლიქტების სასწრაფოდ აღმოფხვრა შეადგენს თვით შვეიცარიის მთავრობის ინტერესს.

ჩვენს კავშირს შეუძლია დაიცადოს, როგორც დაიცადა დღემდე.

„პრავდა".

მოსკოვი, 13 იანვარი.

დავალიანება ხელფასის დარგში

სამეურნეო (საბიუჯეტო) წლის პირველი მეოთხედი უკვე დამთავრდა. 1926 წ. 1 იანვრიდან ჩვენ ვიწყებთ მეორე მეოთხედს და ამიტომ ჩვენ დროულად მიგვაჩნია მივაქციოთ ყურადღება იმას, რა მდგომარეობაშია ხელფასის გასტუმრების საქმე ჩვენში: არიან თუ არა ისეთი მუშაკები, რომლებსაც არა თავის დროზე ეძლეოდათ ხელფასი და ამ ნიადაგზე წარმოიშვა დავალიანება.

წინა წლების გამოცდილებიდან ჩვენ უნდა გვეშინოდეს, რომ წელსაც ჩვენში ადგილი ექნება დავალიანებას ხელფასის გასტუმრების საქმეში. ამიტომ თავის დროზე საჭიროა მიღებული იქნას ზომები—ე. ი. მოისპოს ის მიზეზები, რომელიც იწვევს არანორმალურ მოვლენას.

ეხლა უკვე თითქმის არ არის შემჩნეული დავალიანება წარმოებებსა და დაწესებულებებში, რომლებიც სამეურნეო ანგარიშზე იმყოფებიან, ზოგიერთ ადგილას შემჩნეულია ხელფასის გასტუმრების დაგვიანება. მაგრამ ეს ყველაფერი ადვილად მოისპობა, ასე რომ დავალიანებაზე ზედმეტია ლაპარაკი.

სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებებშიაც არაა შენიშნული ის ქრონიკული დავალიანება, რასაც ადგილი ჰქონდა ახლო წარსულში. თვითეულ უწყებას (სახ. კომისარიატს) აქვს დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვა, უნდა იცხოვროს ამ ხარჯთაღრიცხვის მიხედვით და არ უნდა გასცილდეს მის ფარგლებს. შტატი და ხელფასი ამ დაწესებულებებში სასტიკადაა განსაზღვრული და ხელფასის ფონდი ნავარაუდევია მთელი წლით.

სულ სხვა მდგომარეობაშია ადგილობრივი ბიუჯეტი ე. ი. მაზრების ბიუჯეტი. აქ ხელშემწყობი პირობებია ხელფასის გასტუმრების დაგვიანებისათვის, რაც ბოლოს და ბოლოს გადადის დავალიანებაში.

რა მიზეზები უწყობს ამას ხელს?

გასამრჯელოს მიცემა სწარმოებს არა იმ ნორმებით, რომელიც გათვალისწინებულია ბიუჯეტით, ძალიან ხშირად იგი გაცილებით უფრო მეტია და ამგვარად ხელფასის ფონდი, რომელიც ნავარაუდევია განსაზღვრულ დროისთვის (ვსთქვათ 6 თვით) იხარჯება უფრო ადრე და მაშასადამე ადგილი აქვს ხელფასის ფონდის ნაკლებობას.

ადგილებზე ძალიან ბევრი მოთხოვნილებაა (აღმშენებლობა, ჯანმრთელობის დაცვა, სანიტარია და სხვ.). რა თქმა უნდა, ცალკე მაზრის ბიუჯეტში ასეთი საჭიროებისათვის ხარჯების სავსებით დამტკიცება შეუძლებელია და ამა თუ იმ მიზეზით, ცალკე აღმასკომი ხარჯავს ამ საჭიროებაზე (ბიუჯეტით გაუთვალისწინებელ საჭიროებებზე) განსაზღვრულ თანხებს, ეს თანხები იხარჯება (რა თქმა უნდა არა ყოველთვის) ხელფასის ფონდიდან იმ იმედით, რომ შემდეგ იგი რაიმე საშუალებით დაიფარება. ამ დროს ხდება ხელფასის გასტუმრების დაგვიანება და თუ ეს მდგომარეობა დიდხანს გაგრძელდა, ადგილი აქვს დავალიანებას.

სადოტაციო თანხების გაცემა სწარმოებს არა თავის დროზე და არა მთლიანად და ეს პირველ ყოვლისა გავლენას ახდენს ხელფასის დაგვიანებაზე.

შეიძლებოდა კიდევ აღგვენიშნა მთელი რიგი მიზეზები, მაგრამ ჩვენ დავკმაყოფილდებით უმთავრესის აღნიშვნით.

ხელფასის დაგვიანებით ან ნაწილობრივ (ავანსების სახით) გაცემას შედეგათ მოსდევს ჩვეულებრივად შრომის ნაყოფიერების დაცემა და ეს განსაკუთრებით სასურველი არ არის მაზრებისათვის, სადაც მუშაკების უმთავრეს მასას შეადგენენ კომუნალურ და ადმინისტრატიულ აპარატის, საექიმო-სასანიტარო მუშაკები, მასწავლებლობა და სხვ.

ადგილობრივმა მუშაკებმა (ხელმძღვანელებმა) ეს უნდა გაითვალისწინონ და მიიღონ ყოველგვარი ზომები სათანადო სახელმწიფო ორგანოების (შრომის, მუშათა და გლეხთა ინსპექციის, ფინანსთა სახ. კომისარიატების) საშუალებით, და აგრეთვე აღმოფხვრან მათზე დამოკიდებული მიზეზები, რათა ჩვენში ადგილი არ ექნეს წელს დავალიანებას ხელფასის გასტუმრების მხრივ.

ი. მუს.

სოციალისტური მშენებლობის გზები

ამხ. რიკოვის მოხსენება წყალზე მომუშავეთა პროფკავშირების ყრილობაზე

ახალი ეკონომიური პოლიტიკის საფუძველზე ჩვენ ვაშენებთ ნამდვილათ სოციალისტურ სახელმწიფოს

მრეწველობაში უახლოვდებით მშვიდობიანი დროის დონეს, კოოპერაციამ და სახელმწიფო ვაჭრობამ ახალი მტკიცე პოზიციები მოიპოვეს

მუშათა კლასის და გლეხობის მთავარი მასის აქტივობასთან ერთად იზრდება მუშათა კლასისადმი მტრულად განწყობილი ელემენტების აქტივობაც

უდიდესი პოლიტიკური და ეკონომიური მნიშვნელობა აქვს მრეწველობის შემდგომ განვითარებას, მუშათა კლასის რაოდენობის, შეკავშირების და შეგნების ზრდას და გლეხობასთან კავშირის კიდევ უფრო განმტკიცებას

მოსკოვი, 13 იანვ. წყალზე მომუშავეთა საკავშირო ყრილობაზე 10 იანვარს ცეკას დავალებით მისასალმებელი სიტყვა წარმოსთქვა რიკოვმა.

ჩვენი პარტია მომავალშიც მტკიცე და მთლიანი იქნება.

კომუნისტურმა პარტიამ,—ამბობს რიკოვი,—რევოლიუციონური ბრძოლით ათეული წლების განმავლობაში თავის რიგებში დარაზმა მუშათა კლასის ყველაზე უფრო მტკიცე, ურყევი, მედგარი და ბრძოლის ცეცხლში გაკაჟებული ელემენტები. მუშათა კლასის ეს მოწინავე ფენა, რომელიც შეადგენს კომუნისტური პარტიის საძირკველს, ეჭვს გარეშეა, მეთოთხმეტე ყრილობის შემდეგაც გამოიჩენს იმ დისციპლინას, მთლიანობას და განუყოფლობას, რომლითაც ყოველთვის განირჩეოდა ჩვენი პარტია.

ჩვენ ვაშენებთ სოციალიზმს.

პარტიის მეთოთხმეტე ყრილობის გადაწყვეტილებებში უმნიშვნელოვანესად უნდა ჩაითვალოს ის, რომ მუშათა კლასი ხანგრძლივ შესვენების პირობებში იწყებს ნამდვილი სოციალიზმის აღმშენებლობას ახალი ეკონომიური პოლიტიკის საფუძველზე. ყრილობამ შეიმუშავა მუშაობის მეთოდი და ბრძოლის საშუალებანი, რომლებიც მუშათა კლასმა უნდა იხმაროს სოციალისტური აღმშენებლობის ამ გადამწყვეტ ეპოქაში.

დაბრკოლებები.

მეთოთხმეტე ყრილობას სრულებითაც არ დავიწყებია ის უამრავი დაბრკოლება და საფრთხე, რომელიც სდგას მუშათა კლასის წინაშე ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის აღმშენებლობის დროს. მთავარი საფრთხე, რომელიც გამომდინარეობს ყველა ამ დაბრკოლებებიდან მდგომარეობს იმაში, თუ რამდენათ შესძლებს მუშათა კლასი კავშირის დამყარებას გლეხთა ძირითად მასებთან და მშრომელი ელემენტების ჩაბმას სოციალიზმის აღმშენებლობის საქმეში. აქედან წარმოიშვა დისკუსია კოოპერაციის მნიშვნელობის შესახებ, საშუალო გლეხთან დამოკიდებულების შესახებ, მრავალმილიონიან გლეხობის სოციალისტურად დაპყრობის მეთოდების შესახებ. სიძნელე, რომელიც სდგას მუშათა კლასის წინაშე სოციალიზმის აღმშენებლობის სფეროში, მეტად მნიშვნელოვანია და არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება მათთვის ხელის დაფარება. მაგრამ ეს სიძნელენი ვერავითარ შემთხვევაში ვერ შესცვლიან იმ მიზანს, რომელიც დასმულია ისტორიის მიერ მუშათა კლასის წინაშე და რომელიც განსაზღვრავს მთელი კლასის წინაშე და რომელიც განსაზღვრავს მთელი ჩვენი მუშაობის შინაარსს.

უპარტიო მუშები ჩვენთან არიან.

ამას წინად მე მქონდა საუბარი მთავარ საკითხზე—ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის აღმშენებლობის შესახებ უპარტიო მუშებთან, რომელთაც უბრალო მუშური ენით დაახლოებით ასე ჩამოაყალიბეს ეს საკითხი: „აქ სადაოც კი არაფერია, რადგან, თუ ვინმე ამტკიცებს, რომ შეუძლებელია სოციალიზმის შენება ჩვენს ქვეყანაში, მაშინ რა საჭიროა ოქტომბრის რევოლიუციის და მუშათა კლასის დიქტატურის დაცვა". მეთოთხმეტე ყრილობის გადაწყვეტილებანი სოციალიზმის აღმშენებლობის და ჩვენი ქვეყნის სოციალისტური განვითარების გზების შესახებ გამოხატავს მუშათა კლასის აზრს. მუშათა კლასი სოციალისტურ საზოგადოებას აშენებს ძალების მაქსიმალური დაძაბვით. ის ხშირად განიცდის მრავალგვარ გაჭირვებებს, მაგრამ მაინც თითო აგურით და თანდათანობით უყრის საფუძველს სოციალისტური შენობის საძირკველს. მუშათა კლასის დიქტატურა სწორედ იმაში გამოიხატება, რომ მუშათა კლასი აშენებს არა ბურჟუაზიულს, არამედ სოციალისტურ საზოგადოებას. ყოველი დავას; რომელსაც ადგილი ჰქონდა მეთოთხმეტე ყრილობამდე და თვით მეთოთხმეტე ყრილობაზე, საფუძვლად ედო მისწრაფება იმ მომძრავებელ ძალების და დასაყრდენო პუნქტების გამორკვევისა, რომელთა საშუალებით უნდა იქნეს აშენებული სოციალისტური საზოგადოება.

მომენტის დამახასიათებელი მოვლენები.

როგორ პერიოდს განვიცდით ჩვენ ეხლა ეკონომიკის სფეროში? მეთოთხმეტე ყრილობაზე ეს პერიოდი აღნიშნულ იქნა, როგორც „ახალი ეკონომიური პოლიტიკის ხაზით შეტევის პერიოდი". ეს შეტევა მეურნეობაში და კერძოთ, მრეწველობაში გამოიხატა ომამდის არსებულ დონესთან მიახლოვებაში, ვაჭრობის სფეროში კი—კოოპერაციის და სახელმწიფო ვაჭრობის მიერ ახალი მტკიცე პოზიციების დაპყრობაში. პირველად იქნა დასმული მთელი სიგრძე სიგანით საკითხი სასოფლო-მეურნეობის სოციალურ ფარგლებში მომწყვდევის შესახებ კოოპერაციის საშუალებით. კოოპერაციის გამარჯვება არ არის იმდენათ მნიშვნელოვანი, როგორც ეს ჩვენ ყველას გვსურს, მაგრამ პარტიის მიერ შარშან [illegible] შემუშავებული ძირითად დირექტივების განხორციელებისათვის ჩვენ ჯერ არ გვქონია საკმაო დრო. ქვეყნის საერთო ეკონომიური აღორძინება დაეტყო ქვეყნის მთელ პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებას. მუშათა კლასის და გლეხობის ძირითადი მასის პოლიტიკური აქტივობის ზრდასთან ერთად ხდებოდა მუშათა კლასისთვის მტრული ელემენტების აქტივობის ზრდა. ეს ელემენტებია ქალაქში—ნეპმანი, სოფლად კი—კულაკი.

სოციალური დასაწყისი იზრდებოდა შედარებით უფრო სწრაფად, ვინემ კერძო კაპიტალისტური დასაწყისი, მაგრამ ობსოლიუტურ ციფრების მიხედვით კერძო კაპიტალი მაინც გაიზარდა.

მასების აქტივობის ზრდა

მასების აქტივობის ზრდა სოციალისტური აღმშენებლობის ამ ახალ პერიოდში არის არა მარტო აუცილებელი, არამედ საჭირო მოვლენაც ამ ზრდის წაქეზება საჭიროა სწორედ იმიტომ, რომ ბიუროკრატიული გზით სოციალიზმს ვერ ააშენებ: მასების აქტივობა, მათი კულტურის შეგნების და დარაზმულობის ზრდა წარმოადგენს სოციალისტური აღმშენებლობის უპირველეს და უმნიშვნელოვანეს პირობას.

ვინ გაიმარჯვებს

საკითხი მდგომარეობს იმაში, თუ ვინ მოიგებს ბრძოლაში—მუშათა კლასი, რომლის ხელშია მრეწველობა, ტრანსპორტი და ბანკები თუ ნეპმანი, რომელსაც გლეხისთვის მოაქვს კერძო საკუთრების აღდგენა მიწაზე და კაპიტალიზმის განვითარება სასოფლო მეურნეობაში. საკითხი მდგომარეობს იმაში, თუ ვის გაჰყვება გლეხობის უმთავრესი მასა. ამ საკითხზეა დამოკიდებული ოქტომბრის რევოლიუციის და ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის აღმშენებლობის ბედი. ამიტომ უდიდესი პოლიტიკური და ეკონომიური მნიშვნელობა აქვს მრეწველობის შემდგომ განვითარებას, მუშათა კლასის რაოდენობის, შეგნების და დარაზმულობის ზრდას და მის მტკიცედ დაკავშირებას გლეხობასთან.

ჩვენი ამოცანები

თქვენი ყრილობა შეიკრიბა იმ მომენტში, როცა მთავრობა სწყვეტს ქვეყნის სამეურნეო ზრდის უძნელეს საკითხებს, ახდენს რა ამ ზრდის და განვითარების ზოგიერთი სენის ლიკვიდაციას. ჩვენს წინაშე სდგას ამოცანა—გამოვარკვიოთ, რამდენათ მოვახერხებთ ჩვენ წინ წაწევას მიმდინარე წელს, რამდენათ მნიშვნელოვანია ის შეცდომები, რომლებსაც ადგილი ჰქონდა მიმდინარე წლის შემოდგომაზე. ჩვენი შეცდომები უმთავრესად გამოწვეულია იმით, რომ, ბაზა მრეწველობის აღდგენისათვის—სახალხო მეურნეობის ბაზარი აქამდის არ არის სათანადოთ მოწესრიგებული და შესწავლილი. ჩვენ შეცდომებს საფუძვლად უდევს გლეხური მეურნეობის და გლეხური ბაზრის არა საკმაოდ ცოდნა.

ჩვენი მეურნეობა განვითარდება დამოუკიდებლათ იმ სამეურნეო დაბრკოლებებისაგან, რომლებიც ჩვენ გადაგვეღობა წინ. ეხლანდელი დაბრკოლებები ნიშნავს მხოლოდ იმას, რომ შეტევითი მოძრაობა რამოდენიმეთ შენელებული იქნება.

წყალის ტრანსპორტის როლი.

ამ შეტევითი მოძრაობაში მნიშვნელოვანი როლი უნდა ითამაშოს ჩვენი კავშირის წყლის ტრანსპორტმა. წყლის ტრანსპორტმა და წყალზე მომუშავეთა კავშირმა უნდა გვიჩვენონ, რომ მეურნეობის სწრაფი განვითარების ამ პერიოდში ისინი შესძლებენ თავისი სამეურნეო მუშაობის წარმოებას ისეთივე აღფრთოვანებით, როგორითაც ისინი მონაწილეობდენ თავის დროზე სამოქალაქო ომში და იცავდენ ტრანსპორტს დასავლეთ-ევროპის კაპიტალისტებისაგან. წყალზე მომუშავეთა პროფკავშირმა უნდა გაამართლოს თავისი რეპუტაცია—მუშათა კლასის ერთ-ერთ ყველაზე უფრო მთლიანი და დისციპლინარული პროფკავშირის რეპუტაცია.

კამპანია მშვიდობიანობისთვის

ლონდონი, 12 იანვ. არტურ პონსონბი, ინგლისის პარლამენტის წევრი, გარეშე საქმეთა მინისტრის ამხანაგი მაკდონალდის მთავრობაში სათავეში ჩაუდგა ინგლისში ამჟამად წარმოებულ კამპანიას ზავისთვის.

პონსონბიმ დასწერა საბუთი, რომელიც ცნობილია „ზავის წერილების" სახელწოდებით; ამ საბუთზე ხელი მოწერილი აქვს უკვე რამდენიმე ათას კაცს. ხელის მოწერის გასაგრძელებლად პონსონბი კამპანიას აწარმოებს მთელს ინგლისში.

პონსონბის წერილში აღნიშნულია, რომ ისინი ვინც იმაზე ხელს აწერენ, უარს ამბობენ იმ მთავრობისთვის მხარის დაჭერაზე, რომელიც სადაო საკითხების გადაჭრას იარაღით მოინდომებს. განზრახულია ამ მასიურ განცხადების წარდგენა ბალდვინისთვის.

საახალწლო კამპანია ზავისთვის დაიწყო დიდი დემონსტრაციით ლონდონის აღმოსავლეთ ნაწილში, ბოუში. პონსონბიმ თავის სიტყვაში ამ დემონსტრაციაზე განაცხადა, რომ უდიდესი სამსახური, რომელიც მას შეუძლია სოციალიზმს გაუწიოს, არის [illegible] თავიდან [illegible] ქვეყანას ყოველგვარი ომის საფრთხე. შემდეგ პონსონბიმ განაცხადა, რომ უმთავრეს საჭიროებას წარმოადგენს დღეს სოციალური გადახალისება, რომლის განხორციელებას მთელი ძალები უნდა მოვახმაროთ.

ჯორჯ ლენსბერიმ, რომელიც იმავე მიტინგზე გამოვიდა, განაცხადა, რომ ვწუხვარ, რომ საშუალება არ მაქვს გავწიო პროპაგანდა უშუალო სამხედრო ნაწილებში. საქმე იმაში კი არაა, რომ არ უნდა ვესროლოთ გაფიცულებს, არამედ იმაში, რომ სრულებით არაა საჭირო სროლაო.

„სალდათები, მეზღვაურები და მფრინავები, განაცხადა მან, ამჟამად წარმოადგენენ ამომრჩევლებს. თემთა პალატაში ოფიცრები, დაწყებული უფროს ოფიცრიდან უმცროსამდე, მონაწილეობას იღებენ საკანონმდებლო მუშაობაში. ზოგი მათგანი კონსერვატორია, ზოგი—ლიბერალი, ზოგიც—სოციალისტი. რა დანაშაულობაა ისეთმა კაცმა, როგორც მე ვარ, პროპაგანდა გავსწიო სოციალიზმისთვის თუ კომუნიზმისთვის უბრალო მასაში? უბრალო სალდათს ისეთივე უფლება აქვს იყოს კომუნისტი, როგორც საადმირალოს პირველ ლორდს—იყოს კონსერვატორი".

ლენსბერის საახალწლო მიმართვაში ჯარის და ფლოტის ყველა ნაწილების ყველა სალდათებისადმი და მეზღვაურებისადმი, ნათქვამია:

„უარი სთქვით იარაღისადმი რწმენაზე. გახსოვდეთ, რომ, თუ მუშები არასოდეს არ იომებენ, მუშების წინაამდეგ არასოდეს ომი აღარ იქნება.

ადგილობრივი სარევიზიო კომისიები

სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტის შესრულებაზე თვალ-ყურის დევნება დაკისრებული აქვს ფინსახკომის საფინანსო კონტროლს, რომელიც ატარებს თავის მუშაობას რესპუბლიკის და მაზრის ფარგლებში. საქმის ასეთი დაყენება გამოწვეული იყო თვით საკონტროლო აპარატის სიმცირით. ამას ის უარყოფითი შედეგი მოსდევდა, რომ სარაიონო ან სათემო ბიუჯეტები თითქმის სრულიად უთვალყუროთ სრულდებოდა, ვინაიდან ფინსახკომის აპარატი კანტროლს წარმოებას ტეხნიკურად ვერ ახერხებდა. მთავარი ნაკლი კი ასეთი მდგომარეობის ის იყო, რომ გლეხკაცობის ფართე მასსა ვერ ღებულობდა მონაწილეობას ადგილობრივ საშუალებათა გამოყენების საქმეში, მას არ ჰქონდა საშუალება თვალყური ედევნებია ადგილობრივი აღმასკომის მიერ ბიუჯეტის მიზანშეწონილი და კანონიერი შესრულებისათვის.

სწორედ ამ გარემოებამ გამოიწვია აუცილებლობა ისეთი საკონტროლო აპარატის მოწყობის, რომელშიც მშრომელი გლეხობა უშუალოთ მიიღებდა აქტიურ მონაწილეობას და ექნებოდა რევიზიის მოხდენის შესაძლებლობა ბიუჯეტის შესრულების საქმეში. ამ გზით უფრო მიზანშეწონილად იქნება გამოყენებული ადგილობრივი საშუალებები და მოსახლეობა უფრო მჭიდროთ დაუახლოვდება სახელმწიფო აპარატს და უფრო უშუალო მონაწილეობას მიიღებს საბჭოთა აღმშენებლობაში.

ასეთ კონტროლის საუკეთესო ფორმათ მიჩნეულია სარაიონო და სათემო სარევიზიო კომისიები, რომელთაც ევალებათ თავის მუშაობის შედეგებზე გააკეთონ მოხსენებები გლეხთა ფართო კონფერენციებზე.

ყველა პირთ და ხელისუფლების ორგანოებს ევალებათ ხელი შეუწყონ აღნიშნულ სარევიზიო კომისიებს მათზე დაკისრებულ მოვალეობის უფრო ნაყოფიერად ჩატარების საქმეში, ხოლო რაც შეეხება ფინსახკომის საფინანსო-საკონტროლო განყოფილების თანამშრომლებს, ისინი ვალდებულნი არიან თვალყური ადევნონ ამ სარევიზიო კომისიების სწორად შედგენას და თავის გამოცდილებით და ცოდნით ყოველ მხრივათ დაეხმარონ მათ, რისთვისაც საჭიროა იხელმძღვანელონ შემდეგი დებულებით:

კომისიებს ირჩევენ საბჭოთა სარაიონო ყრილობებზე 3 წევრის და 2 კანდიდატის შემადგენლობით, ვადით მორიგ ყრილობის მოწვევამდე. კომისიის წევრებათ შეიძლება არჩეულ იქნენ, როგორც ყრილობის წევრნი, ისე სხვა მოქალაქენიც, თუ მათ მინიჭებული აქვთ საარჩევნო უფლებები.

სარაიონო ან სათემო აღმასკომის წევრები და მათი კანდიდატები, ან ის პირნი, რომელთაც ხსენებულ აღმასკომებში უჭირავთ საპასუხისმგებლო თანამდებობანი, შეიძლება არჩეულ იქნენ სარევიზიო კომისიის წევრათ მხოლოდ ერთი წლის გასვლის, დღიდან მათ მიერ აღნიშნულ თანამდებობის ან აღმასკომის წევრობის და კანდიდატობის მიტოვებისა.

სარევიზიო კომისია ირჩევს თავის შემადგენლობიდან თავმჯდომარეს. კომისიას არ ჰყავს თავის განსაკუთრებული მუშა-აპარატი, საჭიროების დროს იგი სარგებლობს აღმასკომის აპარატით.

სარევიზიო კომისიები, მათზე დაკისრებულ მოვალეობის აღსასრულებლად, არკვევენ, თუ რამდენად სწორად იყო გამოყენებული ადგილობრივი საშუალებანი და იყო თუ არა ასეთები შეთანხმებული დამტკიცებულ ბიუჯეტთან და საბჭოთა ყრილობის მიერ სარაიონო და სათემო აღმასკომებისათვის მიცემულ დირექტივებთან.

სარევიზიო კომისიები შედიან იმის განხილვაში, თუ რამდენად მიზანშეწონილი და სასარგებლოა ესა თუ ის წარმოებული სამეურნეო ოპერაცია და თუ რა მდგომარეობაშია სარაიონო ან სათემო აღმასკომების განკარგულებაში მყოფი ფულადი ან ნივთიერი საშუალებანი.

სარევიზიო კომისიას უფლება აქვს: შეამოწმოს სარაიონო ან სათემო აღმასკომის გამგებლობაში მყოფი მასალა, ქონება, თანხები და მათ მიერ წარმოებული საამშენებლო, დამზადებითი და სხვა სამეურნეო ოპერაციები; გამოიკვლიოს აღმასკომის გამგებლობაში მყოფ დაწესებულებების და წარმოებათა მდგომარეობა და ამოწეროს მათ დავთრებიდან და წიგნებიდან საჭირო ცნობები: გადაათვალიეროს სარაიონო და სათემო აღმასკომების და მათ ქვემდებარე დაწესებულებათა და წარმოებათა დავთრები, ანგარიშები და საბუთები, რომლებიც ეხებიან ადგილობრივ ბიუჯეტის ასრულებას; თუ საჭიროება მოითხოვს, მოიწვიოს საფინანსო-საგადასახადო ნაწილთა გამგენი, ანგარიშების შემდგენელნი, ან სხვა ანგარიშ ვალდებული პირნი.

სარევიზიო კომისიას უფლება ეძლევა მის რაიონში არსებულ სამაზრო და რესპუბლიკანურ ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებათა და ამ ბიუჯეტის ხარჯით წარმოებულ საამშენებლო, დამზადებითი და სხვა სამეურნეო ოპერაციების რევიზიის.

ასეთ რევიზიის შედეგებს სარაიონო სარევიზიო კომისია აცნობებს სათანადო სამაზრო და რესპუბლიკანურ ცაკს.

სარევიზიო კომისია, აღმასკომების განკარგულების შეუხებლად, მხოლოდ მის მიერ წარმოებულ რევიზიის შედეგების მიხედვით, უდგენს აღნიშნულ ორგანოებს თავის შენიშვნებს, ხოლო თუ აღმასკომი ამ შენიშვნებს არ ეთანხმება, მაშინ სარაიონო სარევიზიო კომისია აღმასკომის მოქმედების შესახებ აცნობებს სათანადო სამაზრო აღმასკომს.

მიზანშეუწონელი და საზარალო მოქმედება აღმასკომისა სარევიზიო კომისიას გამოაქვს აღმასკომის გაფართოებულ სხდომაზე, და თუ სარევიზიო კომისია არ ეთანხმება გაფართოებულ სხდომის დადგენილებას, მაშინ შეიძლება ეს დადგენილება კომისიის მიერ განსაჩივრებულ იქნეს სამაზრო აღმასკომში.

სარევიზიო კომისია ვალდებულია დაამთავროს მთელი საბიუჯეტო წლის რევიზია არა უგვიანეს საანგარიშო წლის მიმდევნო მესამე თვის პირველ რიცხვისა.

ადგილობრივი ბიუჯეტის შესრულების და მეურნეობის მდგომარეობის შესახებ, სარაიონო და სათემო სარევიზიო კომისიები მოხსენებას აკეთებენ საბჭოთა სარაიონო ყრილობაზე და გლეხთა ფართო კონფერენციებზე, აცნობენ მათ—აღმასკომების მუშაობა-მოქმედების შეცდომა-ნაკლულოვანებებს და შეაქვთ თავისი მოსაზრებანი მათ გამოსასწორებლად.

სარაიონო-სათემო სარევიზიო კომისია თავის მოქმედებაში პასუხს აგებს საბჭოთა სარაიონო ყრილობის წინაშე.

ცენტრალურ ორგანოთა განკარგულებით, რაიონში არსებულ დაწესებულებათა და წარმოებათა რევიზიის მოსახდენათ მივლინებულნი პირნი, რაიონში მისვლისთანავე, ვალდებულნი არიან აცნობონ სარაიონო სარევიზიო კომისიას მათზე დაკისრებულ მოვალეობის შესახებ, ხოლო კომისიას უფლება ეძლევა თავის შემადგენლობიდან დანიშნოს ერთი წევრი რევიზიაში მონაწილეობის მისაღებათ.

სარაიონო ან სათემო აღმასკომის ქონების ფაქტიურ რევიზიის და მის ანგარიშების და ანგარიშწარმოების გამოკვლევა, რომელიც სწარმოებს საფინანსო კონტროლის ორგანოთა ინიციატივით, საჭიროების მიხედვით, ტარდება ადგილობრივ სარევიზიო კომისიის ერთი წევრის ან მისი კანდიდატის მონაწილეობით.

სარაიონო და სათემო აღმასკომები ვალდებული არიან ყოველმხრივათ ხელი შეუწყონ სარევიზიო კომისიებს, რათა ამ უკანასკნელებმა ნათელ ჰყონ აღმასკომების და მათ განკარგულებაში არსებულ წარმოებათა მოქმედების კანონიერება, სისწორე და მიზანშეწონილობა.

განსაკუთრებულ შემთხვევაში სარევიზიო კომისიების დასახმარებლად სამაზრო აღმასკომი ჰგზავნის საჭირო პირებს საფინანსო განყოფილების შემადგენლობიდან.

სარევიზიო კომისიის წევრები ან მათი კანდიდატები, უკეთუ უკანასკნელნი მუშაობენ კომისიის დაუსწრებელ წევრთა მაგიერ, გაწეულ შრომის ჯილდოთ იღებენ დღიურს, იმ განაკვეთით, რომელიც დაწესებულია ადგილობრივ სარაიონო ან სათემო აღმასკომის წევრთათვის, ხოლო თვეში არა უმეტეს 4 დღისა, რა ხარჯის ანაზღაურება ხდება სარაიონო ან სათემო ბიუჯეტიდან სათანადო კრედიტების ფარგლებში. სარევიზიოთ გამგზავრების დროს კომისიის წევრნი სარგებლობენ აღმასკომის განკარგულებაში მყოფ მიმოსვლის საშუალებით.

ამრიგად, საბჭოთა ხელისუფლება თვითონ გლეხებს აბარებს თავის მეურნეობის კონტროლის საქმეს.

მეტი სიფხიზლე საბჭოთა კაპეიკებისადმი! მეტი ყურადღება აღმასკომების ყაირათიანობას და მომჭირნეობას, მათ მიერ ხალხის საშუალებათა მიზანშეწონილ მოხმარებას! სარევიზიო კომისიებს ამ მხრივ დიდი როლის შესრულება შეუძლიათ.

მ. იაკ—ლი.

უცხოეთის პრესა

კომპარტიის ყრილობა და უცხოეთის პრესა.

უცხოეთის ბურჟუაზიული პრესა არაჩვეულებრივ დიდ ადგილს უთმობს კომპარტიის მეთოთხმეტე ყრილობის ანგარიშებს; იწერება უამრავი წერილებიც ამ ანგარიშების საკომენტარიოთ. და ყველა „ერთ წერტილში" ურტყამს. მათ სურთ დააჯერონ მკითხველები, რომ კომუნისტების საქმე ცუდათ წავიდა, მათი სიძლიერე მოჩვენებითი გამოდგა. წერილების სათაურებიც საკანგებოთ არის შერჩეული გარკვეული მიზნით. თვალში გეჩხირებათ დიდრონი ასოებით აწყობილი ასეთი წარწერები: „ბრძოლა ლენინგრადსა და მოსკოვს შორის", „სამოქალაქო ომი ზინოვიევსა და სტალინს შორის", „რასკოლი რუსეთის კომუნისტურ პარტიაში", „კომუნისტები აღიარებენ თავიანთ დამარცხებას", „კომუნისტები აღარ მალავენ რევოლიუციის დამარცხებას" და სხვადასხვა.

საფრანგეთის კომპარტიის გაზეთი **„ლიუმანიტე"** (31 დეკ.) ეხება პრესის გამოძახილს ყრილობის გამო, არჩევს ამ ყრილობაზე წარმოთქმულ სიტყვებს და საკადრის პასუხს აძლევს ყველა იმ პუბლიცისტებს, რომლებსაც მუდამ კომპარტიისა და რევოლიუციის დამარცხება ესიზმრებათ.

ის ასე ათავებს თავის წერილს:

„რვა წელიწადია რაც ბოლშევიკები განაგებენ სახელმწიფო საქმეებს და უდგანან სათავეში მთავრობას. რვა წელიწადია, რომ კაპიტალისტურ ქვეყნებში იცვლებიან სხვადასხვა მთავრობები: კონსერვატიული, რეაქციონური, სოციალისტური. ამ კაპიტალისტურმა მთავრობებმა დაამტკიცეს თავიანთი უძლურება, რაც შეეხება ომის შემდგომი პერიოდის პრობლემების გადაწყვეტას. მათთვის ძალიან საპრიანოა გამოჩხრიკონ მიმდინარე დისკუსიაში საშუალება, რომლითაც ისინი შესძლებდენ დაევიწყებინათ თავიანთ ქვეშევრდომებისთვის მათი საკუთარი უძლურება და უილაჯობა. ეს მათი უხეში მანევრი წინდაწინვე განწირულია დასამარცხებლად! ყველა ქვეყნის მუშა სოციალისტებმა შემოიარეს წელს რუსეთი. მათ დაინახეს, თუ როგორ უმკლავდება პროლეტარული სახელმწიფო თავის რთულ მდგომარეობას და სწყვეტს ძნელ საკითხებს. ჩვენთვის არასფერი ისე სასურველი არ არის, როგორც დამსახურება „იმ პარტიის ნდობისა (და მისი მაგალითის განმეორება), რომელიც დაარსა ვლადიმირ ილიჩმა"."

უკანასკნელი ცნობები

„ფინანსიური გაჯანსაღება“

პარიზი, 12 იანვ. დუმერის ახალ პროექტის დამახასიათებელ თვისებათ უნდა ჩაითვალოს „ფინანსიური გაჯანსაღების“ ცდა არაპირდაპირ გადასახადების ხარჯზე. ამნაირათ უარყოფილ იქნა ამ მიზნისთვის კაპიტალზე გადასახადის შემოღება.

ხარჯთ-აღრიცხვის გამოანგარიშებით 1926 წ. დეფიციტი უდრის 4,3 მილიარდ ფრანკს. დუმერმა ამას დაუმატა 4 მილიარდი ფრანკი, რომლიდანაც ნახევარი უნდა წავიდეს ხაზინის მიერ ნასესხებ თანხის დასაფარავად საფრანგეთის ბანკიდან, 2,5 მილიარდი—შინაურ სესხის გასასტუმრებლათ.

კაბინეთის კრიზისის შიშით რადიკალურმა პრესამ შესცვალა თავისი დამოკიდებულება დუმერის პროექტისადმი, რომელიც სრულიად ეწინააღმდეგება მემარცხენე ბლოკის ფინანსიურ პოლიტიკას.

ინფლიაციიდან ფინანსიურ კატასტროფამდე.

პარიზი, 12 იანვ. „ლიუმანიტეს“ ცნობით დუმერი გამოვიდა ფინანსიურ კომისიაში და განაცხადა, რომ მთავრობის სამი უკანასკნელი კრიზისის შედეგი იყო 17 მილიარდი ინფლიაცია, მეოთხე კრიზისმა შეიძლება ფინანსიურ კატასტროფამდი მიგვიყვანოსო.

დუმერმა აღნიშნა, რომ დეკემბერში გასავალმა გადააჭარბა შემოსავალს 1,7 მილიარდი ფრანკით—ახლა აუცილებელია გადაუდებლათ ხმა მივსცეთ 8 მილიარდი გადასახადის აკრეფას.

გადამწყვეტი კვირა

ლონდონი, 12 იანვ. ინგლისის საზოგადოება დიდი ინტერესით ადევნებს თვალყურს ნახშირის კომისიის მოქმედებას, რადგან უკანასკნელი კვირა გადამწყვეტ როლს ითამაშებს მწარმოებელთა და მუშებს შორის კონფლიქტის მოგვარებაში.

მწარმოებლებმა გადასცეს კომისიას თავისი პირობები, რომელშიაც თხოულობენ: 8 საათის სამუშაო დღის შემოღებას—7 საათის სამუშაო დღის განხორციელების მაგიერ რკინისგზის ტარიფის შემოკლებას რკინისგზელთათვის სამუშაო ქირის შემოკლებას რაიონის მიხედვით, ხელშეკრულების დადება რაიონებათ (და არა ნაციონალურ მასშტაბით, როგორც ამას მუშები მოითხოვენ ქირის შემცირებას რკინისგზელთათვის.

კომისიის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ამ პირობების მიღება ნიშნავს 100,000 სამთომადნო მუშის დათხოვნასო.

მწარმოებლების აზრით, ნახშირის წარმოებაში აღელვებები მთლიანად სამთომადნო მუშათა კავშირის პოლიტიკის შედეგია, რომელიც შეიძლება ერთ ფრაზაში გამოვთქვათ: „მაღაროები მემაღაროეთათვის“.

რუმინეთის პრესა ოსმალეთ-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულობის შესახებ.

ვენა, 12 იანვ. ოსმალეთ-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულება რუმინეთის პრესის უმთავრესი თემა საგარეო პოლიტიკაში.

მილიტარისტების ორგანო „უნივერსულ“ აცხადებს, რომ „შავი ზღვა ოსმალეთ-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულებით შინა ტბათ იქცევა“, რომ „დიდი სახელმწიფოების კონტროლი სრუტეებზე საეჭვო ხდება“.

„სრუტეები მთავარი გასავალია რუმინეთისათვის; რუმინეთი დიდ გასაჭირში ვარდება, რადგან სრუტეებზე ბატონობს ორი მტრულად განწყობილი სახელმწიფო—ოსმალეთი და საბჭოთა კავშირი. მართალია, დღეს ეს ორი სახელმწიფო არ ფიქრობს რუმინეთის წინააღმდეგ გამოსვლას, არ ამზადებენ სამხედრო მოქმედებას, მაგრამ მომავალში საფრთხე მაინც მოგველის, ვინაიდან რუმინეთი თავისი ინტერესებით დაკავშირებულია საბჭოთა კავშირის და ოსმალეთის მტრებთან“.

საუბარი სუნ-იატ-სენის შვილთან

პეკინი, 12 იან. სუნ-იატ-სენის შვილმა სუნ-ფომ განაცხადა, რომ გომინდანის პარტიის შიგნით ბრძოლა არაა გამოწვეული პოლიტიკურ შეხედულების სხვადასხვაობით, არამედ ორგანიზაციულ საკითხებში უთანხმოებით. სუნ-ფო დარწმუნებულია, რომ დღევანდელ პოლიტიკურ კრიზისის და იაპონიის ინტერვენციის გამო მარჯვენა და მარცხენა ფრთა შეერთდებიან საერთო ბრძოლისთვის.

ინდოეთის პროფკავშირთა ყრილობა.

ლონდონი, 12 იან. ბომბეიდან იტყობინებიან, რომ კვირას მადრასში გაიხსნა ინდოეთის პროფკავშირთა ყრილობა, რომელშიც მონაწილეობს 150 დელეგატი 60—70 კავშირიდან.

ყრილობამ მისასალმებელი დეპეშა მიიღო ინგლისის კომპარტიისგან, პროფინტერნის აღმასკომიდან და საბჭოთა კავშირის პროფკავშირთა საბჭოდან.

პეკინის მთავრობაში

პეკინი, 12 იანვ. ვან ჩენ-ტონი შეუდგა გარეშე საქმეთა მინისტრის მოვალეობის ასრულებას.

დუან-ცზი-ჩჟუანის მდგომარეობა აქამდი გამოურკვეველია. ფიქრობენ, რომ ის იძულებული იქნება დასტოვოს თავისი პოსტი იანვრის შუა რიცხვებში.

მანჯურიის დამოუკიდებლობა.

ტოკიო, 12 იანვ. მუკდენიდან იტყობინებიან, რომ ჩჟან-ძო-ლინმა განაცხადა მანჯურიის დამოუკიდებლობა. იაპონიის გარეშე საქმეთა სამინისტრო აცხადებს ამის შესახებ, რომ მან ამის შესახებ ჯერ არაფერი იცის.

ერრიო დეპუტატთა პალატის თავმჯდომარე

პარიზი, 12 იანვ 300 ხმის უმრავლესობით 16 წინააღმდეგ ერრიო ხელახლავ არჩეულია დეპუტატთა პალატის თავმჯდომარეთ.

მისალმება ა.-კ. რესპუბლიკების მთავრობებს

ბერლინში ამ რამდენიმე ხნის წინათ შესდგა საბჭოთა პლატფორმაზე მდგომ ამიერ-კავკასიელ სტუდენტთა კონფერენცია, რომლისგანაც სომხეთის, საქართველოს, აზერბეიჯანის სახალხო კომისართა საბჭოების და ამიერ-კავკასიის ცაკის სახელზე მიღებულია შემდეგი მისალმების დეპეშა:

„ამიერ-კავკასიის საბჭოთა სტუდენტობის კონფერენცია ევროპაში ღრმა თანაგრძნობას უცხადებს მშრომელი კავკასიის ხელმძღვანელ ორგანოს და თქვენი სახით ძმურ სალამს უძღვნის თქვენი მხარის მშრომელებს. ამიერ-კავკასიის საბჭოთა სტუდენტობა, რომელიც იმყოფება ევროპაში, თვალყურს ადევნებს პროლეტარიატის გმირულ მუშაობას სოციალისტური მეურნეობის აღდგენის საქმეში, მას სავსებით შეგნებული აქვს თავისი მორალური მოვალეობა საბჭოთა სამშობლოს წინაშე და მოწადინებულია მოახმაროს მთელი თავისი ცოდნა და ძალები ქვეყნის მეურნეობის და კულტურის აღორძინებას.

კონფერენციის პრეზიდიუმი

ყვითლების ბანაკში

რუმინეთის რეფორმისტების კონგრესი.

ვენა, 12 იანვარი. ბუქარესტში გაიხსნა რეფორმისტულ პროფკავშირების კონგრესი. კონგრესმა მიიღო რეზოლიუცია, რომელიც აცხადებს, რომ პროფკავშირების გაერთიანება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ რევოლიუციონურ პროფკავშირის წევრი—მუშები შევლენ რეფორმისტულ პროფკავშირებში. რეზოლიუცია აფრთხილებს რუმინელ მუშებს მონაწილეობა არ მიიღონ კომუნისტურ გამოსვლებში.

კამპანია ფრეიბერგერის წინააღმდეგ

ბერლინი, 12 იანვარი. მიუნხენის „კომუნისტური გაზეთი“ „ნეიე ცეიტუნგი“ იუწყება, რომ გერმანიის ს.-დ. პარტიის ც. კ. შეტანილია წინადადება, რათა გერმანიის სოციალ-დემოკრატიულ პარტიიდან გამორიცხულ იქნას საბჭოთა კავშირიდან დაბრუნებულ მუშათა დელეგაციის თავმჯდომარე ფრეიბერგერი.

ფინანსიური კრიზისი საფრანგეთში

დუმერის გადადგომის მოლოდინში.

ბერლინი, 13 იანვ. დუმერის საფინანსო გეგმამ დეპუტატთა პალატაში ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა. პარიზიდან მიღებულ ცნობების თანახმად დუმერის მდგომარეობა შეირყა.

ლონდონი, 13 იანვ. ერიო არჩეულია დეპუტატთა პალატის თავმჯდომარედ.

კაიოს წერილი.

ნაუენი, 13 იან. კაიო „ბერლინერ ტაგებლატტის“ ფურცლებზე ათავსებს წერილს საფრანგეთის დღევანდელ ფინანსიურ მდგომარეობის შესახებ და მთელ პასუხისმგებლობას ის აკისრებს პუანკარეს ავანტიურისტულ პოლიტიკას, რაც გამოიხატა რურის ოკუპაციაში. ერთად-ერთ ხსნას ის ხედავს მოკავშირეთა ვალების პრობლემის გადაწყვეტაში.

ჰუნგრეთის კონტრ-რევოლიუცია გაჭირვებაში

ყალბი ფრანგული ფულების მკეთებელთა საქმის გამოძიების შეწყვეტა

ირკვევა, რომ ყალბი ფულების კეთებაში ხორტისაც უდევს წილი

მსხვილი ბურჟუაზია და ფაშისტური ჯგუფები სცდილობენ მიჩქმალონ საქმე

ბუდაპეშტში მუშათა გამოსვლების შიშით პოლიცია გააძლიერეს

კვლევა-ძიების შეწყვეტა

ვენა, 12 იანვ. ჰუნგრეთის მთავრობამ გამოაქვეყნა ცნობა, რომ შეწყვეტილია საპოლიციო კვლევა-ძიება ყალბ ფრანგულ ფულების მკეთებელთა საქმეზე. კვლევა-ძიების შეწყვეტა დასაბუთებულია იმით, რომ დაწვრილებითი ცნობები ამ საქმის შესახებ თითქოს უკვე გამორკვეულია. მთავრობის განცხადებაში ნათქვამია, რომ ყალბი ფრანკების დამზადება რამოდენიმე ცალკე პირის საქმეა, რომელშიაც პოლიტიკურ პარტიებს წილი არ უდევთ. უმთავრეს პასუხისმგებლობას ამ საქმისათვის განცხადება მიაწერს დაპატიმრებულ თავად ვინდიშგრეცს.

ეს ცნობა ამტკიცებს, რომ ჰუნგრეთის პრემიერმა დაუთმო ხორტის, რომელსაც ეჭვს გარეშეა ახლო კავშირი აქვს ამ აფიორასთან.

კრიზისი კონტრ-რევოლიუციის ბანაკში

ვენა, 12 იანვ. ამ აფიორას შედეგად მოჰყვა დიდი კრიზისი ჰუნგრეთის კონტრ-რევოლიუციონურ ბანაკში. გაბატონებული კლასები აშკარად შეშინებული არიან და მოითხოვენ ყალბი ფულის მკეთებლების საქმის გამოძიების შეწყვეტას. ამ აფიორაში წილი უძევს ხორტის და ამას შეუძლია გამოიწვიოს დემოკრატიული ძალების გაძლიერება. მსხვილი ბურჟუაზია ამჯობინებს დათმობაზე წასვლას ხორტისადმი, რომლის მდგომარეობა ყალბი ფულის მკეთებელთა ორგანიზაციის აღმოჩენის შემდეგ შეირყა და მას აშინებს მასების გამემარცხენება, რაც აუცილებელი გახდებოდა ხორტის ჩამოგდების შემდეგ.

მემარცხენე ბურჟუაზიული პარტიები და სოციალ-დემოკრატები პროტესტს აცხადებენ აფიორის მიჩქმალვის წინააღმდეგ.

ს. დ. პარტიის ც. კ. რეზოლიუცია

ვენა, 12 იანვ. ჰუნგრეთის სოც.-დემოკრატიულ პარტიის პრეზიდიუმმა მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც აღნიშნავს, რომ ყალბი ფულის მკეთებელთა ორგანიზაციის აღმოჩენა წარმოადგენს არა ჩვეულებრივ სისხლის სამართლის დანაშაულს, არამედ ფაშისტების ფართო შეთქმულებას ძალაუფლების ხელში ჩაგდების მიზნით. რეზოლიუცია მოითხოვს შეთქმულების გამორკვევას, მეთაურების დაპატიმრებას და მასში მონაწილე ორგანიზაციების დაშლას. და პროტესტს აცხადებს ფაშისტების ტერორის და ოპოზიციონური პრესის დევნის წინააღმდეგ.

ინგლისი იცავს ხორტის

ვენა, 12 იანვ. ჰუნგრეთის პრესა იუწყება, რომ მცირე ანტანტა მოითხოვს, რათა ყალბი ფულის მკეთებელთა საქმე გადაეცეს ერთა ლიგას. ჰუნგრეთის ოფიციალური პრესა აცხადებს, რომ მცირე ანტანტის ასეთი ნაბიჯი უშედეგო იქნება, და საფრანგეთის და ინგლისის მთავრობები აღიარებენ ჰუნგრეთის მთავრობის „კეთილსინდისიერ“ მოქმედებას ამ საქმის გამოძიების დროს.

მთავრობის პრესა განსაკუთრებით ხაზს უსვამს ინგლისისის მეგობრულ განწყობილებას უნგრეთისადმი, რაც ამტკიცებს, რომ ინგლისის მთავრობა იცავს ხორტის რეჟიმს მცირე ანტანტის წინააღმდეგ, რომელსაც მხარს უჭერს საფრანგეთი.

პოლიცია გაძლიერებულია

ვენა, 12 იანვ. ფაშისტების დემონსტრაციის და მუშების გამოსვლების მოლოდინში ჰუნგრეთის მთავრობამ გააძლიერა პოლიციის რაზმები ბუდაპეშტში.

21 კაცის დაპატიმრება

ვენა, 12 იანვ. ყალბი ფულის მკეთებელთა საქმესთან დაკავშირებით დაპატიმრებულთა რიცხვი აღწევს 21-ს.

ინგლისის მთავრობის განცხადება

ბერლინი, 13 იან. როგორც ლონდონიდან იუწყებიან, ინგლისის მთავრობამ უარი განაცხადა, მცირე ანტანტის თხოვნით გამოვიდეს შეკითხვით ჰუნგრეთის შესახებ. ამას ასაბუთებს იმ მოსაზრებით, რომ მომხდარ ამბებს ის უცქერის როგორც ბუდაპეშტის მთავრობის შინაურ საქმეს და არას გზით არ ფიქრობს ამ საქმეში ჩარევას. როგორც ამბობენ, საფრანგეთის მთავრობამაც ასეთივე აზრი გამოსთქვა.

დაპატიმრება გრძელდება

რომი, 13 იანვ. ბუდაპეშტში გრძელდება დაპატიმრებანი ბანკნოტების ბეჭდვის საქმეზე. პოლიციამ ჩხრეკა მოახდინა ერც-ჰერცოგის ალბრეხტის ბინაზე.

ბერლინი, 13 იანვ. ჰუნგრეთის გენერალურმა პროკურორმა პრესის წარმომადგენლებს განუცხადა, რომ საფრანგეთის ბანკის დირექტორმა შეატყობინა თავისი გადაწყვეტილება—პირადათ მოსთხოვოს პასუხი ვინდიშ გრეტცს.

ინგლისის ნახშირის მრეწველობის კრიზისი

მდგომარეობის გამოსწორებას მუშების ხარჯზე აპირებენ

ლონდონი, 13 იანვ. მაღაროების მეპატრონეთა გაერთიანების თავმჯდომარემ ევან ვილიამსმა ნახშირის მრეწველობის კომისიაში შეიტანა სასტიკი მოთხოვნილებათა მთელი რიგი, რომლებიც მაღაროების მეპატრონეთა აზრით, განხორციელებული უნდა იქნეს ნახშირის მრეწველობაში. მაღაროების მესაკუთრეთა მთავარი მოთხოვნილებაა—მაღაროს მუშათა სამუშაო დროის გადიდება. მუშები ამ ჟამად მუშაობენ 7 საათს დღეში. მაღაროების მეპატრონეთა გაერთიანება გადაჭრით აცხადებს, რომ საჭიროა 8 საათის სამუშაო დღის ხელახლად შემოღება და რომ მხოლოდ ამ გზით შეიძლება ამოვსება იმ ეკონომიური უფსკრულის, რომელიც არსებობს პროდუქციის ღირებულებას და ეხლანდელ მსოფლიო ფასებს შორის. გამოანგარიშებულია, რომ 8 საათის სამუშაო დღე შეამცირებს ნახშირის ფასს 1-დან 3 შილინგამდე ტონაზე. მაღაროების მეპატრონეები წინააღმდეგი არიან მაღაროების ნაციონალიზაციის, რომელიც მათი აზრით წარმოადგენს წმინდა პოლიტიკურ საკითხს და არაც თუ არ აძლევს არავითარ დახმარებას ნახშირის მრეწველობას, არამედ ავნებს მას.

აღმოსავლეთი

ოსმალეთი

მოსულის საკითხი

„ვესტმინსტერ გაზეტ“-ის ცნობით—მუსტაფა-ქემალთან ძალიან ახლო მდგომმა ერთმა პირმა განაცხადა შემდეგი:

„ოსმალეთისათვის მოსული დიდ ტერიტორიალურ დანაკლისს არ წარმოადგენს იმ პრესტიჟის შემცირებასთან შედარებით, რაც მოელის მუსტაფა-ქემალსა და მის მთავრობას. ეშინიათ ქურდისტანში ახალი აჯანყებისა, რომლის ლოზუნგი იქნება ადგილობრივი ავტონომია, თანახმად ერთა ლიგის უკანასკნელ გადაწყვეტილებათა. მთავრობას შეეძლო თავისი მდგომარეობა განემტკიცებინა იმ შემთხვევაში, თუ დათმობაზე წავიდოდა, ვიდრე აშკარათ ელიარებინა თავისი დამარცხება. ან უნდა მთავრობამ დაიწყოს ახალი ომი, რომ გადაარჩინოს თავისი პრესტიჟი და თავიც დააღწიოს შინაურ რევოლიუციას.

ამ საფრთხის თავიდან ასაცილებლათ არის ერთად ერთი საშუალება. ეს მდგომარეობს იმაში, რომ ინგლისმა პირველათ დაუთმოს ცოტაოდენი რამ, რის შემდეგ საბოლოვო შეთანხმებას მიეცემა ურთიერთ დათმობის ხასიათი. საკმარისი არ არის მარტო სესხის მიცემა, რადგან ამ შემთხვევაში ისეთი შთაბეჭდილებაა, თითქოს ოსმალებმა გაჰყიდეს მოსული.

ინგლისს ეხლა ეძლევა შემთხვევა—დაუმტკიცოს მეგობრობა ოსმალეთის ზოგიერთ დათმობებით.

ჰეჯასი

ყოფილი მეფე—ალი

რომიდან იტყობინებიან: ჰეჯასის მინისტრმა ლიუტფ-ალიმ განაცხადა გაზეთ „ტრიბუნაში“, რომ ცნობა მეფე ალის გადადგომის შესახებ სრულიად უსაფუძვლოა. მან დაუმატა, რომ ჰეჯასმა უარი განაცხადა ერთა ლიგაში შესვლაზე, რადგან ის წინააღმდეგია ყოველგვარ „მანდატების“.

სპარსეთი

ტახტის მემკვიდრე.

დამზადებულია ფირმანი (ბრძანება) რიზა-შაჰის შვილის შაჰპურ-მაჰმად-რიზას ტახტის მემკვიდრეთ დანიშვნის შესახებ. ფირმანის პროექტი დამტკიცებულია შაჰის მიერ და საბოლოვოთ დასადასტურებლათ წარედგინება მეჯლისს.

მიწის ძვრა.

ბორაზჯანიდან (სამხრეთ სპარსეთი) იუწყებიან, რომ იქ მოვიდა ძლიერი ნიაღვარი და ადგილი ჰქონდა მიწის ძვრას. ახრამში და ტემნისტანში მიწის ძვრისაგან დაიღუპა 9 კაცი.

საბჭ. კავშირში სახელმწიფო მრეწველობა და მომხმარებელი

საბჭოთა კავშირის ს. მ. უ. ს. და „ცენტროსოიუზის“ გამგეობის ცირკულიარი

მოსკოვი, 13 იანვარი. საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმმა და ცენტროსოიუზის გამგეობამ, დაუგზავნეს ყველა სინდიკატებს, ტრესტებს, საკავშირო მნიშვნელობის მქონე საწარმოო გაერთიანებებს და საკავშირო რესპუბლიკების სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოებს, სამომხმარებლო კოოპერაციის ყველა საკავშირო და პირველი საფეხურის ორგანიზაციებს ცირკულიარი, რომელსაც ხელს აწერენ ძერჟინსკი და ხინჩუკი.

ცირკულიარში ნათქვამია, რომ სახელმწიფო მრეწველობას აუცილებლად უშუალო კავშირი უნდა ჰქონდეს მუშა და გლეხ მომხმარებელთა ფართო წრეებთან. ეს შეიძლება განხორციელებული იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფო მრეწველობის და კოოპერაციის მუშაობა მჭიდროდ იქნება გადანასკვული. ამ ნიადაგზე აღმოცენებულ ამოცანების ფართო სახელმწიფოებრივი შეგნება ავალებს ჩვენს სამეურნეო და კოოპერატიულ ორგანოებს დაამყარონ ერთიანი ფრონტი სახალხო მეურნეობის გეგმიანი მშენებლობის განსახორციელებლად—საბაზრო ურთიერთობათა სტიქიის დასაძლევად.

საბაზრო სტიქიის ძალა ხშირად არღვევს ჩვენს საგეგმო ღონისძიებებს, რომლებიც მიმართულია იქითკენ, რომ გავაჯანსაღოთ აღებ-მიცემობა და განვახორციელოთ ჩვენი ძირითადი ამოცანა—მივაწოდოთ მომხმარებელს რაც შეიძლება უფრო იაფი საქონელი. ამ მიზნით სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმმა და ცენტროსოიუზის გამგეობამ დაარსეს პარიტეტული კომისია, რომლის მთავარი ამოცანაა—ყოველგვარი დავის და გაუგებრობის აღმოფხვრა მრეწველობის და კოოპერაციის ორგანოებს შორის მათ სავაჭრო ურთიერთობაში. საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმი და ცენტროსოიუზის გამგეობა წინადადებას აძლევენ მრეწველობის ორგანოებს და კოოპერატიულ გაერთიანებებს მიმართონ ყოველივე ღონისძიებანი იქითკენ, რომ ყოველგვარი გაუგებრობანი და კონფლიქტები თავიდან იქნენ აცილებული და აღმოფხვრილი—სადაო საკითხების მეგობრულად გადაწყვეტის გზით. როცა ადგილებზე შეუძლებელი ხდება შეთანხმების მიღწევა, სადაო საკითხები გადაეცემა განსახილველად პარიტეტულ კომისიას.

ცენტროსოიუზის გამგეობას და საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმს მიზანშეწონილად მიაჩნიათ კოოპერაციის და სახელმწიფო მრეწველობის ადგილობრივ ორგანიზაციების მხრივ ცნობების მიწოდება პარიტეტულ კომისიისათვის ბაზრის მდგომარეობის, ფასების ცვალებადობის შესახებ კოოპერატიულ, სახელმწიფო და კერძო ვაჭრობაში და სხვ.

კოოპერატიული ორგანოები ახორციელებენ ამ ინფორმაციას ცენტროსოიუზის შემწეობით, მრეწველობის ორგანოები კი—საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს სავაჭრო კომისიის შემწეობით.

უკრაინა

პოლონეთის კომკავშირის მდივანი ხარკოვში

ხარკოვი, 13 იანვ. ჩამოვიდა პოლონეთის ახალგაზრდობის კომკავშირის გენერალური მდივანი ლიასოცკი, რომელმაც კომკავშირის საოლქო კონფერენციაზე ვრცელი მოხსენება გააკეთა პოლონეთის კომკავშირის მუშაობის შესახებ.

ქარბუქი

ხარკოვი, 13 იანვარი. უკრაინის ჩრდილოეთ ნაწილში და ცენტრში დაიწყო ძლიერი ქარბუქი სასტიკი ყინვებით. ეკატერინოსლავიდან, დონის ოლქიდან და სხვა ადგილებიდან იუწყებიან, რომ იქ მძვინვარებს საშინელი ქარბუქი.

ა. კ. ფედერაციაში

აზერბეიჯანი

ტელეგრაფი და ტელეფონი.

ბაქო, 13 იანვ. სოფ. ალტი-აგაჩში გაიხსნა ტელეგრაფის კანტორა. აზრაღმასკომმა დასვა დღის წესრიგში საკითხი ალტი-აგაჩს და ბაქოს შორის პირდაპირი სატელეფონო კავშირის მოწყობის შესახებ. განზრახულია აგრეთვე ტელეფონის ხაზის მოწყობა მეზობელ სოფლებს შორის.

მრეწველობის აღდგენა.

ბაქო, 13 იანვარი. აზერბეიჯანის საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის უმაღლესმა საბჭომ დაამთავრა საბჭოთა აზერბეიჯანის მრეწველობის აღდგენის 5 წლის გეგმის მასალების დამუშავება. საერთო გეგმას ამ დღეებში განიხილავს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმი.

ეკონომიური ცხოვრება

რამდენი საქონელი იქნა შემოტანილი დეკემბერში

ამიერ-კავკასიის შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოს ცნობებით, 1925 წლის დეკემბრის განმავლობაში გეგმაშეწონილი შემოზიდვის გეგმის მიხედვით, საქართველოში შემოტანილი იქნა შემდეგი საქონელი:

ხორბლეულობა—382.100 ფუთი, დავალება შესრულებულია 96,7 პროცენტით, ბამბეული ფართლეულობა—29,8 რონოდა—87,6 პროცენტი, შაქარი—151 რონოდა—251,7 პროც., სილიკატი—8 რონოდა—40 პროც., კალოშები—36.300 წყვილი—121 პროც., ასანთი—3 რონოდა—42,9 პროც., ქაღალდი—22.400 ფუთი—76,7 პრ., მარილი—129.800 ფუთი—162,3 პრ., ლითონის ნაწარმოები—12,000 ფ.—6,1 პროც., ნავთი—136.800 ფუთი.

ამას გარდა, გზაშია 28.000 ფუთი ხორბალი და 31,3 რონოდა ბამბეული ფართალი.

ხორბალი შემოტანილია სახელმწიფო ბანკის და „ხლებოპროდუქტის“ მიერ. რაც შეეხება ლითონის ნაწარმოებს, „სევკავტორგი“-ს მიერ შემოზიდულ საქონლის შესახებ ცნობები არ არის, ვინაიდან დეკემბრის განმავლობაში მას შემოუზიდავს მხოლოდ მცირე რაოდენობა წვრილი რკინეული საქონლისა.

კერძო შემოზიდვას დეკემბერში ადგილი არ ჰქონია.

აღმოსავლეთის სავაჭრო პალატების რეორგანიზაცია

ამიერ-კავკასია—აღმოსავლეთის სავაჭრო პალატაში საბჭოთა კავშირის პალატების მოსალოდნელი რეფორმის შესახებ ჩვენს თანამშრომელს აცნობეს შემდეგი:

— იმ მიზნით, რომ უფრო მჭიდრო კავშირი იქნეს დამყარებული რესპუბლიკანური პალატების მუშაობაში და გაერთიანებული იქნეს მათთვის ხელმძღვანელობის გაწევა, განზრახულია ერთგვარი ცვლილებები იქნეს შეტანილი პალატების სტრუქტურაში და გაერთიანდეს მათი ხელმძღვანელობა, რისთვისაც არსდება სრულიად საკავშირო-აღმოსავლეთის სავაჭრო პალატა.

რესპუბლიკანურ პალატებს უფლება რჩებათ დაამუშავონ ადგილობრივი რესპუბლიკანური ხასიათის საკითხები საკავშირო პალატის დირექტივების თანახმად. საკავშირო პალატის დაარსების საკითხი საბოლოოდ გადაწყვეტილი იქნება პალატების კონფერენციის მიერ, რომელიც მოწვეული იქნება ამ თვეში.

საკავშირო მრეწველობის წარმოების ფართო ზრდა პალატების წინაშე აყენებს მთელ რიგ ახალ ამოცანებს: გაძლიერებული მუშაობა ცალკე რესპუბლიკების ეკონომიკის სფეროში, გამორკვევა იმისა, თუ რა მონაწილეობა უნდა მიიღონ საბჭოთა კავშირის აღმოსავლურმა რესპუბლიკებმა აღმოსავლეთთან ვაჭრობაში. უცხოეთთან ურთიერთობის გაცხოველება და მისი შემდგომი ზრდა მოითხოვს ღონისძიებების შემუშავებას ტრანსპორტის, საბაჟო და საფინანსო კანონმდებლობის იმ ნაწილში, რომელიც აღმოსავლეთის ქვეყნებთან ვაჭრობას ეხება.

შინაური ვაჭრობის საკითხები ეხლა მჭიდროთ დაუკავშირდა საგარეო ვაჭრობის საკითხებს და პალატების მუშაობა ამ სფეროში თვალსაჩინოთ გაძლიერდება.

ამ საკითხების დამუშავება და მათი განხორციელება მოითხოვს დაინტერესებული სამეურნეო მუშაკების თანამშრომლობას პალატებთან. კერძოთ, ამიერ კავკასიაში საჭიროა არა მარტო იმ ორგანოების თანამშრომლობა პალატებთან, რომლებიც ახორციელებენ და კრედიტებს აძლევენ აღმოსავლეთთან ვაჭრობას, არამედ აუცილებელია იმ საწარმოო ორგანოების თანამშრომლობაც, რომელთა პროდუქცია მიდის აღმოსავლეთის ბაზარზე.

საფინანსო კონტროლი

აფხაზეთში

გასული წლის განმავლობაში საფინანსო კონტროლის მიერ გამოკვლეული იქნა აფხაზეთის ყველა დაწესებულებების გასავლის ნაწილი; შემოსავლის რევიზია მოხდა მხოლოდ საბაჟოებში და განათლების სახალხო კომისარიატში.

სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებულ ხარჯების საერთო თანხა გასული წლის განმავლობაში უდრიდა 950.000 მანეთს.

საფინანსო კონტროლის მიერ შემოწმებული იქნა 6.077 მან. სპეციალური თანხების ანგარიშები და აფხაზეთის ფინსახკომის სახელმწიფო შემოსავლის განყოფილებასთან ერთად გამოკვლეული იქნა ს. მ. უ. ს. სახელმწიფო ფაბრიკები: სტამბები, ხე ტყის დამზადების განყოფილება და მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი.

ანგარიშების სწორად შედგენისა და თავის დროზე წარმოდგენის მხრივ ყველაზე უკეთესი მდგომარეობაა სახალხო კომისართა საბჭოში, განათლების და იუსტიციის კომისარიატებში. ყველაზე ნაკლებ დამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა ჯანსახკომში და მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატში, რაც იწვევდა ხშირ რევიზიებს და გამოკვლევებს ამ დაწესებულებებში.

საერთოდ ანგარიშწარმოების დისციპლინა აფხაზეთში განმტკიცდა, რაც საფინანსო კონტროლის მუშაობის შედეგია. თვითეული დაწესებულება ყოველგვარ ხარჯს აფასებდა მისი მიზანშეწონილობის და სამეურნეო აუცილებლობის თვალსაზრისით.

გამოკვლეულ ანგარიშების საერთო თანხიდან დამტკიცებული არ იყო 33.200 მანეთის ხარჯები და სხვა და სხვა დაწესებულებებს დაერიცხა 4.000 მანეთი, რომლის ნახევარი უკვე დაფარულია. იყო შემთხვევები, განსაკუთრებით მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატში, როდესაც ფული იხარჯებოდა არა პირდაპირ დანიშნულებაზე; მაგალითად, ხარჯი რომელიც განსაზღვრულ მუხლს ეკუთვნის, გადაჰქონდათ სულ სხვა მუხლში და სხვა.

რევიზიის მიერ კრედიტების ხარჯვაში აღმოჩენილი დეფექტები ამ ჟამათ უკვე გამოსწორებულია.

ცხენთა გამოცდის სეზონი

მიმდინარე წლის 18 აპრილს თბილისში განზრახულია ცხენთა გამოცდის სეზონის გახსნა, რომელზედაც დაწესებული იქნება ჯილდო საერთოდ—7010 მანეთის რაოდენობით.

ჯილდოები ნაწილდება ასეთ ნაირად: მთავარი ჯილდო—300 მანეთისა იქნება „სეზონის გახსნის“ სახელობაზე, გამოცდის მეორე დღეს 25 აპრილს დანიშნული იქნება ჯილდოთ—600 მანეთი, მესამე დღეს 2 მაისს—820 მან., მე-4-ე დღეს 9 მაისს—800 მანეთი და მათ შორის—300 მანეთიანი ჯილდო ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს სახელობის, მე-5-ე დღეს, 16 მაისს ჯილდოთ იქნება დანიშნული 730 მანეთი, მათ შორის საქართველოს მიწად მოქმედების კომისარიატის სახელობის—200 მანეთი, მე-6 დღეს, 23 მაისისათვის დანიშნულია „ცხენის დღესასწაული“ და ამ დღეს ჯილდო იქნება—1.980 მანეთი მე-7 დღეს—30 მაისს—640 მან. და მე-8 დღეს 6 ივნისს—990 მანეთი.

ცხენთა გამოცდებში მონაწილეობას [illegible] ა|კ. რესპუბლიკების ცხენთა საჯიშეებისა, ისე კერძო პირების.

გამარჯვებულთათვის ჯილდოების მიცემა იწარმოებს გაყიდულ ბილეთების ხარჯზე.

სხვათა შორის ცხენთა გამოცდები შეთანხმებული იქნება ამიერ-კავკასიის სასოფლო-სამეურნეო იარაღების გამოფენასთან, რომლებზედაც იქნებიან წარმომადგენლები ევროპის და ამერიკის გამოჩენილ ფირმებისა და ამისათვის გადაწყვეტილია ცხენთა აღნიშნული გამოცდები მოწყობილ იქნას საუკეთესო ცხენების შემადგენლობით.

გამოცდების მოწყობისათვის წინასწარ გამოთხოვნილია 7.000 მანეთი.

ეკონომიური ქრონიკა

— **შუშეულობის ნაკლებობა.** ახალსენაკის მაზრაში დიდი მოთხოვნილებაა შუშეულობასა და მინებზე.

— **პურის საცხობი ქარხანა.** აჭარისტანის შინავაჭრობის სამმართველო შეუდგა ბათომში პურის საცხობ ქარხნის მოწყობას, ქარხანა ყოველდღიურათ გამოაცხობს 1500 ფ. პურს.

— **შაქარი.** შინავაჭრობის კომისარიატმა რუსეთიდან მიიღო 3 ათასი ფუთი შაქარი რაფინადი.

— **თამბაქოს გაზიდვა.** ა|კ. სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველომ საზღვარგარეთ გაგზავნა 6 ათასი ფუთი აფხაზეთის თამბაქო.

— **მე-3 თამბაქოს ქარხანაში** დაიდგა 5 ახალი მანქანა.

— **ფეხსაცმელების ქარხანამ** გასულ საანგარიშო წელში დაამუშავა ერთი მეხუთედით მეტი, ვიდრე გეგმით იყო გათვალისწინებული.

ფართლეულობა ბამბის მთესველებისათვის

ვინაიდან ბამბის მთესველების მომარაგება ფართლეულით და პურეულით წესიერად არ სწარმოებს გამეორებით წინადადება მიეცეს მებამბეობის კომიტეტს და დაევალოს შინავაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოს მიაქციონ აღნიშნულ გარემოებას სათანადო ყურადღება და წარმოუდგინოს სახელმწიფო საგეგმო კომისიას ამა დადგენილების მიღების დღიდან არა უგვიანეს ერთი კვირისა შესაფერისი მოხსენება.

— **შაქარი.** შაქრის ტრესტმა ბათომში გაგზავნა 3 ვაგონი ნატეხი შაქარი, რომელიც განაწილდება კოოპერატივებსა და სახელმწიფო სავაჭრო ორგანოებს შორის.

— **სეტყვის წინააღმდეგ.** რეზინოტრესტის ბათომის განყოფილებამ აჭარისათვის საზღვარგარეთ შეიძინა 4000 ცალი სეტყვის საწინააღმდეგო შუშხუნა.

— **ქუთაისის 26 კომუნარის სახელობის თამბაქოს ქარხანამ** დეკემბერში დაამზადა 5.000.000 ცალი პაპიროსი, ე. ი. გათვალისწინებულ ნორმაზე 1 მილიონით მეტი.

— **აბრეშუმის პარკის გაგზავნა.** ა|კ. კოოპერატივთა კავშირმა საფრანგეთში გაგზავნა 76.000 ფ. აბრეშუმის ხმელი პარკი.

— **ტრაქტორი.** ამჟამად მთელ საქართველოში მუშაობს 41 ტრაქტორი.

— **შაქარი.** შაქრის ტრესტის ქუთაისის განყოფილებამ ქუთაისის საკონდიტროებისათვის მიიღო 2 ვაგონი ფხვნილი და 2 ვაგონი კვნიტი შაქარი.

— **სასოფ. სამეურნეო იარაღები.** ა|კ. სახელმწიფო ვაჭრობის კომისარიატმა აჭარისტანისთვის საზღვარგარეთ შეიძინა 60.000 მან. სასოფლო სამეურნეო იარაღები.

— **ფართალი.** ბათომში გაიგზავნა 2 ვაგონი პირველ მოთხოვნილების ფართლეულობა.

კოოპერაცია

შეღავათები სამრეწველო-კოოპერატიულ ამხანაგობათა წევრებისათვის

მოსკოვი, 13 იანვ. საბჭოთა კავშირის ფინანსთა სახ. კომისარიატმა განმარტა, რომ ყოფ. ფაბრიკა ქარხნების მუშების შესვლა სამრეწველო კოოპერატიულ ამხანაგობებში, არ წარმოადგენს საფუძველს ამხანაგობებისათვის მინიჭებულ შეღავათების გასაუქმებლათ, თუ ეს მუშები მონაწილეობას იღებენ თვით წარმოებაში და ასრულებენ მოვალეობას თავიანთ სპეციალობის მიხედვით.

შეღავათების გავრცელების დროს შინამრეწველთა ამხანაგობებზე, შინამრეწვილებზე და ხელოსნებზე, მიუხედავათ მათი ძველი მოღვაწეობისა, ამ პირთა კატეგორიაში უნდა იქნან მოქცეულნი ისინიც, ვინც საანგარიშო წლის პირველ ნახევარში ეწეოდა შინამრეწველობას ან პირადათ ან თავიანთ ოჯახის წევრებთან ერთად, მუშახელის დაუქირავებლათ არა ნაკლებ 6 თვისა და მათზე ვრცელდებოდა ერთეულ შინამრეწველებისათვის დაწესებული შეღავათები.

სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაობა

მიმდინარე წლის დასაწყისში ამიერ-კავკასიის სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემაში ითვლებოდა 474 ორგანიზაცია; მათ რიცხვში: ერთი საოლქო ფედერატიული ცენტრო—„ზაკსოიუზი“, 6 ნაციონალურ-რესპუბლიკანური კავშირი-ცეკავშირი აფხაზეთის კავშირი, აჭარცეკავშირი „აიკოოპი“, (სომხეთის ცენტრ. კოოპ. კავშ.) „აზერიტიფაკი“ (აზერბეიჯანის ცენტრ. კოოპ. კავშირი და „ნახიტიფაკი“ (ნახიჩევანის მხარის კოოპ. კავშირი.)

სამომხმარებლო კოოპერაციის მთელი ქსელის საშუალო თვიური ბრუნვა 1924-25 წლის განმავლობაში უდრიდა 11.69 ათას მანეთს. მათ რიცხვში: კავშირების ბრუნვა—2.185 ათას მანეთს, სამი დედა-ქალაქის კოოპერატივების ბრუნვა—4.369 ათას მანეთს, სამაზრო ქალაქებში—1.714 ათას მან., სოფლის სამომხმარებლო საზოგადოებების ბრუნვა—3.052 ათას მან., და „ზაკტპო“—650.000 მან.; ამრიგად, ქვედა საფეხურის კოოპერატიული ქსელის ბრუნვა საშუალოდ თვეში უდრის 9.784.000 მანეთს.

ცალკე რესპუბლიკებში ქვედა საფეხურის კოოპერატიული ქსელი შემდეგ ბრუნვას იძლევა.

საქართველოში მთელი ქვედა საფეხურის ქსელის თვიური ბრუნვა უდრის 4.365 ათას მანეთს, აზერბეიჯანში—4 025 ათას მან. და სომხეთში-744 ათას მ.; აქედან სოფლის სამომხმარებლო საზოგადოებების ბრუნვა უდრის: საქართველოში—2.040 ათას მან., აზერბეიჯანში—685 000 მან., და სომხეთში—327.000 მ., ამრიგად, საქართველოში სოფლის კოოპერატივების ბრუნვა შეადგენს მთელი ქვედა საფეხურის ქსელის ბრუნვის 46,7 პროც., აზერბეიჯანში—მხოლოდ 17 პროც. და სომხეთში—44 პროც.

ამიერ-კავკასიის კოოპერატიული კავშირის ცნობებით, საკავშირო ცენტრების როლი ქვედა საფეხურის ქსელისათვის საქონლის მიწოდების საქმეში გამოიხატება შემდეგში:

ც. კავშირის როლი სოფლის სამომხმარებლო საზოგადოებებისათვის საქონლის მიწოდების საქმეში თანდათან მცირდება. არსებული ცნობებიდან სჩანს, რომ 40 სამომხმარებლო საზოგადოებამ ცეკავშირიდან მიიღო მთელი საქონლის 28,5 პროც., კერძო პირებისაგან კი—14 პროც.

გაცილებით უკეთესი მდგომარეობაა აზერბეიჯანში, სადაც „აზერიტიფაკის“ როლი საქონლის მიწოდებაში უდრის 45 პროც., სომხეთში—25 პროც.

გასული წლის ბოლოს მდგომარეობა შეიცვალა და საკავშირო ცენტრების როლი საქონლის მიწოდებაში გაიზარდა.

საქართველოს ცაკის მესამე სესია

საქართველოს ცაკის პრეზიდიუმის დადგენილებით, საქართველოს ცაკის მესამე სესია მოწვეული იქნება მიმდინარე წლის აპრილის პირველ რიცხვებში.

საკითხი იმის შესახებ, თუ სად იქნება მოწვეული ცაკის მესამე სესია, ჯერ არ არის გადაწყვეტილი. სესია მოწვეული იქნება ან აფხაზეთში ან აჭარისტანში.

სესიას დაესწრებიან სამაზრო და სათემო აღმასკომების წარმომადგენლებიც.

ელექტროფიკაცია

აბაშის ჰიდრო-ელექტრო სადგური

აბაშის ჰიდრო-ელექტრო სადგურის აგება დაიწყო 1924 წელში; სადგურის სიძლიერე პირველ ხანებში უნდა ყოფილიყო 800 ცხენის ძალა. სადგურს ასაგებად გადადებული იყო 670 მანეთი.

აბაშის ელექტრო-სადგურის აგების დაწყების დროს განზრახული იყო სადგურს ენერგია მიეცა ახალსენაკისა, ბანძასა და მარტვილისათვის. მაგრამ გასული წლის დეკემბერში საქართველოს საგეგმო კომისიის მიერ აბაშის სადგურის გამოსაკვლევად გაგზავნილი იყო სპეციალური კომისია ინჟ. ჰიჰინაძის თავმჯდომარეობით, რომელმაც საჭიროდ დაინახა სადგურის სამოქმედო რაიონის გაფართოება.

ახალი დებულების მიხედვით, სადგურმა ენერგია უნდა მიაწოდოს ქ. ფოთს, ახალ-სენაკის რაიონს და სამტრედიას.

აბაშის სადგურის ენერგია გამოყენებული იქნება ფოთში შავი-ქვის მექანიკური გადამტვირთავი მანქანების ასამუშავებლად, ნავთსადგურის ტერიტორიის და ქალაქის გასანათებლად. ამას გარდა, სადგური სამტრედიაში ენერგიას მიაწოდებს ა. | კ. რკინისგზების სახელოსნოებს, ნავთსადენს და ხე-ტყის სახერხ ქარხანას.

გადაცემის ხაზის სიგრძე ახალსენაკიდან ფოთამდე უდრის 75 კილომეტრს. ამ ხაზს შეუერთდება ახალ-სენაკის, ფოთის, ბანძის და მარტვილის ქვე-სადგურები, რომელთა დატვირთვა უდრის 3.000.000 კილოუატ საათს.

სადგურის მოწყობა დაჯდება 1.117 000 მანეთი.

მუშაობის მიმდინარეობა აბაშის ჰიდრო-ელექტრო სადგურზე შემდეგ სურათს იძლევა: გენერატორული სადგურის საძირკველი უკვე ჩაყრილია, საგუბარი დამთავრებულია 75 პროც., მუშაობა აუზის მოსაწყობად დამთავრდება მარტში, არხი ბეტონით მოგებულია 770 საჟ. მანძილზე. გაყვანილია გვირაბი და სხვა.

აბაშის ჰიდრო-ელექტრო სადგურის გახსნა მოსალოდნელია ოქტომბრის რევოლიუციის მეცხრე წლის თავზე.

ახალი ჰიდრო-ელექტრო სადგური

შედგენილია პროექტი სოფ. ბაღდადის და დიმის რაიონში ჰიდრო-ელექტრო სადგურის მოწყობის შესახებ. ამ რაიონში ამჟამად 100-მდე სხვადასხვა სამრეწველო წარმოებაა, ამას გარდა, ბაღდადი სვირის რაიონის მეღვინეობის ცენტრია.

განზრახულია არხის გაყვანა დიმსა და როკიტს შუა, რომელზედაც მოწყობილი იქნება ჩანჩქერი; სწორედ ეს ჩანჩქერი იქნება გამოყენებული სადგურის მოსაწყობად. სადგური დაჯდება 27.000 მანეთი.

სადგურის აგებისათვის საჭირო თანხების გადადების საკითხი ჯერ არ არის საბოლოოდ გადაწყვეტილი. პროექტის განხორციელება დაიწყება ამ საკითხის მოგვარების შემდეგ.

რემედასი ციფრებში

(1926 წლ. 1-ლ იანვრისათვის)

რემედასის წევრთა რიცხვის ზრდა ს. ბჭოთა კავშირში გამოიხატება შემდეგში:

1924 წლის 1 იანვრისათვის რემედას საბჭოთა კავშირში ყავდა—590.000 წევრი, იმავე წლის პირველ აგვისტოსათვის—1.947.000 წ., 1925 წლის 1 იანვრისათვის—3.717.034 წ., წევრები გაერთიანებული იყვნენ 29.546 უჯრედში.

ამავე წლის 1 აგვისტოსათვის გაერთიანებული იყო 5.048.480 წევრი—42.566 უჯრედში. ამავე წლის 1 ოქტომბრისათვის—5.057.261 წევრი—42.955 უჯრედში. ამნაირად, თუ წევრთა რიცხვს 1924 წლის 1 იანვრისათვის მივიღებთ 100-ათ, მაშინ წევრთა ზრდა გამოიხატება შემდეგში:

1924 წლის 1 იანვრისათვის 100 წ., 1924 წლის 1 აგვისტოსათვის—389 წ., 1925 წლის 1 იანვრისათვის—743 წ., 1925 წლის 1 აგვისტოსათვის—1010 წ., 1 ოქტომბრისათვის—1011 წ.

ეხლა გავარკვიოთ, რას წარმოადგენს ეს ვეებერთელა ხუთ მილიონიანი მასა, ვისგან შესდგება ის.

5.057.261 წევრიდან მუშები შეადგენს -1.972.322 კაცს (39 პროცენტი), გლეხები—1.112.597 კაცს (22 პროც.), მოსამსახურეები—1.466.606 კაცს (29 პროც.), სხვები—505.726 კაცს (10 პროც.).

აქედან ვხედავთ, რომ მუშების და გლეხების რიცხვი შეადგენს 61 პროცენტს. თუ მათ მიუმატებთ კიდევ 10 პროც. „სხვას", რომელშიაც მეტ ნაწილად შედიან წითელ-არმიელები და მოწაფეები, მივიღებთ 71 პროცენტს, ე. ი. ყველა წევრთა სამ-მეოთხედს.

1924 წლის დამლევისათვის გლეხები შეადგენდენ 18 პროც. პროცენტს მთელი რიცხვისას, ეხლა კი მათი რაოდენობა უდრის 22 პროცენტს, რაც გვიჩვენებს, რომ თუმცა ნელა, მაგრამ მაინც გლეხობაშიაც ფართოვდება რემედას-ის მუშაობა.

რემედას-ის საბჭოთა კავშირის ყველა ორგანიზაციიდან ფულად შემოვიდა შემდეგი:

1923 წელში 282,352 მან., 1924 წ. 2.151.255 მან; 1925 წ. 2.785.195 მან. (დეკემბრის თვის გამოკლებით ს უ ლ 5.218.803 მანეთი.

აქ უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავათ საერთოდ შემოსავლის გადიდებისა 1925 წელში, ამ ბოლო თვეებში შემოსავალმა ძალზედ იკლო. მაშინ, როცა 1925 წლის პირველ ნახევრისათვის ყოველ-თვიურად საშუალოდ შემოდიოდა—381.871 მანეთი, ამავე წლის მეორე ნახევარში კი თვიური საშუალო შემოსავალი დავიდა 170.788 მანეთამდე. ნოემბერში კი, შემოსავალმა კიდევ უფრო იკლო და დავიდა 145.590 მანეთამდის.

ასეთი დიდი შემცირება შემოსავლისა, თუ თვით წევრებმა და ადგილობრივმა ორგანოებმა არ მიიღეს ზომები, მიგვიყვანს იქამდის, რომ საგრძნობლად შეუმცირდება დახმარების გაწევა კაპიტალისტურ სახელმწიფოების ციხე-საპყრობილეებში გამომწყვდეულ მებრძოლ რევოლიუციონერებს.

მთელ საბჭოთა კავშირში არის 129 კომიტეტი. ამთგან 56—საგუბერნიო კომიტეტია, 17—საოლქო, 7 ცენტრალური—სხვადასხვა რესპუბლიკებში (უკრაინა, ბელორუსია, უზბეკისტანი, ტურკმენისტანი, აზერბეიჯანი, სომხეთი და საქართველო).

გარდა ამისა არის კიდევ 57—საოლქო კომიტეტი—მეტ ნაწილად ციმბირში და უკრაინაში.

რემედას კაპიტალისტურ ქვეყნებში ყავს 1.083.000 წევრი. ამ რიცხვიდან ყველაზე მეტია გერმანიაში, სადაც ირიცხება სულ 400.000 წევრი, შემდეგ მიდის ჩეხო-სლოვაკია, სადაც არის 350.000 წევრი, იტალია—130.000 წევრი და საფრანგეთი—40.000 წევრი.

რემედას-ის სექციები არსებობენ 34 სხვადასხვა ქვეყანაში, რომლებიც გაერთიანებულნი არიან 2250 კომიტეტში და 1.125 უჯრედში.

საერთოდ რემედასს დღემდის საერთაშორისო რევოლიუციისათვის მებრძოლ ამხანაგებისათვის გაუწევია შემდეგი დახმარება:

1923 წელში—279.281 მან. 1924 წ.—1.292.922 მან. 1925 წ.—1.448.802 მან. (სექტემბრამდის), სულ—3.021.010 მან.

გარდა ამისა 500.000 მანეთი დახარჯულ იქნა საბჭოთა კავშირში გადმოხვეწილ პოლიტ ემიგრანტების მოსაწყობად, რომელთა რიცხვი დღეს ადის 7000 კაცამდის. აგრეთვე პოლიტ-პატიმრებისათვის იურიდიულ დახმარების გასაწევად დახარჯულია დიდ-ძალი ფული.

ყველა ეს ციფრები აშკარად გვიჩვენებს, თუ როგორ იზრდება წევრთა რიცხვი რემედას-ისა და როგორ დიდ დახმარებას უწევს ის კაპიტალისტურ ქვეყნების საპყრობილეებში გამომწყვდეულ პოლიტ-პატიმრებს, რომელთა რიცხვი თანდათან მატულობს. მომავლისათვის კი რემედას-ის მუშაობის კიდევ უფრო გასაცხოველებლად საჭიროა, რომ ადგილობრივმა ორგანიზაციებმა კიდევ უფრო გააძლიერონ მუშაობა, რომ ამით რაც შეიძლება მეტი დახმარების გაწევა შევძლოთ იმ ჩვენი ამხანაგებისათვის, რომლებიც იტანჯებიან კაპიტალისტურ ქვეყნების ციხეებში და რომელთა ცოლშვილს სული ხდება სიმშილისაგან.

რემედას-ის ყოველ წევრის მოვალეობას შეადგენს, რომ თვით მუშაობა შემოწირულებების შეკრების საქმეში არა თუ შეასუსტონ, არამედ კიდევ უფრო გააცხოველონ და გააძლიერონ.

რემედასი მხოლოდ მაშინ შეძლებს თავის მოვალეობის მართლაც პირნათლად შესრულებას საერთაშორისო რევოლიუციისათვის მებრძოლ ამხანაგების წინაშე, რომლებიც გულის ფანცქალით ელიან ჩვენგან თბილ სიტყვას და მატერიალურ დახმარებას.

ვ. ქ.

მატყლის დამზადება-გასაღება

მატყლის მთელი მოსავალი 1926 წელს, ამიერ კავკასიის შინა ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოს ცნობებით, მიაღწევს 150.000 ფუთს; საქონლის ის ნაწილი, რომელიც შეგროვებული უნდა იქნეს დამამზადებელ ორგანიზაციების მიერ, მიაღწევს 115.000 ფუთს. აქედან 20.000 ფუთი მოხმარდება ადგილობრივ მრეწველობას, ხოლო დანარჩენი 95.000 ფუთი იქნება საექსპორტო.

დამზადებას აწარმოებს წარმოკავშირი („მწყემსი", „ბირლიკი" და „თერგის ხევი") და ნაწილობრივ „ზაკგოსტორგი".

მატყლის სავარაუდო დასამზადებელ ფასად მიღებულია 15—17 მანეთი, საშუალოდ—16 მანეთი. სულ დასამზადებელი ფასი ამ ანგარიშით შეადგენს 1.840.000 მანეთს. აქედან გაზაფხულის მატყლისთვის—828.000 მანეთი, შემოდგომის—1.012.000 მანეთი.

ზედნადები ხარჯები, კომისარიატში შემდგარ თათბირის ანგარიშით, იქნება ფუთზე 6 მანეთი, საერთოდ კი 690.000 მანეთი.

ამრიგათ, 1926 წლის მატყლის დასამზადებლად სულ საჭირო იქნება 2.530.000 მანეთი.

სასოფლო მეურნეობის ამ მნიშვნელოვან დარგის გასაუმჯობესებლად თათბირმა საჭიროთ სცნო გატარებული იქნეს მთელი რიგი ღონისძიებები, რომელთა შორის არის: ბაზრის შესწავლა-გამორკვევა, სარეცხი ქარხნის მოწყობა (მიზნობრივი გრძელვადიანი სესხი), ხარისხების შემოღება მატყლის მიღების დროს, მატყლზე გადასახადების შემცირება და სხვა.

ღვინის დამზადება

12 იანვარს ა | კ. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოში შესდგა თათბირი ღვინის დამზადება-გასაღების შესახებ.

თათბირმა დაადასტურა დიდი მოთხოვნილება საქართველოს ღვინოზე საკავშირო ბაზარზე, რაც აიხსნება, როგორც მომხმარებლის სყიდვითი უნარიანობის გაძლიერებით, ისე მცირე მოსავლით კავშირის სხვა რაიონებში (ყირიმი, თურქესტანი, აზერბეიჯანი და სომხეთი).

მოთხოვნილების გადიდებასთან ერთად იზრდება ფასებიც, როგორც რუსეთში, ისე ადგილობრივ. დასამზადებელი ფასი დღეს არის სამ-ოთხი მანეთი ფრანკო-მარანი.

გასული წლის ღვინის მოსავალი საქართველოში უდრის 5,000,000 ვედროს. აქედან შეიძლება დამზადებული იქნეს გასატანათ მილიონ-ნახევარი ვედრო და 500,000 ვედრო კონიაკის სპირტის გამოსახდელათ. როგორც ღვინის, ისე სპირტის გასაღება უზრუნველყოფილია.

გასაზიდათ ნავარაუდევ მილიონ ნახევარ ვედროდან დაახლოვებით 30 პროც.—500,000 ვედროს გაიტანს კერძო კაპიტალი. მაშასადამე, სახელმწიფო-კოოპერატიულმა ორგანიზაციებმა უნდა შესძლონ ერთ მილიონ ვედროს გატანა.

აქედან უზრუნველყოფილია (საჭირო თანხით და ჩასასხმელ ჭურჭლით) დამზადება-განაღდება მხოლოდ 600,000 ვედროსი („საქართველოს ღვინო"—300,000 ვედრო, სახალხო მამულთა ტრესტი 200,000 და „გრუზგოსტორგი" 100,000).

თათბირმა დაადგინა იშუამდგომლოს რათა დანარჩენი 400.000 ვედროს დასამზადებლათ მიეცეს კოოპერატიულ ორგანიზაციებს 1.200.000 მანეთის კრედიტი, ფუთზე სამი მანეთი.

გარდა ამისა, რადგან ჩასასხმელი ჭურჭელის სიმცირე აფერხებს დამზადებას—სულ დამამზადებელ ორგანიზაციებს აქვთ 340,000 ვედროს ჭურჭელი (სახალხო მამულთა ტრესტს 150.000, „საქართველოს ღვინოს" 60,000, „გრუზგოსტორგს"—100.000 და წარმოკავშირს 40.000), სულ კი საჭიროა 500.000 ვედროს ჭურჭელი,—თათბირმა დაადგინა დამატებით კრედიტი ჭურჭლის შესაძენათ მიეცეს აღნიშნულ ორგანიზაციებს 300.000 მანეთი.

ამრიგათ, სულ საჭიროა მილიონ ნახევარ მანეთის კრედიტი, მათ შორის 50 პროც. იანვარ-თებერვალში, ხოლო დანარჩენი 50 პროც. მარტ-აპრილში.

ძირითად დამამზადებლათ თათბირის დადგენილებით ითვლებიან კოოპერატიული ორგანიზაციები („საქართველოს ღვინო", ცეკავშირი და წარმოკავშირი), სახალხო მამულთა ტრესტი და საქართველოს სახელმწიფო საპაიო ამხანაგობა.

დასასრულ თათბირმა დაადგინა გატარებული იქნეს ცხოვრებაში შემდეგი ზომები: ტარიფის დაკლება ღვინოზე, დამამზადებელ ორგანიზაციების მიერ შეთანხმებულათ ბაზრის გამორკვევა და შესწავლა, შეთანხმება დამამზადებელ ორგანიზაციებს შორის დამზადება-გასაღების საქმეში და სხვა.

სახალხო ჯანმრთელობა

ახალი ფარმაცევტების მომზადება

ფარმაცევტთა მოსამზადებელი კურსების გახსნა, რომელიც მიმდინარე წლის 10 იანვარს უნდა მომხდარიყო პროვინციებიდან გამოწვეული კურსანტების ჩამოუსვლელობის გამო, გადაიდო 15 იანვრისათვის.

ამ ჟამად აფთიაქების რიცხვის გამრავლების გამო, დიდი მოთხოვნილება არსებობს აფთიაქის კვალიფიციურ მუშაკებზე. ფარმაცევტთა არსებული რიცხვი ვერ აკმაყოფილებს საჭიროებას.

ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატი კურსებს ხსნის იმ მიზნით, რომ აფთიაქის შეგირდებისაგან მოამზადოს ფარმაცევტები, რომელნიც კურსების დასრულების შემდეგ დაგზავნილი იქნებიან პირველ ყოვლისა ისეთ რაიონებში, სადაც ფარმაცევტთა ნაკლებობა ფულზე მეტად არის საგრძნობი.

კურსებზე მიღებული იქნებიან აფთიაქის მოწაფენი, რომელთაც აქვთ 4 კლასის ცოდნა და მუშაობის სამწლიანი სტაჟი. აგრეთვე მიიღებიან ახალგაზრდები საშუალო განათლებით და მუშაობის ორწლიანი სტაჟით. კურსებზე მოსამზადებლად მოწვეულია 60-მდე ახალგაზრდა.

განზრახული იყო კურსებზე ახალგაზრდათა მეტი რიცხვის მომზადება, მაგრამ საქმეს აბრკოლებს საბინაო კრიზისი, რომლის გამო შეუძლებელი ხდება მოწაფეთა განსაზღვრულ რიცხვზე მეტის დაბინავება. გამოწვეული 60 კაცისთვის პროფკავშირთა საბჭომ ჯანსახკომს აღუთქვა ბინის მიცემა საერთო სათვისტომოს მოსაწყობად. გარდა ამისა ჯან. სახ. კ—მა გადასცა 300 მანეთი საბინაო საქმის მოსაგვარებლად. კურსებზე მეცადინეობა იწარმოებს ორ ენაზე: ქართულად და რუსულად. კურსები გაგრძელდება 4 თვეს. დამთავრების შემდეგ კურსანტები გამოცდებს ჩააბარებენ სახელმწიფო უნივერსიტეტის საექიმო დარგზე.

საზოგადო სამუშაოები

ცხრა ათასი მანეთის ეკონომია

საზოგადო სამუშაო, რომელიც მოწყობილი იყო ვერის ხიდიდან ჯავრის ხიდამდე ფართე მოკენჭილი გზის გასაყვანათ, უკვე დამთავრდა.

წინასწარი ხარჯთ-აღრიცხვით აღნიშნულ გზის გაყვანა უნდა დამჯდარიყო 69,390 მან., ნამდვილათ ამ საქმეზე დაიხარჯა 60,000 მან. ამრიგათ გაკეთებული იქნა 9390 მან. ეკონომია, ანუ ხარჯთ-აღრიცხვის 13,5 პროც., ამ ეკონომიიდან 10,3 პროც. დარჩა იმიტომ, რომ გზის გაყვანა არ იქნა იჯარით გაცემული და სამუშაო შესრულებული იქნ უშუალოდ საზოგადო სამუშაოების მოწყობის საშუალებით.

ეს გარემოება კიდევ ერთხელ ამტკიცებს იმას, თუ რამდენათ ხელსაყრელია საზოგადო სამუშაოების მოწყობა. ამავე დროს საზოგადო სამუშაოები,—გარდა იმისა, რომ იძლევიან ნაკლებ ხარჯებს, ერთად-ერთი საყურადღებო საშუალებათაგანია უმუშევრობასთან საბრძოლველად.

რ.

თბილისის კეთილმოწყობა

თბილისის აღმასრულებელი კომიტეტის საგეგმო კომისიამ დაამტკიცა კეთილმოწყობის განყოფილების მიერ წარდგენილი ქალაქის კეთილმოწყობის ხუთწლიანი გეგმა.

გამომუშავებულ გეგმის მიხედვით ქალაქის კეთილმოწყობაზე 1926 წლისათვის განზრახულია დაიხარჯოს 2.260.000 მანეთი, 1927 წლისათვის—5.917.000 მანეთი, 1928 წლისათვის—5.347.000 მანეთი. 1929 წლისათვის 5.082.000 მანეთი. 1930 წლისათვის—4.882.000 მანეთი.

სულ 5 წლის განმავლობაში ქალაქის კეთილმოწყობას უნდა მოხმარდეს 24 მილიონ მანეთამდე.

განზრახულია ამ 5 წლის განმავლობაში დაგებული აქვს ქვაფენილი ნაძალადევის, საბურთალოს, ვაკეს და ავლაბრის რაიონებში.

ამავე უბნებში გაყვანილი და მოწესრიგებული იქნება ახალი ქუჩები. ამავე პერიოდში გაკეთებული იქნება 16 სკვერი და 23 სასეირნო ბაღი, დაშორებული იქნება მტკვარის მარჯვენა შტო და გაყვანილ იქნება გვირაბი. გარდა ამისა 5 წლიან გეგმაში შეტანილია ნაგავის ორი დასაწველი ღუმელის მოწყობა, კრემატორიუმის აგება, დეზურული ბაზრის მოწყობა, ბალნეოლოგიური სადგურის აშენება და მრავალი სხვა წვრიმალი მშენებლობა.

გეგმით გათვალისწინებულია აგრეთვე მუშათა ახალი სახლების აგება, კანალიზაციის გადაკეთება ორი კოლლექტორის გამოცვლის საშუალებით. კანალიზაციის გადასაკეთებლად განზრახულია ხუთი წლის განმავლობაში დახარჯულ იქნეს 5 მილიონი მანეთი, ხოლო მუშათა სახლების აგებაზე ნახევარი მილიონი მანეთი.

თბილისის ტრამვაი

ყოველი მოქალაქე თავის თვალით ხედავს, რომ თბილისის ტრამვაი დღითი დღე უმჯობესდება. ახალი ლიანდაგები, ახალი ხაზები, ახალი რონოდები, შეუწყვეტელი მუშაობა დღით და ღამით ტრამვაის ხაზებზე—ყველასათვის ადვილი შესამჩნევია, მაგრამ ბევრისათვის დღემდე შეუმჩნეველია ის დიდი აღმშენებლობა, რომელიც ტრამვაის სამმართველოს უწარმოებია თავის მეურნეობის ახალორძინებლად და გასაუმჯობესებლად უზარ-მაზარ სახელოსნოებში და ტრამვაის მთავარ სადგურზე—პარკში.

ვისაც ტრამვაის სახელოსნოები უნახავს ამ სამი-ოთხი წლის წინად, იგი დღეს განცვიფრებაში მოვა, იმდენად აღორძინებულია იგი არა მარტო გასულ 3—4 წელთან შედარებით, არამედ მასთან, რაც იყო იგი ბელგიელთა ხელში.

ტრამვაის სამმართველო არ დაკმაყოფილდა მხოლოდ იმით, რომ მეურნეობა მშვიდობიანი დროის დონემდე მიეყვანა და ტრამვაის მეურნეობა აუყვანია ისეთ სიმაღლემდე, რომ დღეს კეთილმოწყობის მხრივ და ტეხნიკური მოწყობილობის თვალსაზრისით მას ჩამოურჩება საბჭოთა კავშირის ბევრი დიდი ქალაქის ტრამვაის მეურნეობა. იმ სიღარიბის და ფინანსიური ხელმოკლეობის პირობებში, რომელსაც ამ უკანასკნელ წლებში თბილისის კომუნალური მეურნეობა განიცდიდა, ტრამვაის მიღწევები აღმშენებლობის დარგში საარაკოთ უნდა ჩაითვალოს.

აქ ამ წერილში ჩვენს მკითხველს გავაცნობთ იმ მიღწევებს, რომელსაც იგი ვერ იცნობს და რომელიც ისე არა სცემს თვალში.

პირველი, რაც მნახველის აღფრთოვანებას იწვევს, არის ის უზარ-მაზარი შენობები, რომლების ნაწილი უკვე აუგიათ და ნაწილი კი ამ უახლოვეს თვეებში დამთავრდება. ორი დიდი სავაგონო პარკი განახლებულია იმდენად, რომ ძველი შენობიდან თითქმის აღარაფერი დარჩენილა.

ამ პარკის გვერდით აგებულია უზარ-მაზარი დარბაზი, რომელიც სიდიდით სჭარბობს კინო პალასს და რომელიც დაიტევს 2.500-მეტს კაცს. აქ ამ დარბაზში მოწყობილი იქნება სასადილო და სცენა წარმოდგენებისათვის.

იმავე ეზოში, სადაც მოთავსებულია ვაგონების სადგომი პარკები და სასადილო დარბაზი, აგებულია საწყობების დიდი შენობა, რომლის სიგრძე 200 საჟენამდე აღწევს. უკანასკნელ დრომდე ტრამვაის არ ქონია რიგიანი საწყობი, რის გამოც ტრამვაის სამშენებლო მასალა გარეთ—ცის ქვეშ ეყარა და მისი მნიშვნელოვანი ნაწილი უვარგისდებოდა.

საწყობი შეიცავს ორ დიდ განყოფილებას; ერთ მათგანში მოთავსებული იქნება რკინის და სხვა მძიმე ლითონის მასალა, ხოლო მეორეში ტანსაცმელი და სხვა მსუბუქი საქონელი.

საწყობის შენობა აგებულია ბითუმი ტინობით და სავსებით დაცულია ცეცხლის გაჩენის საფრთხისაგან. საწყობებს გარშემოვლება ლიანდაგი, რომელზედაც პატარა რონოდების საშუალებით იწარმოებს საქონლის გადატვირთ-გადმოტვირთვა.

შენობებს გარშემო შემოვლებული აქვს თხრილები, სადაც თავს იყრის ნაწვიმარი წყალი, რომელიც გადის საერთო არხში.

რამოდენიმე თვის წინად ტრამვაის ეზო წვიმების დროს ისე ატალახებულ იყო, რომ მოუხერხებელი იყო ტალახში ამოუსვრელად გავლა. ამჟამად იგი მოგებულია ქვაფენილით, რაც საშუალებას იძლევა დაცულ იქნეს სისუფთავე საშინელ უამინდობის დროსაც.

ვისაც წინად ტრამვაის პარკის ახლო გაუვლია, ველარ იცნობ იმ დიდ მინდორსაც, რომელიც მის პირდაპირ მდებარეობს. ამ მინდვრის ჩრდილოეთ კიდეში აგებულია ერთსართულიანი გძელი შენობა, რომელიც ორად განიყოფება. ერთში უკვე მოთავსებულია ავტომობილების გარაჟი, ხოლო მეორე ნაწილში ძველ შენობებიდან გადმოყვანილ იქნება ერთ-ერთი სამქრო. ამ შენობის აგება დაწყებულ იქნა მიმდინარე წლის შემოდგომაზე და დამთავრდა ამ რამოდენიმე დღის წინად. ამავე ეზოს სამხრეთ კიდეში შენდება აგურის ახალი შენობა, სადაც მოთავსებულ იქნება თუჯის, სპილენძის და თიხის ჩამოსასხმელი სამქრო, სადაც დაიდგმება 300 ფუთიანი ღუმელი.

ამ 3—4 თვის წინად გაუვერანებული და ტიელი მინდორი, ამჟამად უკვე სავსებით გასუფთავებული და ქვაფენილით მოგებულია.

თუ სამქროებში შეიხედავთ, ადვილად აღმოაჩენთ ბევრს ცვლილებას.

პირველ ყოვლისა,—თვალში გეცემათ შედარებით უკეთესი სანიტარულ და ჰიგიენური პირობები, ვიდრე იყო ერთი-ორი წლის წინად. სამქროები დღეს უფრო სინათლიანია და ჰაერიც უფრო სუფთაა. მომუშავეები, რასაკვირველია, უზრუნველყოფილი არიან სპეციალურ ტანსაცმელებით. ახლად დადგმული ვინტილიატორები სამქროებს ასუფთავებენ და აწვდიან მათ სუფთა და საღ ჰაერს.

მოკლე დროში სამქროებში დაიდგმება განსაკუთრებული ტერმომეტრები, რომელთა საშუალებით მოსახერხებელი გახდება სამქროებში ტემპერატურის შესწავლა და მის ისეთ დონეზე დაყენება, რომ თავიდან აცილებული იქნება ჯანმრთელობისათვის მავნე ჰაერის მოძრაობა.

არა ნაკლებ მნიშვნელოვანია სამქროების საწარმოო იარაღების გაუმჯობესებაც. ამ უკანასკნელ ხანებში შეძენილია ახალი გაუმჯობესებული დაზგები, რომელნიც ერთი ორად ადიდებენ წარმოების ნაყოფიერებას.

გვერდს ვერ აუხვევთ ტრამვაის სამეურნეო საწყობებსაც, რომლებიც სავსე არიან სხვადასხვა საამშენებლო მასალით და სატანსაცმელო საქონლით. სამმართველოს წინასწარ უხვად მოუმარაგებია მშენებლობისათვის საჭირო მასალა.

იქვე მახლობლად ენერგიულად მუშაობს ტრამვაის სამკერვალო, რომელიც ამჟამად ამზადებს თბილ ტანსაცმელს მუშებისათვის.

სამქროებსა და პარკში ამჟამად მიმდინარეობს გაცხოველებული მუშაობა. 25 თებერვლისათვის სახელოსნოებმა უნდა გამოუშვან 20 ახალი მატორიანი და 10 მისაბმელი რონოდა. აქედან 10 თითქმის მზად არის და გამოშვებული იქნება ერთ თვეში. ამ 30 ვაგონის დამთავრების შემდეგ სასაფლაოზე (სასაფლაოს აქ ეძახიან ძველ დამტვრეულ ვაგონების გროვას, რომელიც გამოუყენებელი იქნა ახალი ვაგონების გასაკეთებლათ) დარჩება მხოლოდ 6 ვაგონი, რომლის ნაწილებიც აგრეთვე მოხმარდება ახალი ვაგონების აგებას.

ამასთანავე საფუძვლიანი რემონტი უკეთდება რამოდენიმე მომქმედ მატორიან და მისაბმელ რონოდას.

გარდა ამისა, სახელოსნოებს უკვე დამზადებული აქვს ორი დიდი ქვიშა-აგურის და სხვა საამშენებლო მასალის საზიდი რონოდა.

ტრამვაის დიდ მიღწევად უნდა ჩაითვალოს აგრეთვე სამი დიდი ავტომობილი-კოშკები (თბილისის მოქალაქეები მათ ეშაფოტს უწოდებენ), რომელიც შეძენილია და გაკეთებული ტრამვაის საჰაერო-ხაზის გასაყვანათ და შესაკეთებლად.

ორი ეშაფოტის ძალოვნება 2 ტონია, ხოლო ერთი სამ ტონიანია. მრავალ ქალაქის ტრამვაისათვის ასეთი ეშაფოტები იდეალს წარმოადგენენ. გარდა ამ ეშაფოტებისა, ტრამვაის სატრანსპორტო საჭიროებისათვის შეძენილი აქვს კიდევ რამდენიმე საბარგო ავტომობილი.

როგორია ტრამვაის სამმართველოს საქმიანობა სადგურსა და სახელოსნოებს გარეთ, ჩვენმა მკითხველებმა იციან.

ამ უახლოეს წლებში კი მას განზრახვა აქვს გაიყვანოს ლიანდაგები—ვაკეზე, საბურთალოზე, ნაძალადევიდან — ღრმაღელებამდე, ნავთლუღის რაიონში ძველ სასაფლაომდე, თავისუფლების მოედნიდან აბანოებამდე, პლეხანოვის პროსპექტიდან კირკის ქუჩით ყოფილ ჩერქეზიშვილის ქუჩამდე.

ის სიყვარული,საქმის ინტერესი და თავდადებული მუშაობის უნარი, რომელსაც იჩენენ ტრამვაის მუშები და ტრამვაის წითელი დირექტორი ამხ. სანდრო ფარნიევი სრულ საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ეს დიდი განზრახვა მოკლე ხანში ფაქტად იქცევა.

ვ. დ.

რკინის გზებზე

ა. | კ. რკ. გზ. ხარჯთ-აღრიცხვა.

ა. | კ. რკ. გზების სამმართველომ მიიღო ცნობა მოსკოვიდან გზათა მიმოსვლის კომისარიატის მიერ ა.-კ. რკინის გზების ხარჯთ-აღრიცხვის განხილვის შესახებ.

ხარჯთ-აღრიცხვა ასეა შედგენილი: საექსპლოატაციო საქმეს—18 მილიონი. ახალ სამუშაოებზე—5.895 ათასი მანეთი (ამაში არ შედის ხარჯები საპერსპექტივო გეგმით გათვალისწინებული ელექტროფიკაციისა) და საბინაო მშენებლობაზე—800.000 მან.

სადგ. ხეთა ა. | კ. რკინის გზების სისტემაში.

ა. | კ. რკინის გზებსა და შავი ზღვის რკ. გზის სამმართველოს შორის მოხდა შეთანხმება, რომლის თანახმად სადგ. ხეთა (შავი ზღვის რკინის გზა) შეტანილია ა. | კ. რკინის გზების სისტემაში.

ადმინისტრატიული და დისციპლინარული დასჯა.

დეკემბრის განმავლობაში ა. | კ. რკინის გზებზე ადმინისტრატიულ და დისციპლინარულის წესით დასჯილ იქნა 92 რკინის გზის აგენტი, რომელთაგან 3 დათხოვნილია სამსახურიდან, ხოლო დანარჩენებს მიეცათ გაფრთხილება.

სახალხო კომისართა საბჭოში

ხე-ტყის ნორმის გადიდება ბორჯომის რაიონში

სახკომსაბჭომ მიიღო საგეგმო კომისიის მიერ წარმოდგენილი მოსაზრებანი ბორჯომის რაიონში გლეხობაზე ხე-ტყის შეღავათიან პირობებში გაცემის ნორმის გადიდების შესახებ.

ბორჯომის რაიონში გლეხობაზე ხე-ტყის გაცემის ნორმა გადიდებულ იქნა დასავლეთ საქართველოს ნორმამდე იმ აუცილებელ პირობების დაცვით, რომ ხე ტყის მასალა შეღავათიან პირობებში გაცემულ იქნება მხოლოდ იმ უბნებიდან, სადაც ეს შესაძლებელია ტყის რაციონალურ ექსპლოატაციის საფუძველზე აგებულ სამეურნეო გეგმის მიხედვით.

გლეხობაზე გასაცემ ხე-ტყის საერთო ნორმების განხილვა და გადასინჯვა გადაიდო ვიდრე არ დასრულდება ადგილობრივი მნიშვნელობას ტყეების გლეხობაზე გადაცემა.

ხე-ტყის გაცემის საერთო ნორმების გადასინჯვა და საჭირო მასალის მოგროვება დაევალა მიწათმოქმედების სახ. კომისარიატს.

ზემოხსენებული დადგენილება გადაეცა დასამტკიცებლად საქ. ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს.

ა.-კ. საგეგმო კომისიაში

საშემოსავლო გადასახადი.

ამიერ-კავკასიის სახელმწიფო საგეგმო კომისიამ მიიღო პროექტი დებულებისა საშემოსავლო გადასახადის შესახებ სახელმწიფო, კოოპერატიულ და პროფესიონალურ ორგანიზაციებიდან და შერეულ საზოგადოებებიდან.

პირველი პროექტი შემუშავებული იქნა საბჭოთა კავშირის ფინსახკომის მიერ. ამიერ-კავკასიის სახელმწიფო საგეგმო კომისიამ მასში შეიტანა მხოლოდ ზოგიერთი ცვლილებები ადგილობრივ პირობებთან შეფარდებით.

პროექტის მიხედვით, საშემოსავლო გადასახადით დაბეგრილი იქნებიან სახელმწიფო ტრესტები, კომბინატები, სინდიკატები, სამეურნეო ანგარიშზე მყოფი წარმოებები, სააქციონერო და საპაიო ამხანაგობები, რომლებიც ინახავენ აღმასკომები და სავაჭრო-სამრეწველო წარმოებები, რომლებიც განთავისუფლებული არ არიან სასარეწაო გადასახადისაგან, და კოოპერატიული ორგანიზაციები.

საშემოსავლო გადასახადისაგან თავისუფლდებიან— ორგანიზაციები, რომელთა შემოსავალი არ აღემატება 1.000 მანეთს, სასარეწაო გადასახადისაგან განთავისუფლებული ორგანიზაციები, პირველი საფეხურის სოფლის კოოპერატივები—სასარეწაო და სამომხმარებლო კოოპერატიული წარმოებები (თუ კოოპერატივის ყველა წარმოებების წლიური შემოსავალი არ აღემატება 30.000 მანეთს), საბინაო ამხანაგობები, საბინაო საამშენებლო კოოპერატივები და მათი გაერთიანებები, და აგრეთვე ყველა სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო კოოპერატივები და გაერთიანებები.

გადასახადი გაწერილი იქნება წმინდა მოგების 8 პროცენტის რაოდენობით.

ჯარიმა

ამიერ-კავკასიის სახელმწიფო საგეგმო კომისიამ მიიღო პროექტი იმ ჯარიმის განაწილების შესახებ, რომელიც გადახდება მაგარი სასმელების უკანონოთ დამამზადებლებს, შემნახველებს და გამსაღებლებს.

პროექტის მიხედვით, ჯარიმიდან და კონფისკაციაქმნილ ქონების გაყიდვიდან შემოსულ თანხის 25 პროცენტი უნდა გადაირიცხოს ადგილობრივ აღმასკომების თანხებში, 75 პროც. კი ეძლევა იმათ, ვინც აღმოაჩინოს და დაიჭიროს უკანონოთ დამზადებულ მაგარ სასმელებს.

ხუთშაბათს, 14 იანვარს,
საღამოს 6 საათზე თბილისის აღმასკომის დარბაზში დანიშნულია
საბჭოს ყველა სექციების ბიუროების
გაერთიანებული სხდომა
დღის წესრიგი:
1. საბინაო საკითხი,
2. მიმდინარე საკითხები.
დასწრება ბიუროების წევრებისათვის სავალდებულოა.
აღნიშნულ სხდომას შეუძლიათ დაესწრონ საბჭოს წევრებიც.
2—2 ნ. 585 პრეზიდიუმი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მზადება საბჭოთა არჩევნებისათვის

აფხაზეთში

სოხუმი, 11 იანვ. უკვე მთავრდება სასოფლო საანგარიშო კრებების ჩატარების კამპანია. გლეხობა დიდის ინტერესით ეკიდება არჩევნებს. ყველგან ემჩნევა დიდი აქტიობა ამომრჩეველთა მასსებში. ყველაზე მეტის ყურადღებით ეპყრობიან გლეხები სამაზრო აღმასკომის მოხსენებებს. ისინი უკვე მიეჩვიენ, თავიანთი ინტერესები დაუკავშირონ მაზრის ინტერესებს და აგრეთვე მთელ საბჭოთა აპარატის მუშაობას.

თბილისის მაზრა

ლიუქსემბურგი. 11 იანვ. საარჩევნო კამპანიის ჩასატარებლათ გაწვეულია 25 ამხანაგი, რომლებიც დაგზავნილი არიან თემებში. ყველა მათგანმა უნდა მოიწვიოს საბჭოს სხდომა, სადაც უნდა გამოვიდენ მოხსენებით სამაზრო აღმასკომის მოღვაწეობის შესახებ.

ამავე სხდომებზე მოსმენილ უნდა იქნეს მოხსენებანი თემის აღმასკომის მუშაობის შესახებ და არჩეულ უნდა იქნენ საარჩევნო კომისიები.

ახალქალაქის მაზრა

ახალქალაქი, 11 იან. არჩევნების გადადების გამო 1 თებერვლისათვის საარჩევნო კამპანია ცოტა შენელდა. ადგილებზე დაგზავნილი ამხანაგები მუშაობენ სიების გადასინჯვასა და დამტკიცებაზე. აგრეთვე იხილავენ საჩივრებს და მხურვალე მონაწილეობას იღებენ მოხსენებით გამოწვეულ კამათში. უკვე დაგზავნილია ადგილობრივ ენებზე დაბეჭდილი 43,000 საარჩევნო უწყება.

ავიაქიმში

„ავიაქიმი" აფხაზეთში

აფხაზეთის „ავიაქიმი" შესდგება 114 უჯრედისაგან, რომლებშიაც გაერთიანებულია—4.500 წევრი: 3.000—ქ. სოხუმში და 1.500—პროვინციაში. მას აქვს აგრეთვე სამოდელო წრეები: სოხუმში—5 და მაზრებში—1. ტრომის სკოლებთან დაარსებულია „ავიაქიმის ახალგაზრდა მეგობართა უჯრედები. ამასთანავე სოხუმში დაარსებულია ამხ. ლაკობას სახელობის ავიაქიმის რაზმი, რომელშიაც ირიცხება—36 ახალგაზრდა კომკავშირელი. რაზმის მიზანია სასოფლო-მეურნეობის მავნეებთან ბრძოლა და იგი შესდგება: თვალყურის მდევნებელ, საგაზო და სანიტარული განყოფილებებისაგან. განყოფილებებში მომუშავეთ გავლილი აქვთ სპეციალური კურსები.

„ავიაქიმი" ა.-კ. სასოფ.-სამ. გამოფენაზე

ამიერ-კავკასიის „ავიაქიმ"-მა დაადგინა მიიღოს მონაწილეობა ა.-კ. სახელმწიფო ვაჭრობის საპაიო ამხანაგობის მიერ გამართულ სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე. „ავიაქიმი" გამოაფენს სასოფლო მეურნეობის მავნებელთა და ნიადაგის გამანოყიერებელ მასალების ექსპონატებს.

წევრთა ხელახალი რეგისტრაცია

4 იანვრიდან სწარმოებს ამიერ-კავკასიის „ავიაქიმი"-ს წევრთა ხელ-ახალი რეგისტრაცია.

„ავიაქიმი" სოფლად

„ავიაქიმი"-ს თბილისის მე-3 რაისაბჭო აწარმოებს ნიადაგის განოყიერებას ყურაიაში. ნიადაგის განოყიერება სწარმოებს სხვადასხვა გვარ ქიმიურ მასალით, რომლებსაც ამზადებენ თბილისის სასაკლაოში. ნიადაგის განოყიერების ცდებს აქვთ აგიტაციის მნიშვნელობა და ისინი სწარმოებენ უფასოდ.

პატარა ფელეტონი

აღიარეს!..

კომპარტიის მიერ წამოყენებული ლოზუნგი ყოფილ სამეფო გვარეულობის ქონების აუნ ზღაურებლად ჩამორთმევის შესახებ დიდი წარმატებით სარგებლობს...

რესპუბლიკანელების კრებაზე ფრანკფურტში რეიხსტაგის პრეზიდენტმა, სოც. დემ.-ლებემ აღიარა, რომ რევოლიუციამ „მძიმე დანაშაული ჩაიდინა ყოფილ სამეფო გვარეულობის ქონების საკითხში", რომელიც, მისი აზრით, „ტანჯული ხალხის (გერმანიის) სრულ საკუთრებას" შეადგენს.

(დეპეშებიდან)

აღიარეს!.. მათ ეს ცოდვა
აღიარეს...
რიგში მაინც სხვა ცოდვები
აგვიანებს...
ჯიუტობენ და ეხტიბარს
არ იტეხენ,
ენას ისე უსმენ ყბაში,
თითქოს ჰხეხენ!..
და იცავენ თავის „პრესტიჟს",
თუ „რენომეს",
ითაკილებს თვით ის მეფეც
ეხლა რომელს,
ვისაც პირად სარგებლობის
დაცვა სურდათ,
ალბათ, მეფეს შემოაკლდა
როცა „ხურდა"
და ეხდეკთ ამ გასაჭირში
იგი ნახეს,
მისი დახსნა „ხალხის ხარჯზე"
განიზრახეს!..
რაა ცუდი თუ რომ ეს ხალხს
დაგვეღონებს?!.
მეფეს უჭირს?.. ის გაიკრავს
მილიონებს
ქონებაში, რომელიც მას
წილად ერგო:
ეზო, ხნული, ბაღი, ბაღჩა,
სახლის ერდო,
გასაქანი, გასახედი,
გასარბენი...
ეჰ, აქ მეფეს ღვაწლი მოსჩანს
რაოდენი!..
მას წოურწყავს თვისი ოფლით
ეს ნახნავი!..
(თუმცა არას დროს არ მომხდარა
ეს ამბავი!..)
მას უყვარდა გაზაფხულზე
გასხლა ბაღის...
(აქ კვალს დღესაც რამდენს ნახავთ
მეფის წალის!..)
ახ, რამდენჯერ გათოხნა აქ
მან ეს ბაღჩა!..
(დღესაც მოსჩანს საფრთხობელათ აქ
მეფის თახჩა!..)
კოლინდარით მოუთესავს
მან ეს ეზო...
(მოლს ატყვია, თუ სად ეგდო
მეფის თეძო,
როცა ის აქ იღლებოდა
ხალხზე წოლით...
გვერდით ეწვა, თუ არ ვცდები,
თვისი ცოლიც!..)

ერთი სიტყვით რამდენია
მეფის ღვაწლი!..
და სხვა ქვეყნად ყოფნა მისი
აგერ რვა წლის
მის ადრინდელ ყოფა-დგომას
კვალს ვერ აჩნევს,
რომ თვით ლებეც მას მეფედ
დღეს ძლივს არჩევს!..
და ეს ხდება, მხოლოთ დიდი
ბრძოლის შემდეგ,
ჯიუტობით, ვით შეშვენის
ნამდვილ „ეს-დეკ"-ს,
მხოლოთ ბოლოს უხრის ის თავს
კომპარტიას,
ზურგს აქცევს რა ყოფილ მეფეს
სიმპატიას,
„ტანჯულ ხალხის საკუთრებათ"
აღიარებს:
მეფის ეზოს, მის სახლს, მის კარს,
ბაღს და ზვარებს...
აღიარებს თვის შეცდომას
და „სოც. დემ."-თა,
რომ პარტია" ამ საკითხში
მხოლოდ შესცდა,
თითქოს სცოდა მან მარტო ამ
ერთ საკითხში!..
დანარჩენი მიყრილია
თითქოს ჩიხში
და ზედ ლებეც, ვით ლეში,
აფარია...
მაგრამ, ჰეი!.. ეს ჩაჩხვა
ხომ ზღაპარია!
და კატუნი თქვენი თავის,
ენის ლოკვა
კომპარტიის მტკიცე ნაბიჯს
მხოლოდ მოჰყვა!
ეს პარტია მომავალშიც
დაგანახვებსთ
უშნოსა და თან საზარელ
თქვენსავ სახეს,
მაგრამ თქვენ კი იპოვით, ვსთქვათ,
თქვენშიც უნარს,
რომ დროზედვე დასდოთ წუნი
დასაწუნარს?
და ცოდვები საზოგადოთ
აღიაროთ?
მეფისათვის მრუდე გზებით
არ იაროთ?
ხალხს არ მისცეთ ხარჯი, ენება
და ზიანი?
საეჭვოა, რომ გასწორდეს
კუზიანი!..

ონისიძე.

პარტიული ცხოვრება

საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტი
წინადადებას აძლევს საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ყველა რაიკომებს
პარასკევს, ა | წ. 15 იანვარს

ერთიან პარტიულ დღეს

მოიწვიონ უჯრედების ჯგუფური კრებები და დღის წესრიგში დასვან საკითხი

საკავშირო კომპარტიის მე-14-ე ყრილობის შედეგების შესახებ

(ცეკას პოლიტიკური ანგარიში)

უჯრედთა კრებების ჩასატარებლად რაიონებზე მიმაგრებული არიან შემდეგი ამხანაგები:

ლენინის რაიონი—ამხ. კახიანი, სვანიძე, ახრიბეკოვი.

მე-2 რაიონი—ამხ. კახიანი, ახრიბეკოვი, რატნეკი.

მე-3 რაიონი—ამხ. ლუკაშინი, ყურულაშვილი, ვართაპეტოვი და შირვანსკი.

ქალაქის რაიონი—ამხ. მამია ორახელაშვილი, ოკუჯავა, ლუკაშინი, ნაზარეთიანი და კოსტანიანი.

მიმაგრებული ამხანაგები უნდა შეუთანხმდნენ სათანადო რაიკომებს.

თბილისის კომიტეტის მდივანი—**ახრიბეკოვი.**

კომპარტიის ბაქოს ორგანიზაცია—კიროვს

(დეპეშა)

ლენინგრადის საგუბერნიო კომიტეტი ამხ. კიროვს

ძვირფასო კიროვ! ჩვენი პარტიის ბაქოს ორგანიზაცია ყოველთვის დაკავშირებული იყო განუწყვეტელი ამხანაგური ძაფებით ლენინგრადის პროლეტარიატთან და ლენინგრადის ორგანიზაციასთან. ჩვენთვის ლენინგრადის ორგანიზაცია იყო და ვფიქრობთ, დარჩება საუკეთესო ბოლშევიკური ტრადიციების, ბოლშევიკური შემჭიდროების, ბოლშევიკურ დაურღვეველ მთლიანობის, ნამდვილ ლენინიზმის გამომხატველად. ლენინგრადის ორგანიზაცია მრავალ ათეულ წლების განმავლობაში ცარიზმის, მენშევიკების, თეთრგვარდიელების წინააღმდეგ ბრძოლაში იყო ყოველთვის მოწინავე რკინის რაზმი ჩვენს პარტიაში.

მაგრამ ლენინგრადის ორგანიზაცია განირჩეოდა არა მარტო ამით. მის უდიდეს დამსახურებას წარმოადგენდა და წარმოადგენს მოხერხებული და გაბედული ბრძოლა ჩვენი საკუთარი პარტიის რიგებში შემჩნეულ მერყეობათა და ქანაობათა წინააღმდეგ გადამწყვეტ მომენტში. წვრილ ბურჟუაზიულ მერყეობას ყოველთვის ერთსულოვან წინააღმდეგობას უწევდა ლენინგრადის ორგანიზაცია. ლენინგრადის ორგანიზაცია, როგორც ერთი კაცი ტროცკიზმთან ბრძოლის პერიოდში 1923 წელს იცავდა ჭეშმარიტ ლენინიზმს. დიახ, იგი იყო პირველი, რომელიც ამხედრდა ტროცკისტურ საფრთხის წინააღმდეგ 1923 წელს და ბაქოს ორგანიზაცია ყოველთვის ასეთ პერიოდში გრძნობდა თავის იდეურ ნათესაობას მასთან, ჩვენ ხშირად სიამაყით უწოდებდით ბაქოს სამხრეთის ლენინგრადს. ჩვენ ყოველთვის მტკიცედ და დარწმუნებით მივდიოდით ხელი ხელ ჩაკიდებული ჩვენ ჩრდილოეთის მოძმე-არტერიის ორგანიზაციასთან ერთად; მაგრამ ამავე დროს ჩვენ არ შეგვიძლია დავიფაროთ ის გრძნობა და სულიერი განწყობილება, რომელიც გამოიწვია ჩვენში ლენინგრადის დელეგაციამ პარტიის მე-14 ყრილობაზე.

ამხანაგებო! ჩვენ შეჩვეული ვართ უყუროთ ლენინგრადის ორგანიზაციას, როგორც ჩვენი ცენტრალური კომიტეტის საიმედო საყრდენს, მაგრამ თქვენი დელეგაცია ყრილობაზე გამოვიდა ცენტრალურ კომიტეტის წინააღმდეგ, და ამით კი მთელი პარტიის წინააღმდეგ. ჩვენ ღრმა რწმენით, ლენინგრადის დელეგაციის ყრილობაზე ეჭირა არასწორი პოზიცია, როდესაც იგი გამოვიდა თანამოხსენებით ცენტრალურ კომიტეტის პოლიტიკურ მოხსენების გამო.

მან დაუშვა უდიდესი პოლიტიკური შეცდომა, როცა ლენინგრადის მე-22-ე საგუბერნიო კონფერენციის გადაწყვეტილების მიუხედავათ, ხმა მისცა ცეკას სწორი ლენინური ხაზის მოწონების წინააღმდეგ. დელეგაციას მთელ რიგ საკითხებში პარტიის ყრილობაზე ეჭირა პრინციპიალურად შეცდარი პოზიცია და თავის მოქმედებით მან რამოდენიმედ შეარყია ლენინური რიგების რკინისებური მთლიანობა. ყრილობამ სადაო საკითხებში გამოიტანა თავისი გადაწყვეტილებანი, რომლებიც სავალდებულოა მთელი პარტიისათვის.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ლენინგრადის ორგანიზაცია გაასწორებს თავისი დელეგაციის შეცდომებს და გაერთიანებული ყრილობის გადაწყვეტილებათა საფუძველზე ცენტრალური კომიტეტის ირგვლივ, ისევ გახდება პარტიის ერთ-ერთ უმთავრეს რაზმად.

ბაქოს ორგანიზაცია, მასთან ერთად, როგორც ამას არა ერთხელ ჰქონდა ადგილი აქამდის, სავსებით, და მთლიანად დაუჭერს მხარს ლენინიზმის უზენაეს ორგანოს-პარტიის ცენტრალურ კომიტეტს. ჩვენ ეჭვი არ გვეპარება, რომ ლენინგრადის ორგანიზაცია წინანდებურად დარჩება ცენტრალური კომიტეტის საუკეთესო დასაყრდენად რყევისა და ქანაობის წინააღმდეგ ბრძოლაში, სოციალიზმის აღმშენებლობისათვის ბრძოლაში.

არ შეგვიძლია აგრეთვე არაფერი ვსთქვათ იმაზე, რომ ჩვენი პარტიის უზენაესი ორგანოს ცენტრალური კომიტეტის სურვილით და აქედან მთელი პარტიის სურვილით, შენ ჩვენი პარტიის აზერბეიჯანის ორგანიზაციის ხელმძღვანელი და ბაქოს მუშებისთვის საყვარელი ამხანაგი, გაგზავნეს სამუშაოთ ლენინგრადის ორგანიზაციაში. ჩვენ მეტად გვიძნელდება შენი დაშორება, შენ ძვირფასი ხარ ჩვენთვის, მაგრამ ჩვენ თავს ვინუგეშებთ იმით, რომ შენ იქნები ლენინგრადში. შენმა ხუთი წლის მუშაობამ ბაქოში დაგვანახვა, რომ შენ ხარ საუკეთესო მუშაკი და ამხანაგი. ჩვენ ღრმად დარწმუნებული ვართ, რომ შენ ლენინგრადში იქნები იგივე, რაც იყავი ბაქოსი და მთელი ამიერკავკასიის მუშებისათვის. ამხანაგი ლენინგრადელი კომუნისტები შენი სახით იძენენ მტკიცე და ბრძოლაში გამობრძმედილ ძველ ბოლშევიკს ლენინელს და პროლეტარული ორგანიზაციის საუკეთესო ხელმძღვანელს. შენი მუშაობა ლენინგრადში კიდევ უფრო განამტკიცებს ურთიერთ მეგობრობის გრძნობას ჩვენი კავშირის ორ მსხვილ პროლეტარულ ორგანიზაციებს შორის. გაუმარჯოს ჩვენს უფროსს ჩრდილოელ თანამოძმეს, ლენინგრადის ორგანიზაციას! გაუმარჯოს ლენინიზმის შტაბს, საკავშირო კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს, გაუმარჯოს ლენინური რიგების მთლიანობას!

აზერბეიჯანის კომპარტიის ბაქოს კომიტეტის მდივანი **მირზოიანი.**

საკავშირო კომპარტიის ც. კ. პირველი პლენუმის დადგენილება

მოსკოვი, 13 იანვ. საკავშირო კომპარტიის ცეკას პირველ პლენუმზე მიღებული იქნა მთელი რიგი დადგენილებათა, რომელიც გამომდინარეობს ყრილობის გადაწყვეტილებიდან.

ყრილობის მიმართვაში ლენინგრადის ორგანიზაციის წევრებისადმი აღნიშნული იყო, რომ დისკუსია გადაწყვეტილებათა მიღების შემდეგ უნდა იქნას შეწყვეტილი. ეს აღნიშვნა ჩვენი პარტიის ორგანიზაციულ ტრადიციების მიხედვით საფუძვლათ დაედო ცეკას პლენუმის გადაწყვეტილებებს.

თავისთავად ცხადია, რომ ცეკას პლენუმის სურვილია რაც შეიძლება უმტკივნეულოთ დაძლეულ იქნას კრიზისი, რომელიც გამოაშკარავდა ლენინგრადის დელეგაციის გამოსვლასთან დაკავშირებით. ამიტომ ცეკამ დაავალა მომხსენებლებს, რომლებიც იზიარებენ ცეკას ხაზს, თავიანთი მოხსენებები დაამყარონ ყრილობის რეზოლიუციებს, თავი შეიკავონ პირადულ გამოსვლებისაგან და პასუხი გასცენ ყრილობის წინაშე მდგომ საკითხებზე არსებითად. მეორეს მხრივ, პლენუმმა შეუძლებლათ დაინახა ყრილობის უმცირესობაში მყოფ პასუხისმგებელ ამხანაგების (ცეკას და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის წევრთა და კანდიდატთა) მიერ თავიანთ შეხედულებათა გავრცელება და ყრილობაზე მათ მიერ დაჭერილ პოზიციის განმარტება. მოხსენებები ყრილობის გადაწყვეტილებათა შესახებ უნდა გააკეთონ პარტიის ხაზის მომხრეებმა. ადგილი არ უნდა ჰქონდეს ოპოზიციონურ თანამოხსენებებს და ცეკას და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის იმ წევრთა და კანდიდატთა კამათში გამოსვლას, რომლებიც ყრილობის უმცირესობაში იმყოფებოდნენ. წინააღმდეგ შემთხვევაში პარტიაში დადგებოდა დისკუსიის ახალი პერიოდი, რაც დაუშვებელია ყრილობის გადაწყვეტილებათა და პარტიის და სახელმწიფოს მიმართ სწორი ხელმძღვანელობის თვალსაზრისით.

აქედან აშკარაა, რომ ანგარიშების კამპანიის ჩატარების დროს ერთნაირად დასაშვებია, როგორც ყრილობის უმცირესობის და ლენინგრადის დელეგაციის ყოფაქცევის ობიექტიური კრიტიკა, ისე პარტიულ კოლექტივების თავისუფლება მიიღონ მოხსენებების გამო ყრილობის გადაწყვეტილებათა ფარგლებში ისეთი რეზოლიუციები, როგორსაც ისინი საჭიროთ დაინახავენ.

შემდეგ პლენუმმა გადასწყვიტა, რომ როგორც საერთო პარტიულ ხაზის, ისე ოპოზიციის წარმოდგენილების სიტყვები და მოხსენებები გამოიცეს ავტორების თანხმობით; ამასთან ერთად გამოცემის საქმე უნდა იყოს ცეკას ხელში და ყველა ასეთ გამოცემას თან დაერთოს პარტიულ ყრილობის რეზოლიუციები.

პარტიის მთლიანობისათვის

მოსკოვის გარნიზონის კომუჯრედის კონფერენცია

მოსკოვი, 12 იანვარი. გაიხსნა მოსკოვის გუბერნიის გარნიზონის საკავშირო კომპარტიის სამხედრო უჯრედების მესამე კონფერენცია.

კონფერენციამ ფრუნზეს ხსოვნის პატივსაცემად ფეხზე დგომით მოისმინა სამგლოვიარო მარში.

კონფერენციის პრეზიდიუმის საპატიო წევრებად არჩეული არიან: სტალინი, რიკოვი, კალინინი, ბუხარინი, ვოროშილოვი, მოლოტოვი, ტომსკი, ბუბნოვი და უგლანოვი.

საკავშირო კომპარტიის მეთოთხმეტე ყრილობის შედეგების შესახებ მოხსენების შემდეგ მიღებულ იქნა რეზოლიუცია, რომელშიაც კონფერენცია სოლიდარობას უცხადებს მოსკოვის ორგანიზაციის პარტაქტივის დადგენილებას მეთოთხმეტე პარტყრილობის გადაწყვეტილებათა შესახებ და ესალმება პარტიის რიგების რკინისებურ მთლიანობას.

კონფერენციამ გაუგზავნა მისალმებები საკავშირო კომპარტიის ცეკას, მოსკოვის კომიტეტს და „პრავდას“

წყალთა მეურნეობის მუშაკთა საკავშირო ყრილობა.

მოსკოვი, 12 იანვარი. წყალთა მეურნეობის მუშაკთა სრულიად საკავშირო ყრილობა საკავშირო კომპარტიის ცეკასადმი მისალმებაში იძლევა პირობას, რომ გაატარებს ყრილობის დადგენილებებს იმ მუშებისა და მოსამსახურეების შორის, რომელთაც ის აერთიანებს.

„ცენტრალური კომიტეტი, ნათქვამია მისალმებაში, 8 წლის განმავლობაში ებრძვის ყოველგვარ დაბრკოლებებს და თავდაუზრელად მიჰყავს პროლეტარიატი სწორი გზით საბოლოო გამარჯვებისაკენ.

ქარხანა „ბოლშევიკ“-ში.

ლენინგრადი, 13 იანვარი. ქარხანა „ბოლშევიკის“ კოლექტივის კრებას დაესწრო დაახლოვებით 1000 კაცი. სიტყვები წარმოსთქვეს კალინინმა, მოლოტოვმა, ოპოზიციონერების სახელით—გლებოვმა, ავილოვმა და იაროსლავმა.

550 ხმის უმრავლესობით წინააღმდეგ 50-ისა მიღებული იქნა რეზოლიუცია, რომელიც მხარს უჭერს ცეკას ხაზს. ლენინგრადის დელეგაციის მოქმედება დაგმობილია. დადგენილი იქნა მოხდეს კოლექტივის ბიუროების და რაიკომების ხელახალი არჩევნები.

მოსკოვ-ნარვის რაიონის ცალკე ქარხნების კომუნარების მრავალრიცხოვანი ჯგუფები აცხადებენ, რომ ისინი უერთდებიან პარტიის ყრილობას და გმობენ თავიანთ რაიკომის და მთლი დელეგაციის საქციელს. მოსკოვ-ნარვის რაიონის და რაიკომის წევრები, რომლებიც იმყოფებოდნენ ოპოზიციაში, აცხადებენ პრესის საშუალებით, რომ მათ შეცდომა ჩაიდინეს.

ქარხანა „კრასნი პუტილოვეც“-ის სამჭედლო სახელოსნოს პარტუჯრედის წევრები და კანდიდატები მთლიანად შეუერთდნენ ყრილობის გადაწყვეტილებებს და შემცდარათ სთვლიან მოსკოვ-ნარვის რაიონის აქტივის დადგენილებას.

ქარხანა „კრასნი პუტილოვეც“-ის საიონოლო-მექანიური სახელოსნოს პარტუჯრედის წევრები და კანდიდატები აგრეთვე გაემიჯნენ ოპოზიციას.

პარტაქტივის გაძლიერებისათვის

პარტაქტივის გაძლიერების საკითხი ერთი მთავარი საკითხთაგანია ჩვენი პარტიისათვის. ეს საკითხი მჭიდროთ დაკავშირებულია პარტდავალებების მიზანშეწონილათ განაწილებასთან პარტიის წევრებს შორის და ზოგიერთ ამხანაგების განტვირთვასთან ზედმეტ დავალებებიდან.

ცნობილია, რომ ბევრ უჯრედში, თემკომში, რაიკომში, სამაზრო პარტკომში და სხვ. დღესაც ის ამხანაგები მუშაობენ აქტიურათ, რომლებიც წამოყენებულ იქნენ ამ რამდენიმე წლის წინათ. ერთ და იმავე ამხანაგს უხდება უჯრედის მუშაობის ხელმძღვანელობაც, სააგიტაციო-საპროპაგანდო მუშაობის წარმოებაც, კომკავშირის უჯრედზეც ხელმძღვანელობა, ქალთა შორის მუშაობის წარმოებაც და სხვ. ათასი დავალებების შესრულება.

ხშირათ შეხვდებით სოფლის უჯრედში რამდენიმე წლის განმავლობაში ერთ და იმავე პირთ უჯრედის ბიუროში, ერთ და იმავე ამხანაგს უჯრედის მდივნათ. ასევე ხდება ბევრგან ქალაქებში და მუშურ რაიონებშიც.

ჩვენი პარტია იზრდება არა მარტო რიცხობრივათ, არამედ თვისობრივათაც. პარტიის წევრთა შეგნება, პოლიტიკური ცოდნა თანდათან წინ მიიწევს. აქტივობაც იზრდება. თუ წინათ უჯრედში ნაკლებათ ნახავდით ამა თუ იმ საკითხის გარჩევის დროს აზრთა გაცვლა-გამოცვლას, დღეს იშვიათად ნახავთ, რომ საკითხების გარჩევაში პარტიის წევრთა უმრავლესობამ არ მიიღოს მონაწილეობა. ყოველი პარტიის წევრი სცდილობს თავისი წვლილი შეიტანოს საერთო მუშაობაში.

აქედან ცხადია, რომ ჩვენ საშუალება გვაქვს წამოვაყენოთ ახალი მომუშავენი, მივანდოთ მათ სხვადასხვა დავალებანი და ამით განვტვირთოთ ზოგიერთი ამხანაგები ზედმეტი მუშაობიდან. მართალია, პირველათ სერიოზულ დავალებებს ვერ მივცემთ სამუშაოზე ახლად წამოყენებულ ამხანაგებს, მაგრამ პატარა დავალებების მიცემით შეიძლება ისე გამოიცადონ ამხანაგები, რომ შემდეგ უფრო პასუხსაგები სამუშაო დავაკისროთ.

მიუხედავათ იმისა, რომ პარტაქტივის გაძლიერების შესაძლებლობა, როგორც ვსთქვით, დღეს ჩვენ უსათუოდ გვაქვს, ამ საკითხის გადაჭრა მაინც მოისუსტებს. ქალაქებში და საერთოდ მსხვილ მუშურ ცენტრებში ამ მხრით უკეთესადაა საქმე. სოფლათ კი პარტაქტივის გაძლიერების საკითხი ჯერ დასმულიც არაა. ამას ჯეროვანი ყურადღება უნდა მივაქციოთ. უჯრედი უნდა ეცადოს, რომ ყოველი პარტიის წევრი გამოიყენოს, მისცეს ესა თუ ის დავალება, თვალყური ადევნოს სრულდება თუ არა ეს დავალება, შეცდომებზე მიუთითოს. უჯრედმა უნდა აამუშაოს თვითეული წევრი, და ამნაირათ გააძლიეროს აქტივობა წევრებში, არაა საჭირო, არ შეადგენს აუცილებლობას, რომ პასუხსაგებიც და უბრალო დავალებანიც ყოველთვის ერთს და იმავე წევრს დავაკისროთ. პარტიის თვითეული წევრი გამოყენებულ უნდა იქნეს ამა თუ იმ სამუშაოზე. ეს შეუწყობს ხელს პარტიაში აქტივობის ზრდას, ახალ ძალების წამოყენებას.

ამ საქმეში უმთავრესი როლი უნდა ითამაშონ უჯრედების ბიუროებმა და მდივნებმა. მათ უნარიანობაზეა დამოკიდებული პარტიაში აქტივის წამოყენების საკითხის მოწესრიგება.

სამაზრო და სარაიონო კომიტეტებმა შესაფერი ყურადღება უნდა მიაქციონ ამ საკითხს და სათანადო ინსტრუქციები მისცენ სოფლის უჯრედებს.

დ.

ს. კ. პ. (ბ) ქუთაისის სამაზრო კომიტეტის პლენუმი

ქუთაისი, 12 იანვ. საქართველოს კომპარტიის ქუთაისის სამაზრო კომიტეტის პლენუმზე მიღებულ იქნა დადგენილება პარტიული მუშაობა რაიკომის სისტემიდან თემურ სისტემაზე გადასვლის შესახებ, სამტრედიისა და ტყიბულის გარდა, რომელთაც დიდი სამრეწველო მნიშვნელობა აქვთ.

საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებამ თავის მოხსენებაში აღნიშნა, რომ მერვე სამაზრო კონფერენციის შემდეგ მთავარი ყურადღება მიქცეული ჰქონდა პოლიტიკურ-აღმშენებლობითი და საგანმანათლებლო მუშაობას. მაზრაში დაარსებულია პოლიტიკური ცოდნის ორი მოძრავი სკოლა: სამტრედიის და ტყიბულის რაიონებში. ქუთაისში პარტიის წევრთა და კომკავშირელთათვის გაიხსნა 5 პოლიტიკური ცოდნის სკოლა, სადაც სწავლობს აგრეთვე უპარტიონიც. იხსნება პირველი და მეორე საფეხურის წრეები ლენინიზმის შესასწავლად. სარაიონო ცენტრებში (ტყვიბულში, ხონში, სამტრედიაში) გადაწყვეტილია გაიხსნას პოლიტცოდნის თითო სკოლა.

ყურადღება ექცევა აგრეთვე ინტელიგენციის შორის მუშაობას: მუშაობა სწარმოებს განათლების მუშაკთა კავშირის საშუალებით. გადაწყვეტილია ყოველკვირეული გაზეთის გამოშვება. აგიტპროპის მუშაობა მოწონებულ იქნა პლენუმის მიერ.

პარტმუშაობა ლიის რაიონში

(ზუგდიდის მაზრა)

ლიის რაიონი აერთიანებს ექვს კომუჯრედს. სულ ირიცხება 36 წევრი და 48 კანდიდატი ყოველ უჯრედზე მიმაგრებულია რაიკომის წევრები. გამოყოფილია აგრეთვე ქალთა შორის მომუშავე: ერთი ამხანაგი მიმაგრებულია კომკავშირის უჯრედებზე; მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ მუშაობა ამ მხრივ არ არის დამაკმაყოფილებელი, არ არის დამაკმაყოფილებელი მუშაობა უჯრედების მდივნების მხრივაც. რა არის მიზეზი? უცოდინარობა. წესრიგის დაცვის პირველი ადგილი უჭირავს. წესრიგის დარღვევას არ აქვს ადგილი, მაგრამ უბედურება სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ვერ იქნა და ვერ მოხერხდა მდივნების გადამზადება.

მართალია, სამაზრკომი აგზავნის თბილისში უჯრედების მდივნებს მოსამზადებელ კურსებზე, მაგრამ რად გინდა გააგზავნო ისეთი მდივანი რომელსაც ქართული ენა ცუდათ ესმის ან სულ არ ესმის; ამიტომ არ წავიდა თბილისში უჯრედების მდივნები ჩვენი რაიონიდან

მეორე ნაკლი ორგანიზაციული მუშაობისა არის შემდეგი: არის ისეთი უჯრედები; სადაც პარტიის წევრი ორია, უჯრედების მდივნობა ყოველთვის ერთ და იმავე ამხანაგებს ეკისრება და ისიც ზოგი აღმასკომის თავმჯდომარეა ან მისი მოადგილე.

გადავდივარ ეხლა კომკავშირზე. მუშაობა მოისუსტებს მიზეზი ამაში უნდა ვეძიოთ, რომ არაა სათანადო ხელმძღვანელობა კომკავშირის რაიკომისა, რასაც ბოლო უნდა მოეღოს. საჭიროა უფრო ცოცხალი კავშირი უჯრედებთან და სათანადო ხელმძღვანელობა გაეწევა კომკავშირს. კომკავშირს უფრო ცოცხალი და მომზადებული ძალები ყავს და კარგი ხელმძღვანელობის მუშაობა თავის სიმაღლეზე დადგება.

კომუჯრედების მუშაობის გასაჯანსაღებლად საჭიროა ადგილობრივად მაზრაში გაიხსნას სათანადო კურსები უჯრედების მდივნების გადასამზადებლათ. ამით მე ვფიქრობ რომ საქმე გამოკეთდება და უჯრედების მუშაობა უფრო გამოცოცხლდება.

ილია ენგურისპირელი.

საბჭოთა საქართველო

დეპეშები

ფოთის ჭაობების ამოშრობა.

ფოთი, 13 იან. ამჟამად სწარმოებს მუშაობა მდ. კაპარჭის ნაპირების გასამაგრებლათ. დამთავრდა წინასწარი მუშაობა რიონის რაიონში, ფოთსა, ქალადიდსა და ქვალონს შორის, სულ 6.000 დესეტინა მიწაზე. ამ არეს ამოშრობის პროექტი მოწონებულია საქართველოს წყალთა მეურნეობის სამმართველოს მიერ და გადაეგზავნა საბჭოთა კავშირის საგეგმო კომისიას დასამტკიცებლად.

დამთავრდა ვიწრო ლიანდაგიანი რკინისგზის გაყვანა 3 ვერსის მანძილზე. ამასთან დაკავშირებით საქ. წყალთა მეურნეობის სამმართველო 15 იანვრიდან იწყებს მექანიკურ სამუშაოებს.

ცემენტი „ზაჰესისათვის“.

ფოთი, 13 იანვ. ნავთსადგურში იტვირთება ნახშირით საბჭოთა სავაჭრო ფლოტის გემი „ლახტა“. სულ დატვირთული იქნება 100,000 ფუთი ნახშირი, რომელიც გატანილი იქნება ნოვოროსიისკში. სამაგიეროდ გემი მოიტანს იქიდან ცემენტს „ზაჰესისათვის“.

კოოპერაციის მუშაობა

ქუთაისი, 13 იანვარი. კოოპერატიულმა ორგანიზაციებმა წარადგინეს ანგარიში თავიანთ მუშაობის შესახებ. ზუგდიდის მაზრის 8 კოოპერატივის საერთო მოგება ნოემბერში უდრის 31,222 მანეთს.

საკრედიტო ამხანაგობებში.

ქუთაისი, 13 იან. ს. კურსებში გაიმართა საკრედიტო ამხანაგობის წევრთა კრება. წმინდა მოგება უდრის 1.000 მანეთს. გლეხები ამხანაგობის მუშაობას ნდობით და თანაგრძნობით ეპყრობიან. ანაბარების ჯამი 740 მანეთს შეადგენს მთელი ბალანსის 10 პროც. ამხანაგობა იწყებს ღვინის გასაღებას საკომისიო საფუძვლებზე. შეკვეთილია 1.000 ფუთი შაბიამანი და 500 ფუთი თივა. გლეხობა დიდ ინტერესს იჩენს ვერმორელის აპარატისადმი.

ზესტაფონის საკრედიტო ამხანაგობა აწარმოებს საკომისიო ოპერაციებს უმთავრესად სიმინდით. ოპერაციები სწარმოებს გლეხების ხარჯზე, რომლებმაც ამ მიზნით შეიტანეს 2.500 მანეთი. განზრახულია 50 ვაგონი სიმინდის შეძენა. ამხანაგობამ რამდენიმე სამეურნეო ორგანოებთან დასდო ხელშეკრულება ღვინის მიწოდების შესახებ და შეიძინა ერთიან სამომხმარებლო საზოგადოებასთან ერთად ვაზები სანერგესათვის, რომელმაც უნდა მიაწოდოს ნერგები მთელ სამეგრელოს.

ზუგდიდის საკრედიტო ამხანაგობა შეუდგა ახალ საწყობების შენობების მოწყობას. ამხანაგობამ სასოფლო-სამეურნეო ბანკის ქუთაისის განყოფილების საშუალებით შეუკვეთა 10.000 ფუთი ვაზების სამკურნალო მასალა: გოგირდი, შაბიამანი და 3.000 მანეთის სასოფლო-სამეურნეო იარაღები.

ქოხ-სამკითხველოები

ჭიათურა, 13 იანვ. შორაპნის მაზრაში გახსნილია 37 სათემო და 22 სასოფლო ქოხ-სამკითხველო, რომლებსაც თავის დროზე მოსდით გაზეთები. ქოხების უმრავლესობას აქვს თავისი მოძრავი ბიბლიოთეკები. ყოველ სამკითხველოსთან ადგილობრივ ახალგაზრდობის ინიციატივით ეწყობა წრეები, რომლებშიც ჩაბმულია თითქმის მთელი გლეხური ახალგაზრდობა. გლეხები სთხოვენ აღმასკომს. სახ. განათლების განყოფილებას და პოლიტიკურ განხოფილების სამმართველოს მოძრავ-კინოების შეძენას მაზრისათვის.

საავადმყოფოსათვის

ოზურგეთი, 13 იან. ჩოხატაურის რაიონის მეთხილე-გლეხების თათბირმა მიიღო რეზოლიუცია, რომლის თანახმად ყოველ გაყიდულ ფუთ თხილზე ადგილობრივ საკრედიტო ამხანაგობის საშუალებით გადაირიცხოს 10 კაპიკი სარაიონო საავადმყოფოს საამშენებლო ფონდში.

დახმარება მეფუტკრეებს

ოზურგეთი, 13 იან. მეფუტკრეობის განვითარების მიზნით, ჩოხატაურის საკრედიტო ამხანაგობა აძლევს მეფუტკრე გლეხებს ხელოვნურ ფიჭას და სხვა მოწყობილობას თვითღირებულების ფასებში.

მეთამბაქოების განსავითარებლად

ოზურგეთი, 13 იან. ჩოხატაურის საკრედიტო ამხანაგობამ თამბაქოს პლანტაციების გასაფართოებლად მისცა მეთამბაქოე გლეხებს 8 ათასი მანეთის კრედიტი შეღავათიან პირობებში.

კურსები მეზღვაურთათვის

ფოთი, 13 იანვარი. ფოთის ნავთსადგურში გახსნილია საწარმოო-ტექნიკური კურსები გემების რაზმების კვალიფიკაციის ასაწევად. კურსებზე შევიდა 100 მსმენელი, უმთავრესად, უმუშევარი მეზღვაურები.

კავშირი უცხოელ მეზღვაურებთან

ფოთი, 13 იანვ. მეზღვაურთა ინტერნაციონალურ კლუბში გაიმართა უცხოელ მეზღვაურებთან კავშირის დამყარების საღამო. მეზღვაურთა შორის ძმური კავშირის დამყარების საჭიროების შესახებ სიტყვები წარმოსთქვეს როგორც საბჭოთა, ისე უცხოეთის მეზღვაურებმა. შემდეგ გაიმართა წარმოდგენა, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს უცხოელმა მეზღვაურებმა. საღამოს დაესწრო 70 უცხოელი მეზღვაური, უმთავრესად გერმანელები, ინგლისელები და ამერიკელები.

სამაზრო პროფკავშირთა კონფერენცია

ფოთი, 13 იანვ. 4 დღის მეცადინეობის შემდეგ დაიხურა სამაზრო პროფკავშირთა კონფერენცია. ანგარიში პროფკავშირის მუშაობის შესახებ მოწონებულია. კონფერენციას დაესწრო 120 დელეგატი გადამწყვეტი ხმის უფლებით.

აფხაზეთი

ფქვილი

სოხუმი, 13 იანვ. 1 იანვრისათვის იყო: სახელმწიფო კოოპერაციის საწყობში 4,158 ფუთი ფქვილი, კერძო საწყობებში—3,300 ფუთი, სახელმწიფო ბანკის მისამართით გზაში—6,000 ფუთი, კერძო პირების ხელში—2.000 ფუთი.

თამბაქოს დამზადება

სოხუმი, 13 იანვ. დეკემბერში მეთამბაქოებისგან დამოუკიდებლად დამზადებულია 4.009 ფუთი 1924 წლ. თამბაქო და 368 ფუთი 1925 წლ. თამბაქო. გადახდილია 119.529 მან.

წერილები

საიქიოს მოციქული

(წერილი სენაკის მაზრიდან)

ლეხაინდრაო-ონოღიის თემის გლეხებს შეუძლიათ გულდამშვიდებით იყონ. კაცი იტყვის სიკვდილზე უარესი რა დამემართებაო, ლეხაინდრაოს გლეხებს კი შეუძლიათ ეს თქმულება სავსებით უარყონ, მათთვის სიკვდილი ჩვეულებრივი, ადგილის გამოცვლის მოვლენაა და სხვა არაფერი.

ვთქვათ გინდ მომკვდარა ამ თემში კაცი და გინდ სამტრედიაში გადასახლებულა. კავშირს მასთან ჭირისუფლები სრულიადაც არ კარგავენ. ამ სასახელო და ღვთისნიერ როლს ასრულებს ამ თემში ვინმე ქალი მართა კვანტალიანი. მან თავისი თავი უკვე რამდენიმე წელია ანგელოზათ გამოაცხადა, რომლისთვისაც ღიაა საიქიოს კარები სასუფეველში და ჯოჯოხეთში შესასვლელათ, მას ყოველდღე დანიშნული აქვს ღმერთთან პაემანი და იმდენათ წმინდანია, რომ მაცხოვართან შესასვლელათ კარისკაციც არ სჭირდება.

მან აქ დიდი პატივისცემა და ნდობა დაიმსახურა, ხუმრობა საქმე ხომ არაა, ქალი საიქიოს დადის, ღმერთს ებაასება, რა უნდა იყოს მასთან შედარებით შენი რადიო და ჰაეროპლანი? პირველყოვლისა, ჩაბარებს თუ არა თავისი სულს ესა თუ ის ბედით განაწირი გლეხი, მართა მაშინვე მიმართავს მიცვალებულის ჭირისუფლებს: „შემიძლია გავიგო სად მიაკუთვნა ღმერთმა ბინა თქვენს საყვარელ გარდაცვალებულს სამოთხეში თუ ჯოჯოხეთში, განსაცდელში თუ სატანჯველში“-ო.

თუ მკვდარი მართასათვის უცნობია, ხომ კიდევ უკეთესი. გამოართმევს ჭირისუფალს მიცვალებულის ტანისამოსს, რა არის, ამ ნიშნით უნდა მოვძებნოო. ჩაიკეტავს ღამით კარებს, დაიდგამს შავ სკამს, სკამზე წყლით სავსე ჯამს, იქვე დადგამს ანთებულ სანთელს და იწყებს ბუტბუტს.

მისი სიტყვით შუაღამისას ის მიემგზავრება საიქიოს, ნახულობს მიცვალებულს და ბაასობს მასთან. მეორე დღეს დილა ადრიანათ მიეშურება ჭირისუფლებთან. ასე და ასე, ვნახე თქვენი საყვარელი, ყოჩაღათ არის, არც საჭმელი აკლია, არც სასმელი, ბინაც საუცხოვო აქვს. ეს არის ოღონდ თქვენზე ნაღვლობს, მაგრამ მითხრა: „არა უშავს, ისინიც ხომ აქ მოვლენო, მე ღმერთს ვავედრებ მათ თავს, რომ შეანანიოს ცოდვანი ჩემთა ჭირისუფალთა და მათაც სასუფეველი დაუმკვიდროსო“.

სტირიან მიცვალებულის გულაჩუყებული ჭირისუფლები, ცხარე ცრემლებს ღვრიან. მართას ჯიბეში კი ვერცხლის ფულები მიდიან-მიხრიალებენ.

ეს კიდევ რა უნდა იყოს, ღვთისნიერ დედაკაცის სახელი ისე შორს გავარდა, რომ მასთან ფოთიდანაც კი ჩამოდიან გარდაცვალებულების ამბების გასაგებათ. მართაც სამოციქულოს არხეინათ იღებს. ან კი რა ცნალება, მე შენ გეტყვი, მიცვალებულები არ ამხედრდნენ და საპროტესტო კრება არ მოაწყონ მატყუარი საიქიოს მოციქულის წინააღმდეგ.

ძ. აბაშისპირელი

გადავარჩინეთ ტყე განადგურებისაგან

ზომლეთის თემის სოფ. ვანში (გურია) ადგილობრივ კულაკს მ. მახარაძეს ჩამოართვეს 12 ქცევა საუცხოვო ტყე, რომელიც ჯერ კიდევ ნორჩია. ამ ტყეში იშვიათია 5—6 გოჯიანი ხე. ამას სატყეო განყოფილებამ თავის დროზე მიაქცია ყურადღება და სასტიკად აკრძალა ამ ტყის ექსპლოატაცია.

შემდეგ ტყე გლეხკომს გადაეცა. გლეხკომი აგრე მოიქცა. მაგრამ, ამ უკანასკნელ დროს, სოფლის საბჭოს რამოდენიმე წევრებმა შეიტანეს საბჭოში წინადადება, რათა ეს ტყე გაეყიდა და ფული თემის საჭიროებაზე მოეხმარათ.

[illegible] ამისა, რომ ს. ვანის [illegible] წინააღმდეგი იყვნენ ამ ტყის გაყიდვის, თემის საბჭომ თავისი გაიტანა. ტყე გაყიდეს 860 მან. ის იყიდა მოიჯარადრე დანიელ თავაძემ, რომელსაც შემდეგ რამოდენიმე საბჭოს წევრებიც (უკანასკნელნი დაფასებაშიც შედიოდნენ) ამოუდგენ გვერდში.

ამრიგად ჩვენი თემის ერთად ერთ ტყეს უკვე დაუწყეს გაჩეხვა. საჭიროა დროზე მიღებულ იქნას ზომები ტყის განადგურებისაგან გადასარჩენად და დამნაშავე საბჭოს წევრთა პასუხისგებაში მისაცემათ.

ხაფანგი.

ენერგიული გამგეობა

(ს. ხოვლე, გორის მ.)

დაახლოვებით იქნება ერთი წელიწადი, რაც სოფ. ხოვლეში დაარსდა კოოპერატივი „იმედი“. დღიდან მისი დაარსებისა ეს კოოპერატივი დიდ ენერგიას იჩენს და გლეხებს დროულად აწვდის პირველ მოთხოვნილების საგნებს.

კოოპერატივ „იმედმა“ ამ ბოლო დროს შეიძინა „ფორდზონის“ ფირმის ტრაქტორი, რომლის ფასიც სრულათ გადაიხადა. კოოპერატივმა გახსნა თავის ხარჯზე ბიბლიოთეკა და გამოიწერა ჟურნალ-გაზეთები: „კომუნისტი“, „მუშა“, „ახალგაზრდა კომუნისტი“ და აგრეთვე ყოველკვირეული ჟურნალები.

კოოპერატივ „იმედს“ სათავეში უდგანან პარტიული ამხანაგები და აგრეთვე უპარტიონიც.

ვისურვებდით, რომ კოოპერატივ „იმედს“ შემდეგშიაც ასეთივე ენერგიით განეგრძოს მუშაობა და ამით სავსებით გაემართლებინოს ის იმედები, რომელსაც „იმედზე“ ამყარებენ ხოვლელი გლეხები.

ხოვლელი ვანო.

უნდა გამოსწორდეს

(როდინოულის თ., ქუთ. მ.)

ამას წინად სოფელ როდინოულში მოხდა საბჭოს არჩევნები. ქუთაისის სამაზრო აღმასკომიდან არჩევნების ჩასატარებლათ ჩამოვიდა ვლადიმერ მანჯგალაძე. მან არჩევნები მოახდინა არა ხალხის სურვილისამებრ, არამედ მათ წინააღმდეგ. მოიწვია ყოველ საოცისთაოდან ორი კაცი და მოახდინა გადარჩევა. როდინოულის თემში სულ არის 1.700 სული, რომლიდანაც არჩევნებს უეჭველად უნდა დასწრებოდა დაახლოვებით 300 კაცამდი მაინც. არჩეული უნდა ყოფილიყო 17 საბჭოს წევრი.

მანჯგალაძემ ეს არ ისურვა. ალბათ მოერიდა თავის შეწუხებას,—მოიწვია 40-დე კაცი და აირჩია საბჭო. მთელი სოფელი წინააღმდეგია ასეთი არჩევნების და უკმაყოფილებას გამოსთქვამს. ასეთივე „არჩევნები“ მოაწყო მანჯგალაძემ შარშანაც. მაშინ მან პირდაპირ ძალით გაიყვანა თავმჯდომარეთ შაქრთამე ხაჭაპურიძე, რომელიც მთელი სამი წლის განმავლობაში აჯდა სოფელს და დღეს კი პასუხისგებაშია მიცემული. ხაჭაპურიძის კარგი კაცობა იცოდა მანჯგალაძემ, მაგრამ ხელს აფარებდა. დღეს მანჯგალაძემ ძველი აღმასკომი და თავმჯდომარე ხალხის დაუკითხავათ დასტოვა ისევ. რაშია საქმე? ნუ თუ გლეხებმა არ უნდა მოითმინოს ერთი წლის თავზე აღმასკომის მუშაობა? თემის დიდი უმრავლესობა წინააღმდეგია არჩევნების. მათ არ სურთ ძველი თავმჯდომარე—ამხ. დ. მაღლაკელიძე. არ ვიტყვი, რომ ამხ. დათიკო მაღლაკელიძე ბოროტებას ჩადიოდეს, მაგრამ მას არ შეუძლია თემის მართვა-გამგეობა. ის არ არის ამისათვის მომზადებული. ჩვენ ვფიქრობთ, რომ დაშვებული შეცდომა მალე იქნება გამოსწორებული.

ვ.

არჩევნების მოლოდინში

(ლიხაურის თემი გურია)

წარსულ წლის საბჭოთა არჩევნები ჩვენს თემში არჩევნები კი არა სახალხო ზეიმი იყო, ასეთი, რომ ლიხაურის წარსულს არ ახსოვს. ხმის მისაცემათ ყველა გამოცხადდა. არჩევნები პერსონალურად მოხდა. თვით ხალხმა დაასახელა 80 კანდიდატამდე და მათ შორის ხმის უმეტესობით არჩეულ იქნა ორმოცი კაცი. ახალი საბჭო დიდ იმედებს იძლეოდა. ვინ იცის რას არ პირდებოდა ის სოფელს.

სინამდვილეში კი რას ვხედავთ? დადგენილებანი და დიდი მიზნები დარჩა „ხმად მღაღადებელისა უდაბნოსა შინა“ და მომავალ 1926 წლის საბჭოთა არჩევნების დროს არ ვიცით, როგორი ანგარიშებით წარსდგება საბჭო ხალხის წინაშე.

მართალი უნდა ითქვას, რომ მდ. ბჟუჯზე და აჯის წყალზე რკინის ხიდის გაკეთების საქმეში საბჭომ ბევრი თავი იტეხა. სამაზრო ხელისუფლებიდანაც იყო დაპირება სათანადო დახმარებაზე, რაც ვერ მოვიდა სისრულეში. რკინები ჰყრია უპატრონოდ. ზოგი წყალს მიაქვს და ზოგი სხვა დაწესებულებებს. გამკაცე არაა.

ოქტომბრის 8 წლის თავი აქ არ უდღესასწაულებიათ. თავმჯდომარემ სათანადო ტელეფონოგრამა მაზრიდან თავის დროზე მიიღო. მდივანი თავს იმართლებს, რომ მას ცნობა თავმჯდომარიდან თავის დროზე არ მიუღია. მაგრამ ეს მას ისედაც უნდა სცოდნოდა.

მაზრიდან მოვიდა წარმომადგენელი ამხ. გ. ქილიფიარი, რომელსაც თავმჯდომარემ უთხრა: „მომითმინეთ და ხალხი თავს მოიყრისო“; თვითონ კი ქორწილში გაიპარა. არ იყო სათანადო ზომები მიღებული და არც არავინ მოსულა. წარმომადგენელმა შეღამებამდის იცადა, რის შემდეგ მიზან მიუღწეველი, გულ-დაწყვეტილი მაზრაში წავიდა.

ამ საკითხს საბჭო თავის მორიგ სხდომაზე განიხილავს და სასტიკ განაჩენსაც გამოიტანს.

ამ წელში მაზრამ ცენტრიდან მიიღო თვრამეტი ათასი მანეთი (18,000 მ.) იაფი სამეურნეო სესხი. ამის შესახებ ჩვენი თემის აღმასკომს მაზრიდან არავითარი ცნობა არ მიუღია, რომ ჩვენი თემის იმ მცხოვრებთაც ესარგებლათ მთავრობის დახმარებით.

რვა თვის განმავლობაში ჩვენს თემში ოთხ მკვლელობას ჰქონდა ადგილი. პირველ მკვლელს სასამართლომ მიუსაჯა სამ წლამდე ციხე. ამან სხვებიც გაათამამა და ერთი მკვლელობას სამი მიემატა.

წარსული წლის სექტემბრის რიცხვებში მქონდა წერილი „კომუნისტში“. მე ვწერდი, რომ ლიხაურის ცენტრალურ სამკითხველოდან ზოგიერთმა პირებმა წიგნები ბოროტად გამოიყენეს, რაც გამოიხატებოდა წიგნების დახევა და [illegible], კარგი წერილების მთელი კინძისა და სურათების მოპარვაში. ამაზე უნდა მოეხდინა სათანადო განკარგულება სამაზრო პოლიტგანს. სამწუხაროდ არაფერი არ მოუხდენია. კიდევ მეტი სამკითხველოს გამგეს ოთხი თვეა ჯამაგირი არ მიუღია.

ვერც კოოპერატივი მუშაობს წესიერად. კარზე აწერია, „დაკეტილია“.

გლეხები უცდიან გაღებას და ასე ამბობენ: „დაკეტილია ვხედავთ და როდის გაიღება ალახმა უწყის. ოჯახ აშენებულს დაეწერა რომელ საათზე იღება და იკეტება და რომ გავიგებდით, და თუ არ შემეძლო ცდა, წავიდოდით“.

ჩაქუჩი.

ს. გეზათი (სენ. მ.)

ღირსეული გლეხკომი. ჩვენს სოფელში აღმოჩნდა კირის და აგურის გამოწვის მცოდნე პირები. გლეხკომმა გადასდო თანხა ქარხნის ასაშენებლად, რომელიც დაასრულეს სექტემბრის უკანასკნელ რიცხვებში. დღეს ქარხანა საუკეთესო ხარისხის კირსა და აგურს იძლევა. ამავე ქარხანას შეუძლია კრამიტის დამზადება. ასეთი გლეხკომი მადლობის ღირსია.

ი. შუბლაძე.

დ. ძველი სენაკი

გახსენით ფურნე. აქ ორმოცამდე მუშა-მოსამსახურეა. დაბაც მრავალრიცხოვანია. არსებობს ხუთი კერძო ფურნე და არც ერთი კოოპერატიული. კერძო ვაჭრები ხალხს მჟადგარეულ პურს აჩეჩებენ. ადმინისტრაციამ ეს იცის, მაგრამ ზომებს არ ღებულობს.

აქაური.

ლაგოდეხი (სიღნ. მ.)

მყიდველები გათავხედდენ. ჩვენი თემი ცნობილია თამბაქოს მოსავლით. წელს გლეხებმა ვალი აიღეს წარმოკავშირიდან და თამბაქოს ტრესტიდან ახალი მოსავლის იმედით. მოსავალიც აიკრიფა. მაგრამ ფასები ჯერაც არაა დატკიცებული შინავაჭრობის კომისარიატის მიერ. მყიდველები სარგებლობენ გლეხების უმწეო მდგომარეობით და ღირებულების ნახევარ ფასსაც არ იძლევიან თამბაქოში.

გლეხკომელი.

ს. ასურეთი (თბილ. მ.)

არაფერი კეთდება. თუმცა ჩვენს სოფელში არის ლიკსკოლა. მაგრამ იქ მეცადინობა თითქმის არ სწარმოებს. მსმენელები გაკვეთილებს არ ესწრებიან, მასწავლებლებიც გულგრილად ეკიდებიან საქმეს. საჭიროა პოლიტგანის საბჭოს თავმჯდომარემ ხშირ-ხშირად შემოიაროს ჩვენსკენ.

გლეხკორი მათხოვჯელი.

ს. საკორინთლო (გორ. მ.)

ოღაძეს თავს გაუდის. ჩვენი სკოლით სარგებლობენ მეზობელ სოფლის ახალშენელი გლეხებიც, მაგრამ საკორინთლოში არსებული საბჭოს წევრი მიტრო ოღაძე, რომელიც ახალშენას ბავშვებს ჩვენს სკოლიდან ჯოხით მიერეკება. თქვენი მშობლები საკორინთლოს გლეხკომში არ შემოდიანო, ეუბნება ის პატარებს. ოღაძეს არავინ არაფერი არ ეუბნება და იმიტომაა, რომ ასე გაუდის თავს.

მ. ტანჯულისშვილი.

დ. ჟრებალო (ლეჩხ. მ.)

მხიარული გამგე. აქაურ ფოსტა-ტელეგ[illegible] განყოფ. გამგეთ დანიშნულია ვინმე სუ[illegible]გულაძე, რომელიც მეტ დროს ქეიფში ქალებთან სეირნობაში ატარებს. ამას წინ[illegible] ის დამთვრალი გამოცხადდა ფოსტაში მოსვლისთანავე რევოლვერით იქაურ[illegible] გადააქუხა. ცოცხით შორს, ასეთი გამგე.

ალექ. ქვიშარელიძე.

გორი

გადაიტანეთ ბაზარი. ყოველ კვირაობით იმართება აქ ბაზრობა, რომელზედაც მოდის ლიახვის ხეობის, ატენის რაიონის და სხვა სოფლების გლეხობა. ბაზრის მოედანი გ[illegible]ლილ ადგილას მდებარეობს. ამის გამო ზ[illegible]თრობით, განსაკუთრებით როცა ქ[illegible] ჰქრის, შეუძლებელია ბაზარზე დადგ[illegible]. საბჭომ დაადგინა ზამთრის თვეებში ბაზ[illegible] გადაიტანონ ძველ ადგილას. საჭიროა დადგენილება დროზე იქნას მოყვანილი სრულეში.

ძველი.

პროფკავშირებში

სენაკის მაზრის პროფბიუროს მე-6 კონფერენცია

3 იანვარს სენაკის მუშათა კლუბში გაიხსნა სენაკის მაზრის პროფბიუროს მე-6 კონფერენცია. კონფერენციაზე გამოცხადდენ საბჭოთა მუშაკების, განათლების, მედსანშრომის, აღმშენებელთა, მიწა-ტყის, კომუნალურ-მეურნეობის, ხეზე მომუშავეთა და რკინისგზის პროფკავშირების წარმომადგენლები რიცხვით 67 დელეგატი.

დღის სამ საათზე კონფერენციას ხსნის ამხ. ალ. ოჩიგავა, რომელიც წინადადებას აძლევს კონფერენციას აირჩიონ პრეზიდიუმი, სამდივნო, სამანდატო კომისია და საპატიო თავმჯდომარეები.

კონფერენცია ირჩევს 15 კაცისაგან პრეზიდიუმს, 3 კაცისაგან სამანდატო კომისიას, 3 კაცს სამდივნოში და საპატიო თავმჯდომარეებათ კი: სტალინი, ტომსკი, ლოზოვსკი, მახარაძე, ორჯონიკიძე, სემკოვი და ყურულაშვილი.

დღიურ წესრიგში დასმული იქნენ შემდეგი საკითხები:

1. სამპროფბიუროს პას. მდივნის ამხ. ალ. ოჩიგავს მოხსენება, 2. სარევიზიო კომისიის მოხსენება, 3. შრომის ინსპექტორის მოხსენება, 4. დამზღვევ კასის მუშაობის წლიური ანგარიში, 5. სარევიზიო კომისიის მოხსენება, 6. სამკურნალო ქვე-განყოფილების მოხსენება, 7. პროფკავშირთა მორიგი ამოცანები, 8. არჩევნები: სამპროფბიუროს პლენუმის, სარევიზიო კომისიის, დამზღვევ კასის გამგეობის და მისი სარევიზიო კომისიის და შრომის ინსპექტორის.

სამპროფბიუროს ერთი წლის მუშაობის შესახებ მოხსენებას აკეთებს სამპროფბიუროს პას. მდივანი ამხ. ალ. ოჩიგავა.

ამხ. ოჩიგავა აღნიშნავს წარსულ წელში ყველა განყოფილებათა მუშაობის განმტკიცებას და გაუმჯობესებას შარშანდელ წელთან შედარებით. განსაკუთრებით დიდ შედეგებს მიაღწიეს საბჭოთა მუშაკების, განათლების და აღმშენებელთა კავშირებმა, რომელთაც ჩამოაყალიბეს და მასსას დაუახლოვეს თავიანთი ადგილობრივი უჯრედები, კავშირის ფართე მასსაში შეიტანეს პროფცოდნა მუშათა კლუბის გამაგრების, პროფწრეების დაარსებით და მრავალი სხვა.

სამაზრო პროფბიურო უწევდა რა ხელმძღვანელობას ყველა კავშირებს, ამავე დროს ითხოვდა მათგან დაწვრილებითი მოხსენების წარმოდგენას თავიანთი მოქმედების შესახებ. სამწუხაროდ ყველა კავშირებს ასეთები არ წარმოუდგენია, გარდა ხუთი კავშირისა, რაც არ შეიძლება ჩავთვალოთ დამაკმაყოფილებლათ.

შემდეგ ამხ. ოჩიგავა ეხება სატარიფო-საეკონომიო მუშაობას, აღნიშნავს ამ დარგში მიღწეულ შედეგებს და ამბობს, რომ თუმცა ზოგიერთი დაწესებულებები უგვიანებენ მუშა-მოსამსახურეებს ხელფასის მიცემას, მაგრამ ეს არ არის გამოწვეული განზრახ. არამედ ეს აიხსნება ფინანსიური კრიზისით და პროფბიურო ყველა კავშირებთან ერთად ღებულობდა ზომებს ასეთი ნაკლის გამოსასწორებლად. ამ საკითხში ჩვენ აუცილებლად უნდა გვეხმარებოდენ დაწესებულებებში ადგილკომები, რომელთაც თავის დროზე უნდა გვაცნობონ დავალიანებანი.

შრომის დაცვის საქმე

შეიძლება ითქვას, რომ ეს საკითხი მოწესრიგებულია 90 პროც. თუ სადმე ირღვევა, ამისათვის გვყავს შრომის ინსპექტორი, რომელიც სდევნის შრომის კოდექსის დამრღვეველს.

ყველა კავშირებთან და ადგილკომებთან არსებობენ შრომის დაცვის კომისიები, იქვე არსებობენ შემფასებელ - საკონფლიქტო კომისიები, რომელნიც უკანასკნელო ხანებში თითქმის ყველგან აწარმოებენ გაცხოველებულ მუშაობას.

გარდა ამისა დროზე ჩატარებული იქნა კავშირის წევრთა და უმუშევართა აღრიცხვა. სულ პროფბიურო აერთიანებს 2.500 წევრს.

მაზრის ზოგიერთ რაიონებში დაარსებული იქნა საკავშირო სამდივნოები, რომელნიც დადებით შედეგებს იძლევიან. მიმდინარეობს დამხმარე სალაროთა გაერთიანება და რეორგანიზაცია პროფსაბჭოს პლენუმის უკანასკნელ დადგენილებათა საფუძველზე. ქალთა შორის და ახალგაზრდათა შორის მუშაობას კავშირებში აწარმოებდენ: ჩაბმულია მუშაობაში 18 ქალი და 27 ახალგაზრდა. უპარტიოთა რიცხვი პროფკავშირებში დიდია.

ამასთანავე უკანასკნელ ხანებში თითქმის ყველა კავშირი გადავიდა გეგმიან მუშაობაზე. ამან კი უფრო გააძლიერა კავშირების მუშაობა. კავშირები მუშაობის გაცხოველების მიზნით იწვევდენ თათბირებს. აგრეთვე იმართებოდა ეკონომთათბირები და შემოღებულია დელეგატთა ინსტიტუტი.

მოჯამაგირეთა შორის მუშაობა თანდათან უმჯობესდება. აღრიცხვაში აყვანილია 360 მოჯამაგირე.

კულტმუშაობა

შემდეგ ამხ. ოჩიგავა ეხება კულტმუშაობას და აღნიშნავს ასეთი მუშაობის გაცხოველებას და წარმატებას განსაკუთრებით მუშათა კლუბის გახსნის შემდეგ.

ამის შემდეგ გაიმართა კამათი. კამათში მონაწილე დელეგატები აღნიშნავდენ პროფბიუროს ნაყოფიერ მუშაობას და უთითებდენ ზოგიერთ დეფექტების გასწორების საჭიროებაზე მომავალში.

მომხსენებლის მიერ პასუხის გაცემის შემდეგ კონფერენცია სცნობს სამპროფბიუროს მუშაობას სრულიად დამაკმაყოფილებლად და ამუშავებს სათანადო „ნაკაზს“ მომავალი მუშაობისათვის.

სარევიზიო კომისიის მოხსენება

სარევიზიო კომისიის სახელით ამხ. ი. გვასალია აღნიშნავს სამპროფბიუროს ნაყოფიერ მუშაობას და ამბობს, რომ, რადგანაც სამპროფბიუროს არა ჰყავს ტეხნიკური თანამშრომელი, რომელიც გაუძღვება საკანცელარიო საქმეებს და ამავე დროს თავის დონეზე დააყენებს მას, სამპროფბიუროს მუშაობა მუდამ სუსტი იქნება და ამიტომ საჭირო არის კონფერენციამ გამოსთქვას თავისი აზრი ამის შესახებ და არ დასტოვოს სამპროფბიურო ტეხნიკური თანამშრომლის გარეშე.

შრომის ინსპექტორის მოხსენება

ამის შემდეგ მოხსენებას აკეთებს შრომის ინსპექტორი ამხ. ან. ჯიბლაძე მისი შვიდი თვის მუშაობის შესახებ.

ამხ. ჯიბლაძე აღნიშნავს შრომის კანონების დარღვევის მთელ რიგ ფაქტებს, რომელიც დაუხვდა მის ჩამოსვლისას და რომელთაც შემდეგშიც ჰქონდა ადგილი როგორც თვით სენაკში, აგრეთვე მაზრაში. ამის გამო მას ხშირად უხდება მოგზაურობა მაზრაში და კანონიერების დაცვა, რაც იძლევა მეტად დადებით შედეგებს.

ამჟამად შრომის კანონთა დარღვევამ იკლო, მაგრამ მუშების მდგომარეობის გაუმჯობესებას კი შავი ზღვის რკ. გზის საამშენებლო ხაზზე ჯერ კიდევ არაფერი ეშველა. აქ მომუშავე არტელები—ეს ძველი პოდრიადჩიკები—მუშებს ექსპლოატაციას უწევენ და საჭიროა ამის წინააღმდეგ საბრძოლველად სათანადო ზომები იქნეს გამომუშავებული.

დამზღვევ სალაროს მუშაობა

დამზღვევი კასის მუშაობის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. კ. ლომია, რომელიც აღნიშნავს მიღწეულ შედეგებს და ამავე დროს უთითებს იმ დეფექტებზე, რომელნიც ხელს უშლიდენ მის მუშაობას.

შეკითხვების მიცემისა და კამათის დასრულების შემდეგ კონფერენციას გამოაქვს რეზოლიუცია, რომლითაც დამზღვევ კასის მუშაობა საერთოდ ცნობილ იქნა დამაკმაყოფილებლად.

დაზღვეულთა სამკურნალო ქვეგანყოფილების მუშაობაზე მოხსენებას აკეთებს ექიმი ამხ. დ. ვასანია, რომელიც აღნიშნავს საერთოდ დაზღვეულთა სამკურნალო დახმარების გაუმჯობესების საქმეს და ამავე დროს თვით დავალიანების დიდათ შემცირებას, რაც რასაკვირველია დადებით შედეგებს იძლევა დაზღვეულთა მკურნალობის საქმეში.

ამის შემდეგ კონფერენციამ მოისმინა კომუნალური მეურნეობის გან. გამგის ამხ. ჯავახიას მოხსენება განყოფილების მუშაობის შესახებ. ამხ. ჯავახია აღნიშნავს გზებისა და ხიდეების შეკეთების საქმეს. ქალაქის გამშვენიერების, სკოლების და სხვა დაწესებულებათა შეკეთების საქმეს, აგარაკების და აბანოების მოწყობის, სახერხი ქარხნების მოწყობის და ელსადგურის ახალი მოტორის დადგმის შესახებ.

სამპროფბიუროს მეექვსე კონფერენციის უკანასკნელ სხდომაზე მოსმენილ იქნა ამხ. ჭელიძის (საქპროფსაბჭოს წარმომადგენლის) მოხსენება მორიგი ამოცანების შესახებ, რის შემდეგ კონფერენცია გადავიდა არჩევნებზე.

არჩეულ იქნენ პერსონალურად: სამპროფბიუროს პლენუმში 35 კაცი და 9 კანდიდატი.

სარევიზიო კომისიაში 5 კაცი და 2 კანდიდატი. დამზღვევ კასის გამგეობაში 15 კაცი და 5 კანდიდატი, სარევიზიო კომისიაში 5 კაცი და 2 კანდიდატი.

შრომის ინსპექტორად ერთხმად არჩეულ იქნა ამხ. ა. ჯიბლაძე.

არჩევნების შემდეგ კონფერენცია დაიხურა.

ბ. უჩანეიშვილი.

სრ. საქართველოს აღმშენებელთა კავშირის მე-5 ყრილობა

მეოთხე სხდომა

12 იანვარს, დილის სხდომაზე ყრილობამ მოისმინა სარევიზიო კომისიის მოხსენება ც. გ. მუშაობის შესახებ.

მოხსენება გააკეთა ამხ. გველესიანმა.

როგორც მოხსენებიდან გამოირკვა ც. გ-ას საქმის წარმოება და ბუღალტერიაც ზოგ შემთხვევაში მოიკოჭლებდა.

ცენტ. გამგეობას ამისათვის უნდა მიექცია ყურადღება.

სარევიზიო კომისიის მოხსენების შემდეგ მომხსენებლებმა აღლაძემ და გველესიანმა უპასუხეს შეკითხვებს. შეკითხვებით მეოთხე სხდომა დაიხურა.

მეხუთე სხდომა

კამათი ცენტ. გამგეობისა და სარევიზიო კომისიის მოხსენებების შესახებ

ამავე დღის საღამოს სხდომაზე გაიხსნა კამათი ცენტ. გამგეობის მუშაობის შესახებ. კამათში ჩაეწერა 46 დელეგატი.

ამ სხდომაზე ილაპარაკა მხოლოდ 15-მდე დელეგატმა.

თითქმის ყველა დელეგატები, როგორც თბილისიდან, ისე პროვინციიდან ჩამოსულები, აღნიშნავდენ ცენ. გამგეობის მუშაობაში სატარიფო-საეკონომიო მუშაობის სისუსტეს.

არ იყო მოწესრიგებული კოლექტიური ხელშეკრულების დადება. შ.-გ. აჭარისტანიდან დელეგატი აცნობს ყრილობას, რომ აჭარის წყალთ მეურნეობის მიერ სწარმოებს ჭაობის ამოშრობა სადაც ადგილობრივი გლეხები წყალში დასველებული დღეში 1 მან. 50 კ. მუშაობენ, და ეს ხდება მაშინ, როცა ამ სამმართველოს ეს საქმე კერძო მოიჯარადრეზე აქვს გაცემული. ცენტ. გამგეობამ მომავალში მაინც უნდა მიაქციოს ყურადღება ამ გარემოებას.

ასევე უკმაყოფილოა ცენტ. გამგეობის ამ დარგში მუშაობით აფხაზეთის წარმომადგენელი, ამხ. ვალუისეი.

მართალია შავი ზღვის რკინისგზის მუშებისათვის ცენტ. გამგეობამ დასდო კოლექტიური ხელშეკრულება, მაგრამ ადგილობრივ მუშებისათვის მას არაფერი უკითხავს.

ზოგიერთი დელეგატი წინააღმდეგია მოიჯარადრეთა მიერ მუშების ექსპლოატაციის და მოითხოვენ ამ გარემოებას მიექცეს ყურადღება და სხ.

პროფმუშაობის ქრონიკა

კავშირის ცენტრ. გამგეობაში.

— **ტრამვაის სახელოსნოს მოწაფეებისათვის.** კომუნალურ მეურნეობის მუშაკთა კავშირმა შუამდგომლობა აღძრა საქართველოს პროფსაბჭოსთან, რათა ამ უკანასკნელმა იშუამდგომლოს ქალაქის აღმასკომთან ტრამვაის სახელოსნოს მოწაფეებისათვის სიტყვიერების (თეორიული) კურსების დაარსების შესახებ.

— **ფოთის განყოფილების ხარჯთ-აღრიცხვის დამტკიცება.** კავშირმა დაამტკიცა ფოთის სამაზრო განყოფილების ხარჯთ-აღრიცხვა.

— **ტრამვაის მუშებისა და მათი ოჯახის წევრებისათვის.** კომუნალურ მეურნეობის მუშაკთა კავშირის ც. გ. შუამდგომლობა აღძრა დაზღვეულთა სამკურნალო ქვეგანყოფილებასთან ტრამვაის მუშებისა და მათი ოჯახის წევრებისათვის ცალკე ამბულატორიის დაარსების შესახებ.

მბეჭდავთა კავშირში.

— **კავშირში მომუშავე პასუხისმგებელ პირთა არჩევა.** მბეჭდავთა კავშირის თავმჯდომარედ არჩეულია ამხ. ნიკიტინი, მდივნად—ამხ. ფანცულაია, ხაზინადრად—ამხ. არეშიძე, ახალგაზრდათა შორის მომუშავედ—ამხ. ტატიშვილი, და ქალთა შორის მომუშავედ—ამხ. ევა მდებრიშვილი.

— **გამგეობის სხდომები.** მბეჭდავთა კავშირის ც. გ. დადგენილებით გამგეობის სხდომები მოწვეული იქნება ყოველ ორშაბათობით საღამოს 6 საათზე.

— **პოლიგრაფიულ წარმოებაში მომუშავე მუშების შესახებ.** მბეჭდავთა კავშირის ცენტრალური გამგეობის დადგენილებით პოლიგრაფიულ წარმოებაში მომუშავე მუშები, რომლებიც დღევანდლამდე არ ირიცხებიან მბეჭდავთა კავშირში უნდა გადაირიცხონ ამ კავშირში.

აღიძრა შუამდგომლობა შესაფერის ორგანოსთან ამ საკითხის მოსაგვარებლად.

— **გაზეთების დამტარებელთა შესახებ.** მბეჭდავთა კავშირის ც. გ. საჭიროდ სცნო გაზეთის დამტარებელთა სხვა კავშირში გადარიცხვა და აღძრა შუამდგომლობა პროფსაბჭოსთან ამ საკითხის მოსაგვარებლად.

— **კარტონაჟზე მომუშავე მუშების შესახებ.** მბეჭდავთა კავშირის ც. გ. საჭიროდ სცნო, რომ საკარტონაჟო წარმოებაში მომუშავე მუშები ირიცხებოდენ მბეჭდავთა კავშირის წევრებად.

ამ საკითხის მოსაგვარებლად აღიძრა შუამდგომლობა პროფსაბჭოსთან.

— **კავშირში მუშაობის გასაძლიერებლად.** მბეჭდავთა კავშირის ცენტ. გამ. საჭიროდ სცნო გამოყოს კავშირში მომუშავედ კიდევ ერთი პასუხისმგებელი მუშაკი.

— **კავშირის ჟურნალი.** მბეჭდავთა კავშირის ცენტრალური გამგ. დადგენილებით ახლო მომავალში გამოვა კავშირის ორგანო ყოველთვიური ჟურნალი.

ხელოვნების მუშაკთა კავშირში.

— **ხელოვნების მუშაკთა ყრილობა.** ხელოვნების მუშაკთა ყრილობა დანიშნულია 15 თებერვლისათვის. 50 წევრზე აირჩევა 1 დელეგატი.

— **დირიჟორ სტოლერმანის იუბილეისთვის** ხელოვნების მუშაკთა კავშირმა აღძრა შუამდგომლობა მთავარ სახელოსნო კომიტეტთან დირიჟორ სტოლერმანისთვის იუბილეს გამართვის შესახებ.

რკინის-გზის პროფკავშირებში.

საგზაო კომიტეტის პრეზიდიუმში.

— **კვალიფიციური მუშა ხელის გამოყენება.** ვინაიდან ზოგიერთ უბნებზე იმყოფებიან ზედმეტი კვალიფიციური მუშები, ა. კ. რკინისგზელთა პროფკავშირის პრეზიდიუმმა მიზანშეწონილად სცნო მათი გამოყენება ისეთ უბნებზე, სადაც ნაკლებობაა ასეთი მუშაკებისა.

— **წარმომადგენელი მოსკოვში.** საგზაო კომიტეტის პრეზიდიუმმა დაადგინა გაგზავნოს მოსკოვში რკინისგზელთა ცეკას მიერ ხარჯთაღრიცხვის საკითხების გამორკვევის თათბირზე ამხ. გორიაინოვი.

მუშათა ცხოვრება

ალბათ შევაჩვევინებთ

(ჩვენი მუშების ცხოვრებიდან)

პლეხანოვის პროსპექტზე მუშკოოპის მაღაზიის წინ სდგას ერთი გლეხი და გაოცებული შესცქერის ამ მდიდარ მაღაზიას. მეც გვერდით გამოუარე. მან უცებ მომხედა და შემაჩერა.

— გამარჯობა, ამხანაგო!

— ბოდიშს ვიხდი, ძია-კაცო, მე ვეღარ გიცნობთ!

— თუ სტუმარმა მასპინძელი ვეღარ მიცანი, ვერაფერი შეფი ყოფილხარ ჩვენი სოფლისა.

— ჰო, და შენ ვანო არა ხარ?!

— დიახ, ვანო ვარ, ერთი ღამე ჩემ ოჯახში გეძინა და ასე მალე კი დაგვიწყებივარ.

— რა არის აქ გასაკვირალი? მა დარდი და ათასი სხვა ფიქრები თითქმის ცოლ-შვილსაც კი გვავიწყებს ხშირად.

— აღარ მოგვხედეთ ბევრ წელიწადია, კაცო, რა გაწყენიეთ!

— წყენას, ჩემო ძმაო ჩვენში ადგილი არა აქვს, მაგრამ ხომ იცი, ჩვენც უფროსები გვყავს და თუ მათ ნება არ დაგვრთეს, ისე ჩვენ ფეხსაც ვერ დავადგამთ.

— ეგ მართალია.

— რად ჩამოსულხარ? აქ რად სდგეხარ? ხომ მოგწონს ეს მაღაზია?

— კაცო, მომწონს კიდეც და გაკვირვებულიცა ვარ .

— რა არის აქ გასაკვირვალი?

— რა არის აქ გასაკვირალი?

— ის რომ ამის პატრონს რა შეძლება აქვს იმდენი, რომ ამდენი ძვირფას საქონლისათვის აქ თავი მოუყრია.

— ამას კერძო პატრონი [illegible] ჰყავს?

— მაშ, უპატრონოა?

— არა კაცო, აბა წაიკითხე, რა აწერია!

— გლეხმა ჩათვლით წაიკითხა:— „მუშათა კოოპერატივი“.

— მაშ, ეგ მაღაზია მუშებისა ყოფილა. რაღა გიჭირთ.

— ერთ დროს ბევრისათვის „საძაგელი“ მუშის სახელი ეხლა ყველასათვის სათაყვანებელი გახდა, ჩემო ვანო!

— ბევრი ხანია რაც აქა სდგეხარ.

— სამი საათიც იქნება.

— ამდენ ხანში ვერა ნახე, ვინ შედის აქ ვინ ვაჭრობს?.

— შემსვლელი კი ბევრი ვნახე და მუშები კი იშვიათად.

— მუშებმა აქ რა უნდა იყიდონ?

— ბიჭოს! თუ მუშათა კოოპერატივია, რატომ არ ვაჭრობენ მუშები?

— აქ ისეთი საქონელია სწორედ, რომელიც უფრო ბურჟუაზიულ გემოვნებას ემსახურება და მუშათა საქონელი ამ მაღაზიაში იშვიათად მოიპოვება.

— მიეცით მუშკოოპს წინადადება რომ მან შეიძინოს მუშურ-გლეხური საქონელი და არა ფუფუნების საგნები.

— ვიღებთ ზომებს, რომ ეს შევაგნებინოთ მუშკოოპის გამგეობას.

მუშა **ამბალი.**

აბაშის ჰიდროელსადგურზე

(სენაკის მაზრა)

აბაშის ჰიდრო ელსადგურის მუშაობა უფრო და უფრო ფართოვდება. სადგურის საამშენებლო კომიტეტმა აბგესის საჭიროებისათვის ააგო ერთი დიდი სახერხი ქარხანა, რომელიც სისტემატიურად მუშაობს და დახერხილ მასალას გაცილებით შეღავათიან ფასებში, ვინემ კერძო ტყისმრეწველებთან, აძლევს სხვადასხვა სახელმწიფო ორგანიზაციებს და აკმაყოფილებს თვით აბგესის საჭიროებასაც. აბგესს ყავს თავისი საკუთარი საბარგო ავტომობილი, რომელსაც გადააქვს ეს მასალა ადგილიდან რკ. გზის სადგურამდის.

მდ. ტეხურზე, აბგესთან რამდენიმე ვერსის დაშორებით, ს. ნაფოშტუსთან უკვე დიდიჭყონის თემის და აბგესის საამშენებლო კომიტეტის მონაწილეობით შენდება ახალი სახერხი ქარხანა წყლის მატორიანი. მდ. ტეხურით ქარხანამდი შეიძლება ჩამოტანა დასახერხი მორების ტყიდან და იქვე დახერხვა აქ დახერხილი მასალა, ცხადია, რომ მეტად იაფი იქნება და ამავე დროს მოსაგები, როგორც თემისა ისე აბგესისათვის.

მცხოვრებთა სიხარული ამ საქმის მოწყობისათვის მეტად დიდია, რადგანაც მათ შეუძლიათ იქვე დაიხერხონ მასალა ოჯახში მშენებლობისათვის და ამავე დროს იმუშაონ კიდეც ქარხანაში მუშად.

აღსანიშნავია ამ საქმეში აქტიურობა აბგესის გამგის ამხ. ვ. ჯავახიასი. მისი ინიციატივით და ენერგიული მუშაობით გაკეთდა ერთი სახერხი ქარხანა აბგესში და უკვე მეორე შენდება მდ. ტეხურზე.

მართლაც აბგესზე მუშაობამ გამოაღვიძა ეს მთიანი მივარდნილი კუთხე სენაკის მაზრისა.

ბ. უჩანეიშვილი.

თბილისის მებაღეობის შესახებ.

ქ. თბილისის აღმასკომს აქვს თბილისის ფარგლებში ბაღ-ბოსტნები. აღნიშნული ბაღ-ბოსტნები ეკუთვნოდა გასაბჭოებამდის კერძო მემამულეებს. გასაბჭოების შემდეგ აღმასკომმა გადასცა ბაღ-ბოსტნები იჯარით გლეხებს სამი წლის ვადით. ეს ვადა უკვე ხელშეკრულების ძალით გავიდა ა. წ. შემოდგომაზე და გლეხები მოელიან ახალ ხელშეკრულებას, რომელიც ამდენ ხანს უნდა დაედოთ. მოიჯარადრე გლეხები არიან კავშირის წევრნი „თვითმშრომელის“. გლეხობაში არის როგორც ხელმომთბარი ისე საშუალო, და ერთმანეთს ეჯიბრებიან: არა მე მეკუთვნის ბაღი და არა მეო. ეს შეჯიბრება ბევრჯერ გადადის ცემა-ტყეპაზე, რის გამოც გვიანდება ხელშეკრულებები. ბაღები უყურადღებობის გამო ფუჭდება და მიდის გადაშენებისაკენ. ვერ ნახავთ მებაღეს, რომელიც რგავდეს ახალ მცენარეს და ძველი კი ხმება, ვინაიდან გლეხები ფიქრობენ, იქნებ ბაღი მე არ დამრჩეს და რაზე გავაკეთებო. ხის დარგვის სეზონი უკვე გავიდა და ამით ფერხდება ჩვენი სოფლის მეურნეობა.

კარგი იქნება ამას დროულათ მიაქცევდეს ყურადღებას საადგილმამულო განყოფილება და კანონიერათ გადასწყვეტდეს ამ გამწვავებულ საკითხს.

ასოთ-ამწყობის გასაჭირი

დღე არ გავა ისე, რომ ამწყობთ შორის ჩხუბი და ლაპარაკი არ ასტყდეს.

რა იწვევს ამ უსიამოვნება-ლაპარაკს?

აი, რა:

ძალიან ხშირად ასაწყობად მოდის შეუსწორებელი დედანი, ანდა დედანი შესწორებულია, მაგრამ არა ისე, გულმოდგინედ, როგორც უნდა იყოს იგი შესწორებული, არამედ ზერელედ და შიგ ბევრი რამ შეუსწორებელი ნიშნების დასმას ხომ სრულიად არ ექცევა ყურადღება!

მომეტებულ ნაწილად ამწყობმა არ იცის იმდენი, რომ წყობის დროს თავთავის ალაგას დაუსვას ნიშნები და ამ ავტორის შეცდომებს ის სტოვებს ანაწყობში.

კორექტურის დროს კი კორექტორი ყველა ამ გამოტოვებულ ნიშნებს უმატებს და, გარდა იმ შეცდომებისა, რომელნიც თავისდაუნებურად გააკეთა ამწყობმა, მას ემატება ავტორის შეცდომებიც და მის სწორებაში დროს ჰკარგავს იგი იმ დროს, როდესაც მას ევალება ააწყოს ნორმა სარჩევის გადარჩევით და მისი შეცდომების შესწორებით.

არავითარ შემთხვევაში ამწყობის მოვალეობას არ შეადგენს ავტორების შეცდომათა გასწორება და თუ მოუწევს მას ასეთის გასწორება, უსათუოდ უნდა აუნაზღაურდეს მას დაკარგული დრო, რომელიც მოანდომა მან ავტორის შეცდომათა გასწორებას.

არ ვიცი, რადა, და ხშირად ჩვენი მწერალ-გამომცემელნი ან გამოცემათა ხელმძღვანელნი არც კი ფიქრობენ იმაზე, რომ სტამბაში გასაგზავნი დედნები კარგად შეასწორონ. ეს სჩანს იმ მასალებიდან, რომელიც ყოველ დღე იწყობა სხვადასხვა სტამბებში.

მათი მოვალეობაა ანგარიში გაუწიონ დღევანდელ მდგომარეობას და შეუმსუბუქონ ამწყობს ის ტანჯვა, რომელსაც განიცდის იგი უხეიროდ დაწერილ - შესწორებულ დედნიდან აწყობილ ანაწყობის კორექტურის გასწორების დროს.

ყველამ, ვინც კი ჰხელმძღვანელობს რამე გამოცემას, უნდა იცოდეს, რომ სტამბაში უნდა მისცეს დედანი ასაწყობად მაშინ, როდესაც ის სავსებით იქნება შესწორებული ისე, რომ ერთი მძიმე. ან წერტილიც არსად აკლდება.

კორექტურის სწორების გამო არავითარ უსიამოვნებას არ უნდა ჰქონდეს ადგილი და ეს კი დამოკიდებულია სხვადასხვა გამოცემათა ხელმძღვანელებზე.

ასოთ-ამწყობი

ნიკო ახლამაზაშვილი.

დეპოს მუშებს ბინა არა აქვთ

რკინის გზის თბილისის საყუდში მსახურობს 500-მდე მემანქანე და მათი თანაშემწე. ეს ისეთი დარგის მოსამსახურეებია, რომლის მუშაობის დროს განსაზღვრა ყოვლად შეუძლებელია. აღნიშნული დარგის მოსამსახურეები დაბანდებული არიან ქალაქის სხვადასხვა კუთხეებში საცხოვრებლად და მათი გამოძახება სამსახურში დიდი სიძნელეს წარმოადგენს მიუხედავად იმისა, რომ დანიშნულია ორი კაცი სპეციალურად ამისათვის. იგი ხშირად სახლშიც არ დახვდება ანდა სიშორის გამო ვერ მიუსწრებს სამუშაოზე გასვლას. ხშირად მატარებლებზეც აგვიანდება. სამსახურში თავის დროზე გამოუცხადებლობა რომ თავიდან იქნეს აცილებული, საჭიროა მემანქანეების და მათი თანაშემწეების საყუდის ახლო მოწყობა საცხოვრებლად.

რკინისგზას აქვს საყუდის ახლოს 4 დიდი შენობა, სადაც ცხოვრობენ ისეთი მოსამსახურეები, რომელთაც არ უხდებათ ღამე მუშაობა, მაგ. კანტორის მოხელეები - მოანგარიშეები და რკინისგზის სამმართველოს ადმინისტრატორები, ამიტომ მიზანშეწონილი იქნებოდა მათ მაგიერად ჩასახლებულ იქნენ ამ სახლებში მემანქანეები. ყოველ შემთხვევაში რკინისგზის სამმართველოს შეუძლია ააშენოს სპეციალურად შენობები მემანქანეებისათვის. ეს კი დიდ სარგებლობას მოუტანს თვით რკინისგზას.

საყუდის ადგილკომო, შენ შეგიძლია ამ საკითხის მოგვარება საუბნო კომიტეტის და სამმართველოს დახმარებით.

მუშა **დ. დეპოელი.**

„თავისუფალი“ ვაჭარი

(გორის მაზრის აღმასკომის საყურადღებოთ)

სადგურ მეტეხთან დაახლოვებით 30 ნაბიჯზე ვაჭრობს ვინმე ილუა გეჯაძე, რომელსაც ჩამოაქვს ღვინო, არაყი. მთელი დღე-ღამე განუწყვეტლივ „ჰარიარალოს“ გაიძახიან ღვინო-არყით გაჟღენთილი სადგურის მოსამსახურეები, რომელთაც თავი გაუნებებიათ რაიმე კულტურული საქმიანობისათვის და თავიანთი ოჯახის გაუმჯობესობაზე სრულებითაც არა ზრუნავენ.

აქ საყურადღებო ის არის, რომ ამ ალვირ-აშვებულ ჩარჩ-გეჯაძეს არც ნებართვა აქვს აღებული როგორც ვაჭარს და არც ერთი გროშს ეგრე წოდებულ სახელმწიფო გადასახადის სახით ის არ იხდის.

რა „პრივილეგიით“ სარგებლობს ეს ვაჭ-ბატონი და ვეკითხებით წითელ-ქალაქის აღმასკომს. რაც შეეხება მის სამიკიტნოს, იგი უნდა იქნეს დაუყოვნებლივ დაკეტილი როგორც მავნე მუშა-მოსამსახურეთათვის.

მუშკორი **წუმწუმა.**

გამოგვინახეთ გამოსავალი გზა

ა. წ. ნოემბრის თვეში აჭარისტანში ჩატარდა 1904 წელში დაბადებულთა ეგრედ წოდებ. წვევამდელის სამხედრო მომზადების მიზნით გაწვევა. ამ გაწვეულთა შორის არიან მოწაფეებიც, რომლებიც მოხსნილ იქნენ სასწავლებლიდან და გაწვეულ სხვებთან ერთად. სამხედრო მეცადინეობა სწარმოებს კვირაში ექვსჯერ დაწყებული დილის 7 საათიდან შუადღის 12 საათამდე და ნაშუადღევის 3 საათიდან საღამოს 5 საათამდე. ასე რომ მთელი დღე მოუნდით სამხედრო მეცადინეობას და სასწავლებელში კი ვეღარ წავსულვართ. ამგვარად თვენახევრის განმავლობაში მოწაფე უნდა ჩამოშორდეს სასწავლებელს და მერე სად წავიდეს? ვის მიმართოს. ამას რისთვის არ ითვალისწინებს სათანადო ორგანო.

ამას გარდა მეტი ყურადღებაა მისაქცევი იმ მოწაფეებზე, რომლებიც სწავლობენ ინდუსტრიალურ ტეხნიკუმში, სადაც მეცადინეობა სწარმოებს დილიდან საღამომდე და ხში-[illegible] უღარიბესი ოჯახის შვილები მოდგნენ.

თვენახევრის გულისთვის ისინი უნდა დაცდენ ერთ წელიწადს.

ეს სერიოზული საკითხია და მე მგონია მას კიდევაც უნდა მიექცეს სათანადო ყურადღება.

ალექს. სოსელია.

გამოგზავნილი წერილებიდან

— **გულგრილობას ყოველთვის ზარალი მოსდევს.** დეკემბრის 24 ქალ. თბილისის დეპოში გასარეცხად დააყენეს ორთქლმავალი № 19. ორთქლმავალი მართლაც გარეცხეს, მაგრამ ქვაბებში წყალის ჩასხმა დაავიწყდათ და ისე გაახურეს ორთქლმავალი. ამას კი მოჰყვა ქვაბების და თვით ორთქლმავალის გაფუჭება.

მეტი ყურადღება სახალხო ქონებას!

მუშკორი—კოუხი.

— **ჭკუა ასწავლეთ თავგასულ ბრიგადირს.** ქალ. თბილისის რონოდათა საფარეხოში მექვაბეთა ბრიგადირად არის ვინმე ვასილი პავლოვი, რომელიც თავისი თანამშრომლებით სისტემატიურად ლოთობს! უწერს მათ ზედმეტი საათების მუშაობის ჯილდოს მაშინაც, როცა ისინი სამსახურშიც არ გამოცხადებულან. თავის ერთად-ერთ პატიოსან მუშას ამხ. მერაბიშვილს ის ლანძღვა-გინებით იკლებს.

ალაგმეთ ეს თავგასული ბრიგადირი.

მუშკორი კ ხი.

— **დააფასეთ ეს მუშა.** საქ. სახელმწ. უნივერსიტეტში დარაჯის თანამდებობაზე მუშაობს ამხ. ბერბიჯაშვილი, ფრიად პატიოსანი, უწყინარი, ფხიზელი მუშაკი. 25 წლის განმავლობაში მას ერთხელაც არ მიუღია ვისმესგან შენიშვნა. საჭიროა მისი ერთგული მუშაობა ღირსეულად დავაფასოთ.

მუშკორი **შადი.**

— **ლოტოს თამაშის მაგივრად, წიგნი წაიკითხეთ.** სოფ. ცაიში (ზუგდ. მაზრა) მომუშავე მუშა-მოსამსახურეები იმის ნაცვლად, რომ თავისუფალ დროს რაიმე წიგნი და ჟურნალ-გაზეთები წაიკითხონ და თვით-განვითარების საქმეს დაეწაფონ, შეექცევიან ღამის 2—3 საათამდის ლოტონარდის თამაშს და თავიანთ ხელფასს აქ სტოვებენ. ოჯახებში კი ცოლ-შვილი მშივრები უცდიან. საჭიროა, აქ გაიხსნას პატარა სამკითხველო.

ადგილკომმა უნდა მიიღოს სათანადო ზომები ამის შესახებ.

ვოლი.

— **მუშური მადლობა ღირსეულ კომისარს.** 1-ლ სამილიციო რაიონის უფროსად ითვლება ამხ. გრიშა რობაქიძე, რომელიც პირნათლად ასრულებს თავის მოვალეობას. თუმცა დიდი ხანი არ არის, რაც იგი არის დანიშნული, მაგრამ რაიონს დაეტყო გამოცოცხლება. მან მოიხვეჭა ნდობა ხალხში. ის სდგას შესაფერ სიმაღლეზე; მეტად ზრდილობიანი და უწყინარია, ის მტკიცე და ურყევია თავის თანამდებობის ასრულების დროს.

ჩვენი მუშური მადლობა ღირსეულ კომისარს, ვუსურვებ მას შემდეგშიაც განეგრძოს თავისი მუშაობა მშრომელ ხალხის საკეთილდღეოდ.

მუშკორი **შალი.**

მიწა-ტყის მუშაკთა კავშირში

— **სასოფლო-სამეურნეო ინსპექტორი.** მიწა-ტყის კავშირის ცენტ. გამგეობამ სთხოვა შრომის სახალხო კომისარიატს მიწა-ტყის კავშირის მუშაობის გაფართოების გამო, ნება დართოს კავშირს მეორე სასოფლო-სამეურნეო ინსპექტორის მოწვევის.

— **პროფ-კურსებზე მსმენელთათვის.** მიწა-ტყის კავშირის ცენტ. გამგეობამ სთხოვა კავშირის ცენტ. კომიტეტს კავშირიდან საქ. პროფ. საბჭოს პროფ-კურსებზე გაგზავნილ 3 პირისათვის დანიშნოს 6 თვის განმავლობაში თითოსათვის თვეში 50 მან. სტიპენდია.

— **კავშირის წევრ სტუდენტთათვის სამკითხველოები.** მიწა-ტყის კავშირის ცენტ. გამგეობამ საჭიროდ სცნო სახ. უნივერსიტეტთან, პოლიტეხნიკუმთან და ქართულ მუშფაკთან სტუდენტთათვის სახელმძღვანელო წიგნებისაგან სამკითხველოების დაარსება. ეს გამოწვეულია ღარიბ სტუდენტთა დახმარების მიზნით.

— **ხე-ტყის ექსპლოატაციის მუშებში.** მიწა-ტყის კავშირის ცენტ. გამგეობამ დაადგინა ახალციხის მაზრის ხე-ტყის საექსპლოატაციოდ მომუშავე მუშა—გლეხების შესაკავშირებლად გაგზავნოს იქ პრეზიდიუმის ერთ-ერთი წევრი.

მუშათა ქრონიკა

საქართ. ფინანსთა სახალხო კომისარიატში

— **გაუხსნეს კრედიტი.** ადგილკომის ინიციატივით ყველა საქართ. ფინ. სახალხო კომისარიატის თანამშრომლებს მთლიანი მუშკოოპში ჯამაგირის 50 პროცენტ. გაეხსნათ კრედიტი.

— **დასასვენებელი სახლი.** ფინ. სახალხო კომისარიატის ადგილკომის ინიციატივით დამთავრდა 28 ოთახით ბორჯომში დასასვენებელი სახლის შენობა, რომელიც იტევს 65 კაცს.

— **დამხმარე სალარო.** საქართ. ფინ. სახალხო კომისარიატის თანამშრომლებს აქვთ დამხმარე სალარო. სალაროში არის ნაღდი ფული 500 მანეთის რაოდენობით. სალარო დიდ დახმარებას უწევს თანამშრომლებს.

— **საღამოს მუშაობის გაუქმება.** საქართ. ფინ. სახალხო კომისარიატის ადგილკომთან არსებულმა შრომის დაცვის კომისიამ გააუქმა კომისარიატში თანამშრომლების საღამოობით მუშაობა.

— **სპეც-ტანსაცმელები.** შრომის დაცვის კომისიამ დაადგინა რომ საქართ. ფინ. სახალხო კომისარიატის დარაჯებს მიეცეთ სპეც-ტანსაცმელები.

— **პროფ.-წრე.** ამ მოკლე ხანში, საქართ. ფინ. სახალხო კომისარიატის ადგილკომი გახსნის პროფ.-წრეს.

— **კურსები.** საქართველოს ფინ. სახალხო კომისარიატს განზრახული აქვს გახსნას 9 თვიანი ფინანსიური კურსები, სადაც შეუძლიათ მეცადინეობა კერძო პირებსაც.

ტრიფონ თაზუკაშვილის ხსოვნას

ძვირფას მასწავლებელს, განათლების ფრონტზე დაუღალავ მებრძოლს და მოღვაწეს, დღეს უსულგულოთ მდებარეს, ვეთხოვებით უკანასკნელად.

მოსწავლე ახალგაზრდობისადმი თბილი გრძნობებით აღსავსე, მეგობრული რჩევა-დარიგების მიმცემი, მუდამ ჯადოსნურად ხიბლავდი მოზარდ თაობას, რომელსაც შენ წვრთნიდი, ემსახურებოდი და შეალიე კიდეც საუკეთესო დღენი შენი ცხოვრებისა.

სათუთი გრძნობა სიყვარულისა, ურომლისოდაც აღზრდის საქმე დაავადებულია, გზა და ხიდი იყო შენთვის მოზარდ თაობასთან დასაკავშირებლად.

ძნელია და რთული აღმზრდელის მოვალეობა, მძიმეა მისი ტვირთი, მაგრამ შენ პირნათლად შეასრულე შენი ვალი ხალხის წინაშე.

შენი პრაქტიკული მუშაობის და თეორიული საქმიანობის ნაყოფით ერთხანს კიდევ ისარგებლებს ჩვენი განახლებული სკოლა.

მწარე გრძნობებით აღსავსე გულის ტკივილით გემშვიდობები ტკბილო მასწავლებელო და დაუვიწყარო მეგობარო.

ბაგრატ კიკნაძე.

ხელოვნება

დომენიკო ჩიმაროზო.

(ქართულ საოპერო სტუდიაში მი-სი ოპერის „ფარული ქორწინება“-ს დადგმის გამო).

ჩიმაროზო იტალიელი კომპოზიტორია დაიბადა ის 1759 ნეაპოლში გარდაიცვალა 1801 წ. ვენეციაში. მამა მისი იყო კალატოზი.

ჯერ კიდევ პატარაობისას მას გამოაჩნდა მუსიკალური ნიჭი და შევიდა ნეაპოლის კონსერვატორიაში.

ჯერ კიდევ 1772 წელს ჩიმაროზოს იცნობენ უკვე როგორც კომპოზიტორს, ხოლო 1789 წელს მას იწვევენ სასახლის არტისტათ პეტერბურგში, სადაც ის დიდხანს არ რჩება და მიდის საცხოვრებლად ვენაში, რომელიც მაშინ ითვლებოდა მუსიკალური ხელოვნების ცენტრად. მოკლე ხნის განმავლობაში ვენაში ის ქმნის თავის საუკეთესო ნაწარმოებს—ოპერას „ფარული ქორწინება“, რომელმაც დიდი პოპულიარობა მოიპოვა.

ეხლა ეს ოპერა უკვე აღარ აკმაყოფილებს საოპერო ხელოვნების თანამედროვე მოთხოვნილებებს, მაგრამ ჩიმაროზოს ნაწარმოებს აქვს ღირებულება, როგორც დამახასიათებელ ნიმუშს კლასიკური მუსიკალური კომედიისას. ამ ოპერის მუსიკა ეხლაც ძალიან შინაარსიანია და განირჩევა იუმორით ისევე, როგორც მოცარტის გენიალური ოპერა „დონ-ჟუან“.

ჩიმაროზო აქტიურ მონაწილეობას იღებდა თავისი სამშობლოს პოლიტიკურ ცხოვრებაში. ის, როგორც თავგამოდებული რესპუბლიკანელი, მონაწილეობას იღებდა ნეაპოლის აჯანყებაში 1798 წელს, მაგრამ შეიპყრეს და მიუსაჯეს სიკვდილით დასჯა. სასჯელი შემდეგ აპატიეს როგორც გამოჩენილ კომპოზიტორს. ის ვერ ურიგდებოდა მონარქისტულ რეჟიმს და ცდილობდა დაეტოვებია სატირა ამ რეჟიმზე, მაგრამ ემიგრანტობის დროს ის უეცრად გარდაიცვალა ვენეციაში. როგორც ამბობენ, ის მოუწამლავს მის პოლიტიკურ მოწინააღმდეგეს.

ოპერის შინაარსი ასეთია ფეხსაცმელებით მოვაჭრე ფლორენციაში ჯერონიმო ოცნებობს იმაზე, თუ როგორ დაუნათესავდეს წარჩინებულთა გვარეულობის წარმომადგენლებს და როგორ დაიკმაყოფილოს თავისი მეშჩანური თავმოყვარეობა. ჯერონიმოს ჰყავს ორი ქალიშვილი: უფროსი ულამაზო ლიზეტა და უნცროსი ლამაზი კაროლინა.

კაროლინას უყვარს ჯერონიმოს ახალგაზრდა ნოქარი პაოლინო და ფარულად ჯვარდაწერილიც არის მასზე. კაროლინა ურჩევს თავის ქმარს გამოუტყდეს მამას. პაოლინოს ეშინია გამომჟღავნების დასთხოვს კაროლინას საიდუმლოთ შეინახოს მათი ქორწინება. ამ დროს გამოჩნდება გრაფი რაბინზონი, რომელიც ჩამოსულია ფლორენციაში რომ შეირთოს მდიდარი ქალი და ამით გამოასწოროს თავისი შერყეული ნივთიერი მდგომარეობა. ამ გარემოებით სარგებლობს პაოლინო, რომელიც იცნობს ჯერონიმოს მეშჩანურ თავმოყვარეობას და ცდილობს გრაფ რაბინზონს ჯვარი დასწეროს მის უფროს ქალიშვილზე—უშნო ლიზეტაზე. ამით მას უნდა მოიგოს ჯერონიმოს გული და შემდეგ გაუმხილოს თავისი საიდუმლოება. მაგრამ გეგმა არ მართლდება. გრაფს მოსწონს სწორედ ლამაზი კაროლინა და მას ნიშნავს. ჯერონიმო ჰპირდება მას დიდძალ მზითვს. მაგრამ აქ სცენაზე გამოდიან ჯერონიმოს და—მახინჯი გაუთხოვრად დარჩენილი ფიდალმა და მისი უფროსი ქალიშვილი ლიზეტა, რომელიც შეურაცყოფილია მით, რომ გრაფმა ის დაიწუნა, ორივე ქალი ცდილობს ჩაშალოს გრაფის და კაროლინას ქორწინება. ფიდალმოს უყვარს პაოლინო და სურს მას გაჰყვეს ცოლად. როცა ის დაინახავს, რომ პაოლინო მას ხელიდან უსხლტება, ურჩევს ჯერონიმოს გაგზავნოს კაროლინა მონასტერში, წინააღმდეგ შემთხვევაში იმუქრება მით, რომ ჯერონიმოს ქონებიდან ის მოითხოვს თავის წილს და მით გაალატაკებს მას. ჯერონიმო თანხმდება ამაზე. როცა ამას გაიგებენ, ფარულად ჯვარდაწერილები, გადასწყვეტენ გაქცევას, მაგრამ მათ იჭერენ და აშკარავდება, რომ ისინი ცოლქმარი არიან.

პაოლინო და კაროლინო სთხოვენ პატიებას ჯერონიმოს. მათ თხოვნას უერთდება რაბინზონიც, რომელიც თანახმაა შეირთოს უშნო ლიზეტა იმ პირობით, თუ გაუყოფენ მას კაროლინას დიდძალ მზითვს. ჯერონიმოს პატივმოყვარეობა დაკმაყოფილებულია, ასეთი სიხარულის დროს ის აპატიებს მათ. უკმაყოფილო რჩება მხოლოდ გაუთხოვრად დაბერებული ფიდალმა.

პ. ზ.

ხელოვნების ქრონიკა

— **„წითელი სტადიონი“.** 15 იანვარს, განათლების მუშაკთა სახლში გაიმართება „წითელი სტადიონის“ წარმოდგენა.

— **მოძრავი კინო.** თბ. აღმასკომის განათლების განყოფილება იძენს კინოაპარატს მაზრაში მოძრავი კინოს მოსაწყობათ.

— **1905 წლის რევოლიუციის** აღსანიშნავად დღეს კონსერვატორიაში გაიმართება კონცერტი, რომელზედაც უფასოთ მოწვეულია 100 წითელარმიელი.

— **„ფარული ქორწინება“.** დღეს რუსთაველის თეატრში საოპერო სტუდიის მიერ წარმოდგენილი იქნება „ფარული ქორწინება“. დირიჟორი ი. ფალიაშვილი, დადგმა მარჯანიშვილისა და ახმეტელის.

— **ოპერის თეატრში** დღეს წარმოდგენილი იქნება „ფაუსტი“. მარგარიტას პარტიას შეასრულებს ნ. ვალაცი.

— **ცირკში**—ძმ. ეფიმოვების ცირკის ახალი დასი.

— **გენრიხ ნეიჰაუზის კონცერტი.** 20 იანვარს რუსთაველის საკონცერტო დარბაზში გაიმართება პიანისტ-ვირტუოზის გენრიხ ნეიჰაუზის კონცერტი.

— **„მჭედელი მიქავა“.** სახკინმრეწველობის ახალი კინო-სურათი „მჭედელი მიქავა“ უკვე მზათ არის. საჩვენებლათ გამოვა თებერვალში.

— **„სისხლი და სილა“.** ამ დღეებში კინო „აპოლო“-ში ნაჩვენები იქნება ახალი სურათი „სისხლი და სილა“ რუდოლფ ვალენტინის მონაწილეობით.

— **ვიქტორ დოლიძის** მუსიკის საღამო გაიმართება ამ დღეებში.

— **კამერული საღამოები.** მიმდინარე სეზონში „ჰაიარტუნში“ სისტემატიურათ გაიმართება კამერულ მუსიკის საღამოები.

— **ბაქოს მუშათა თეატრი.** წელს ბაქოს მუშათა თეატრს შეუსრულდა არსებობის 5 წლის თავი.

— **„სალამო-მასკარადი“.** იანვრის ბოლო რიცხვებში ოპერის თეატრში წარმოდგენილი იქნება ვერდის ოპერა: „სალამო-მასკარადი“, რომელშიაც იმღერებს ახალგაზრდა მომღერალი დ. ანდღულაძე.

— **„დურუჯი“.** 29 იანვარს რუსთაველის თეატრში გაიმართება საზეიმო წარმოდგენა კორპორაცია „დურუჯი“-ს დაარსებიდან 3 წლის შესრულების თავზე.

— **„ვინ არის დამნაშავე“.** თბილისის კინოებში ნაჩვენები იქნება შემდეგი კვირიდან.

დღეს კინოებში

— აპოლო—„მძიმე წლები“.
— პალასი—„ჯალათები“.
— სოლეი—„ორი პრეტენდენტი“.
— არფასტო—„სიყვარულის თვალები“.
— მინიონი—„თავდასხმა ვირგინის ფოსტაზე“.

ქრონიკა

აღმასკომში

— **სკოლების შეკეთება.** აღმასკომის კეთილმოწყობის განყოფილების სამაზრო სექცია ამჟამად მაზრაში აწარმოებს სკოლების შეკეთებას. ამ მიზნით გადადებულია 22.000 მან.

— **მიწის ქვეშა მავთულის გამოცვლა.** ტრამვაის დირექცია შეუდგა მიწის ქვეშა მავთულის გამოცვლას.

— **წ.-კ. უცოდინარობა.** თბ. მაზრაში, უკანასკნელ ცნობების მიხედვით ითვლება 36.000 წ.-კ. უცოდინარი კაცი.

— **განათლების განყოფილების კოლეგიაში** თბ. საბჭოს განათლების სექციამ თავის წარმომადგენლათ დანიშნა ამხ. ტიგრან ათაბეკოვი.

ჯანსახკომში

— **საექიმო დახმარება ომში დასახიჩრებულებს.** ჯანსახკომის განკარგულების თანახმად ომში დასახიჩრებულებს და მათი ოჯახის წევრებს საექიმო დახმარება უნდა ეწეოდეთ ადგილობრივ საშუალებით.

სხვადასხვა

— **ახალი კოოპერატივი.** თბილისში დაარსდა მებაღე-მებოსტნეთა კოოპერატიული გაერთიანება „მებაღე“.

— **ადგილობრივ მნიშვნელობის** გზების გაყოფაზე დღევანდლამდე დახარჯულია საქართველოში 14 ათასი მანეთი.

კრებები და მოხსენებები

— **პროფ.** თვალჭრელიძე 14 იანვარს საღამოს, განათლების მუშაკთა სახლში წაიკითხავს ლექციას მინერალოგიის შესახებ.

— **იურიდიულ საზოგადოებაში** ხუთშაბათს, 14 იანვ-ს, საღამოს 8 საათზე, იუსტიციის სახალხო კომისარიატის საკანონმდებლო განყოფილების კონსულტანტი ამხ. ხანკალამოვი გააკეთებს მოხსენებას საქორწინო, საოჯახო და სამეურვეო კანონთა კოდექსის პროექტზე.

— **განათლების მუშაკთა სახლში** დღეს, საღამოს 5 საათზე პროფწრის მუშაობა ამხ. ცინცაძის ხელმძღვანელობით, საღამოს 5 საათზე—პიონერ ხელმძღვანელთა სემინარი.

შემთხვევები.

— **უეცარი სიკვდილი.** 12 იან. ღამით პანასევიჩის ქუჩაზე უეცრად გარდაიცვალა მარიამ კნოროზოვა.

— **შეპყრობა.** 11 იან. შეიპყრეს მოქ. მარტიროსოვი ჯიბგირობისათვის.

— ამავე დღეს შეიპყრეს მძარცველები ისაკ ბალოევი და დიონიზ ბოროზიური.

— **ქურდი მოსამსახურე.** 12 იან. ცხაკაიას ქ. № 14 რაისა მხითაროვის ბინა გაქურდა მისივე მოსამსახურემ მარჯომ.

— **ქურდობა.** 12 იან. ვლადიმერის ქ. № 17 ადგილობრივ შეიპყრეს საბი საბაევი ნაქურდალი ნივთებით.

— ამავე დღეს კახეთის ქ. № 4 გაქურდეს გ ურკ ისაევის დარაბა.

— ამავე დღეს პავლეჩინის ქ. № 6 გაქურდეს ირინა მირზოევის ბინა.

— ამავე დღეს ზაჰესში გაქურდეს ქრისტეფორე პეჯინაძის ბინა.

წერილი რედაქციის მიმართ

ამხ. რედაქტორო!

გთხოვთ მოგვცეთ საშუალება, რათა თქვენი გაზეთის მეოხებით ულრმესი მადლობა გამოუცხადოთ განათლების სახალხო კომისარს ამხ. დავით კანდელაკს იმ დახმარებისათვის, რომელიც იქნა მის მიერ გაწეული ბაქოში გამგზავრებულ სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიური ფაკულტეტის სტუდენტთა ექსკურსიისათვის.

ექსკურსანტთა დავალებით:

დ. გვაზავა და მ. ცაგარეიშვილი.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

ბრძანება № 5

საქართველოს საგანგებო კომისიისა

§ 1

საბჭოთა საქართველოს ტერიტორიაზე იარაღის ტარების და შენახვის ნებართვები, რომელიც გაცემული იყო დღემდის ამ ბრძანების გამოქვეყნების შემდეგ, გაუქმებულად ითვლება.

§ 2

ყველა მოქალაქეებს და აგრეთვე საზოგადოებრივ და პროფესიონალურ დაწესებულებებს და ორგანიზაციებს, რომლებსაც იარაღი აქვთ თავიანთ თანამშრომლებისათვის (კასირების, არტელშჩიკების, კონტროლიორების, ძვირფას ნივთების მზიდველ აგენტებისათვის) მისაცემად სამსახურისს მოვალეობის ასრულების დროს, ვალდებული არიან მათ განკარგულებაში არსებული იარაღი გაატარონ რეგისტრაციაში საქართველოს საგანგებო კომისიაში და უკანასკნელისაგან მიიღონ იარაღის ტარების და შენახვის სათანადო ნებართვები.

§ 3.

იარაღის რეგისტრაცია საბჭოთა საქართველოს ტერიტორიაზე, გარდა აჭარისტანისა და აფხაზეთისა, სწარმოებს საქ. საგანგებო კომისიის კომენდატურის მიერ ამა ბრძანების გამოქვეყნების დღიდან 1926 წ. 15 მარტამდე.

შენიშვნა: აჭარისტანის და აფხაზეთის მოქალაქეთა იარაღის რეგისტრაცია უნდა მოხდეს აჭარისტანის და აფხაზეთის საგანგებო კომისიებში.

§ 4.

ის პირნი, რომლებიც იარაღს არ გაატარებენ რეგისტრაციაში აღნიშნულ ვადაზე, პასუხისგებაში იქნებიან მიცემული იარაღის უკანონოთ შენახვისათვის.

საქ. საგანგებო კომისიის თავმჯდომარე—კვანტალიანი.

საქ. საგანგ. კომისიის ოპერატ.-ადმინისტრ. ნაწილის უფროსი—სტანსკი.

ქ. თბილისი, 1926 წ. 9 იანვარი.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

— ქალაქის რაიკომი იუწყება: ნაცვლად უჯრედის კრებებისა (პარასკევს, 15 იანვარს) შესდგება უჯრედების ჯგუფობრივი შეერთების კრებები, სადაც წაკითხულ იქნება მოხსენებანი **მეთოთხმეტე ყრილობის შესახებ** (ცეკას პოლიტანგარიში) შემდეგი წესით.

1. მბეჭდავთა უჯრედები—15 იანვარს, საღ. 6 საათზე, ახალ მუშათა კლუბში. მომხ.—ამხ. **ნაზარეტიანი.**
2. ც. საბპარტსკოლებისა, სახ. უნ. და ქართ. მუშფაკის უჯრედების—15 იანვარს, საღ. 6 საათზე, ქართ. მუშფაკის ბინაზე, მომხ.—ამხ. **ოკუჯავა.**
3. ა | კ. უნ., სახ. პოლიტეხ., რუს. და სომხ. მუშფაკების, საგ. კომისიის მერვე პოლკის უჯრედების—15 იანვარს, საღ. 6 ნახ. საათზე, კლუბ „კატორში“. მომხ.—ამხ. **ლუკაშინი.**

დანარჩენ უჯრედების კრებების შესახებ ცალკე იქნება გამოცხადებული.

ქალაქის რაიკომი.

— ქალაქის რაიკომის აღმრიცხ.-გამნაწ. განყოფილება სთხოვს ქვემოჩამოთვლილ ამხანაგებს, გამოცხადდენ 15 იანვარს, დილის 10—11 საათზე ამხ. ჯაფარიძესთან:

მხითარიანი აპრეს, იზატოვი გაზიტ იზატ-ოღლი, აივაზოვი ნიკ., მურიმანოვი კ., მგალობლიშვილი მიხ., გვეჭკორი, ვარფალომოვი, ჯოჯუა ლეონი, ვაშაკიძე ნიკ.

— სახელმწიფო უნივერსიტეტის ახ. ლენ. კ. კ. ბიურო კოლექტივი ამით აცხადებს ყველა უჯრედების წევრების და კანდიდატების საყურადღებოდ, რომ დღეს, 14 იანვარს, დღის 4 საათზე, მოწვეულია გაერთიანებული უჯრედების კრება.

— მეორე რაიკომი იუწყება: დღეს, 14 იანვარს, საღამოს 5 საათზე, რაიკომის ბინაზე მოწვეულია მეორე რაიკომის პრეზიდიუმის სხდომა.

დასწრება სავალდებულოა პრეზიდიუმის ყველა წევრებისა და კანდიდატებისთვის.

განცხადებები

ღრმად დამწუხრებული მამიდა—ეკატერინე, მამიდაშვილები: დავით, მეუღლითურთ და გრიგოლ სულიაშვილები, აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ

ტრიფონ რომანოზის ძე თაბუკაშვილის

გარდაცვალებას.

ნ. 594 1—1

პლატონ ირაკლის ძე ლეჟავა ღრმა მწუხარებით აუწყებს ამხანაგებს და მეგობრებს, რომ ორშაბათს ღამის 12 საათზე გარდაიცვალა ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ, საყვარელი მასწავლებელი და მეგობარი

ტრიფონ რომანოზის ძე თაბუკაშვილი

სამოქალაქო პანაშვიდი შაბათს, 16 იანვარს, საღამოს 6 საათზე, განათლების მუშაკთა სახლში, კალოუბნის ქ., ქალაქის საკომენდანტოს პირდაპირ. 1—1 1149

ღრმად დამწუხრებულნი მშობლები ნიკოლოზ სევერიანეს ძე და პაშა მიხეილის ასული კოპალეიშვილნი აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ უსაყვარლესი შვილის

რეგინა (ცაცუკი) კოპალეიშვილის

უდროოდ დაკარგვას. 1—1 ნ. 588

ყოველთვიური-სანიტარულ-პოპულიარული ჟურნალი

„საუნჯე“-ს

რედაქცია ამით აცნობებს თავის თანამშრომლებს, რომ 9 იანვარს ღამის 3 საათზე გარდაიცვალა საპატიო თანამშრომელი ექიმი

ვანო ფუხაშვილი

დაკრძალვა ხუთშაბათს, 14 იანვარს, ვერის სასაფლაოზე, გამოსვენებ ბინიდან 3 ნახ. საათზე, ჭავჭავაძის ქ. № 20. 1—1 1140

რუსთაველის თეატრი: დღეს, 14 იანვარს

ქართულად ოპერა

„ფარული ქორწინება“

დგამს საოპერო სტუდია

შაბათს, 16 იანვარს

პირველად ამ სეზონში

გმირი

კვირას, 17 იანვარს

დეზერტირკა

ნ. 573 6—3

სახელმწიფო ოპერა დღეს, 14 იანვარს

ფაუსტი

ვალპურგიის ღამით

პარასკევს, 15 იანვარს სანდრო ინაშვილის მონაწილეობით „აბესალომ და ეთერი“

შაბათს, 16 იანვარს პრემიერა „რუსლან და ლიუდმილა“

ნ. 578 4—2

სამშაბათიდან, 19 იანვრიდან

კინოებში

„აპოლლო“

„არტისტო“

„სოლეი“

საქართველოს კინო-მრეწველობის სააქციონერო საზოგადოების ახალი სურათი

„ვინ არის დამნაშავე“

(უაილდ-ვესტის მხედარი)

ნ. ნაკაშიძის პიესის მიხედვით

რეჟისორი ა. რ. წუწუნავა

ოპერატორები (ვ. ენგელსი
(ს. ზაბოზლაევი

მთავარ როლებში (ნ. ვაჩნაძე, ს. ჟოზეფი,
ც. წუწუნავა, ე. ჩერქეზიშვილი,
კ. მიქაბერიძე, დ. ყიფიანი,
ნ. კახიძე, კ. ხინთიბიძე,
დ. ბ. ტრაპაიძე.

ნ. 596 1—1

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

გამგეობა

აცხადებს, სტუდენტთა საყურადღებოდ

რომ კურსიდან კურსზე გადასასვლელი გამოცდების (ზამთრის) სესია გრძელდება 1-დან 15 თებერვლამდე. აღნიშნულ სესიაში გამოცდის ჩაბარების მსურველნი ვალდებულნი არიან ჩაეწერონ აუცილებლად 27 იანვრამდე.

ნ. 560—3—3

თბილისის სატელეფონო ქსელის

უფროსი

აცხადებს, რომ ცენტრალურ სატელეფონო ქსელის ზედმეტად დატვირთვის გამო სრულებით

შეწყვეტილია განცხადებების მიღება

ქსელთან შეერთების შესახებ სადგურის და მიწისქვეშა ხაზების გაფართოებამდე. ახლანდელი აბონენტები გადაყვანილი იქნებიან 6 კომუტატორში და ყოველ ცალკე შემთხვევაში აბონენტებს ტელეფონით ეცნობებათ მათი ნომრის გამოცვლა.

თბილისის სატელეფონო ქსელის უფროსი—მოდებაძე.

ნ. 587 1—1

აპოლლო არტისტო სოლეი

ნ. 574 0—10

პირველად თბილისში ამერიკის გამოჩენილი მსახიობი რუდოლფ ვალენტინო სურათში.

„КРОВЬ И ПЕСОК“

სოლოს ვიოლონჩელზე შეასრულებს მალუმცევი.

შეუდარებელი **კონსტანცია ტოლმეჯ** 1925 წ.

გამოცემულ საუკეთესო სურათში „მეამბოხე“

სიმებიანი ორკესტრი მ. ბელსკის ლოტბარობით, სოლისტი—იაკობ ბროდსკი.

პრემიერა „სტეფან ხალტურინი“

სამშაბათიდან 19 იანვრიდან „არტისტო“, „აპოლო“, „სოლეი“

„ვინ არის დამნაშავე“

(უაილდ-ვესტის მხედარი)

საქართველოს ფინანსთა სახალხო კომისარიატის

არაპირდაპირ გადასახადთა ქვე-განყოფ.

ამით აცხადებს, რომ მიმდინარე იანვრის 15, დილის 10 საათზე, ქსენიევის ქუჩაზე სახლი № 10 დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა

შემდეგი ქონების: 1) ორი საგილზო, საჭრელი და გილზების გასატენი მანქანა, დინამომანქანა, ფოთლოვანი თამბაქო, სხვადასხვა თამბაქოს ნაწარმოები, ქარხნის მოწყობილება და სხვა ქონების გასასყიდათ.

არაპირდაპირ გადასახადთა ქვე-განყოფი-

1—1 ნ. 590 ფილების გამგის დრ. თან. ალმას. ცომაია.

თბილისის ქალაქის ლომბარდი (ლორის-მელიქოვის ქ. № 8) ამით აცხადებს, რომ კვირას, 17 იანვარს, დილის 11 საათზე დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა

ვადა გასულ გირაოებისა. გასასყიდი გირაოების ნომრები გამოცხადებულია ლომბარდის დარბაზში. 1—1 ნ. 584

ქ. თბილისის მე-9 უბნის ფინინსპექტორი აცხადებს, რომ ამა წლის **17 იანვარს, დილის 10 საათზე, ხაზინის ქუჩაზე,** სამფინგანის შემოსავალ-გასავლის სალაროს შენობაში დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა

სახელმწიფო გადასახადების ნარჩენების დასაფარავად საოჯახო ნივთებისა: ტანისამოსის შკაფი, მარმარილოს პირსაბანი, რბილი ავეჯი და სხვა, რომელიც შეფასებულია 50 მან.

ვაჭრობაში მონაწილეობის მსურველმა უნდა წარმოადგინოს გირაო შეფასების თანხის 10 პროც.

მე-9-ე უბნის ფინინსპექტორი **დევიძე** 1—1 ნ. 591

სახელმწიფო სახალხო მუსიკალური სასწავლებლებში მე-2-ე ნახევარი წლისათვის

გრძელდება მოწაფეების მიღება ფორტეპიანოს, სიმღერის, სკრიპკის, ვიოლონჩელის და მუსიკის თეორიის კლასში

სასწავლებლების მისამართი:

1-ლი კეცხოველის ქ. № 6 (ყოფ. ლორის-მელიქოვის).
მე-2 ე კალინინის ქ. № 45 (ყოფ. ნიკოლოზის ქ.)
მე-3 ე კალინინის ქ. № 83 (ყოფ. ნიკოლოზის ქ.)
მე-4 ე ლუნაჩარსკის ქუჩა № 6 (ყოფ. კადეტის ქ.)
მე-5 ე მოსკოვის ქუჩა № 16 | 2.

1150 2—1

ქუთაისის 1 უბნის სასამართლოს აღმასრულებელი ს. ბოჭორიშვილი

აცხადებს, რომ 20 იანვ. 1926 წ. დილის 10 საათზე დანიშნულია ქ. ქუთაისში გოგებაშვილის ქუჩაზე სახლი № 16 საჯარო ვაჭრობა ელოხაიმ ხახიაშვილის შენობის, რომელიც შეიცავს უფლებას ნახევარ ნაწილზე ერთი ორსართულიანი ქვითკირის სახლისას და შესდგება შვიდი საცხოვრებელი ოთახისაგან ორი სამზარეულოსაგან და ორი შუშაბანდისაგან, აგებულის სავზოვე მიწაზე გოგებაშვილის ქუჩაზე. შეფასებულის ნახევარი ნაწილი ათასი მან. საჯარო ვაჭრობა დაიწყება შეფასებული თანხიდან და ყველა იმ პირმა, ვისაც სურს მონაწილეობა მიიღოს საჯარო ვაჭრობაში უნდა წარმოადგინოს ცნობები აღნიშნული 311 მუხ. სამ. საპ. კოდექსისა და 10 პროც. შეფასებული თანხის საწინდარი.

გარე-უბნის სასამართ. აღმასრულებ. ქ. ოდიშარია

აცხადებს, რომ ის 27 იანვარს 1926 წ. სოფ. ოქროყანაში საჯარო ვაჭრობით გაყიდის დავით ამირანაშვილის მოძრავ ქონებას—სარკეს, კამოდს, შკაფს, ფარდაგს, სკამებს და ორ ძროხას, შეფასებულს 170 მან. დასაკმაყოფილებლად მაკა მეგალიშვილისა 324 მან. ვაჭრობა დაიწყება შეფასებიდან.

ელექტრონით და სინათლით

სამკურნალო

სხივებით რენტგენი დ'არსონვალი

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის

ნერვიულ დაავადებით ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ

მიღება 2—3 და 6—8 სათ. თბილისი, ყორღანოვის ქ. № 20.

ექიმი **გ. მ. ფხალაძე**

კანისა და ვენერიული სნეულებანი

(სიფილისი „606“—„914“)

ავადმყოფების მიღება: კაცების—დილით 7—9 საათ.—საღამოთი 7—9 საათ. ქალების—საღამოთი 6—7 საათ. მისამართი: მოსკოვის ქ. № 4, ყოფ. კაბინეტი რეზო მაჩაბლის ზემმელის აფთიაქის პირდაპირ.

ექიმი **თოდაძე**

ქირურგიული და უროლოგიური ავადმყოფობანი (თირკმლები-ბუშტი, შარდის ბუშტი, შარდსადინარი, მამაკაცის სქესობრივი უძლურება,—მკურნალობა გაახალგაზრდავების თანამედროვე მეთოდებით და სხვ.), ცისტოსკოპია, ურეთროსკოპია, პიელოგრაფია.

დილის 8—9 საათ., საღამოს 4—6 საათამდე. ბელგიის ქუჩა № 1.

დოქტორი **გ. მეგრაბიანი**

ფილტვების, გულის და ციების

წამლობა ხელოვნური მთის მზით პნევმოტორაქსით და ტუბერკულინით, **რენტგენის**, და სინათლის-ელექტრონის სამკურნალო კაბინეტში—იღებს 9—1 საათ. დილ, 5—8 საღ. ბებუთოვის ქუჩა, № 23.

ექიმი **ნ. ა. ჯანდიერი**

შინაგანი, ბავშვთა და ქალთა სნეულებანი

მიღება ავადმყოფ. დილით 8-ნახ.—9 ნახ საათამდის, საღამოთი 4—7 საათამდის ყოველდღე.

სომხის ბაზარი, № 3. ერევნის მოედნიდან მეორე სახლი. 25—1

ექიმი **ა. ს. შონ-ირტელი**

მიხეილის პროსპექტი, № 10, (ვორონცოვის ხიდის მახლობლად ყოფ. ბო-მონდი). ქალთა საქმეთა, სიფილისის და ქირურგიულ ავადმყოფობათა (სიმსივნეების, ბუასილის, სქესობრივი სისუსტე, ტრიპერის) სპეციალისტი. ავადმყოფების მიღება დილის 8 საათიდან 12 საათამდე და 4—8 საათამდე

კბილის ექიმი

ფ. თ. რატიან თუხარელისა

კბილის და ღრძილის ავადმყოფობა ხელოვნური კბილები. მიღება 12—4 საათამდე და 5—8 საათ. ბარიატინის ქუჩა № 18 (ალექსანდროვის ბაღის პირდაპირ).

მედიცინის დოქტორი

ა. ა. მონსე

დაბრუნდა და განაახლა მიღება. **მოზრდილთა და ბავშვთა შინაგანი და ნერვიულ სისტემის ავადმყოფობანი**

მიღება დილის 10—12 საათამდე, საღამოს 5—7 საათამდე, გარდა კვირა დღისა.

კამოს ქ. № 17, ზემო სართული (ყოფ. დიდი მთავრის ქ., ვორონცოვის ხიდის მახლობლად). 25—1

ექიმი **ი. ი. ბერიშვილი**

ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა. დილით 9—1 საათ. საღამოთი 5—8 საათ.

ქალებისთვის ცალკე შესავალი.

სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ მიხეილის შესახვევი № 8.

1138 25—1

ექიმი **არსენ ვადაჭკორია**

დაბრუნდა აგარაკიდან და ღებულობს ქალთა და შინაგან სენით ავადმყოფთ. აგრეთვე უწევს სამეანო დახმარებას დილის 8—10 ს., საღამოს 4—7 ს. ოლღას (ლენინის ქუჩა) № 35.

ექიმი **ი. ი. ჭეიშვილი**

სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფ იღებს ავადმყოფ. დილ. 8—9 საათ. და საღ. 6—7 საათ. კამოს ქუჩა № 72 (ყოფილი დიდი მთავრის ქუჩა).

ხელისმომწერლებმა
[illegible]
მიმართონ

„კომუნისტი“-ს

მთავარ კანტორას

რუსთაველის პროსპექტი № 24

ტელეფონი № 10—49

ექიმი

დ. ა. გედევანიშვილი

იღებს ავადმყოფებს დაავადებულ საერთო ნერვიულ სისტემის სენით, აგრეთვე მკურნალობს სულით ავადმყოფებს.

დილის 9—11 ს., საღამოს 4—5 ს.

ძნელაძის ქუჩა (ყოფილი საპიორნი) № 32. 25—1

ექიმი **გ. ნ. მაგაკიანი**

შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი

კუჭის და ნაწლავების ავადმყოფობის სპეციალური ექიმობა.

მიღება საღამოს 5—7 საათამდე. ბებუთოვის ქ. № 33.

ექიმი **მ. ა. ლუკოვეცკი**

სიფილისი, კანის და ვენერიული ავადმყოფობანი.

ავადმყოფების მიღება დილის 9 საათიდან—11 საათამდე და საღამოს 4 საათიდან—6 საათამდე. ქალების მიღება 1 საათიდან—2 საათამდე.

საპიორის ქუჩა № 35, ყოფილი კადეტთა კორპ. უკან.

ავადმყოფების მიღებას

პროფესორი

მ. წინამძღვრიშვილი

აწარმოებს დილის 9 ს-დან სრულ 10 ს-მდე და საღამოს 6—8 ს-მდე. კვირა დღეს არც ავადმყოფებს იღებს და არც რაიმე განმეორებითი რჩევებს აძლევს. ყოფ. ელისაბედის ქ. № 7, ხიდის მახლობლად ტელეფ. 14—56 989 25—1

ექიმი **ი. დ. თოფურიძე**

ლენინის ქუჩა (ყოფილი ნიკოლოზ.) № 33.

იღებს ავადმყოფებს

კანის, სიფილისი და ვენერიული (მწვავე და ქრონიკული ტრიპერი და აგრეთვე სასქესო ორგანოს ყველა გართულებანი) დილის 8—9 საათამდის, საღამოს 4—8 საათამდის.

ექიმი **კ. ი. ჯაღალოვი**

კანის და ვენერიული ავადმყოფობანი სიფილისი, შეშხაპუნება „914“

გონორეის და მისი შედეგების წამლობა ავადმყოფები მიიღება დილის 7—9 საათ. საღამოს 5-დან 9-მდე. მისამართი კამოს ქ. № 19 (ყოფილი დიდი მთავრის ქ.) ვორონცოვის ყოფილი ძეგლის მახლობლად.

ექ. **ე. მ. მძინარიშვილი**

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი

ავადმყოფების მიღება 1—2 ს. დღე და 6—8 ს. საღამოთი, ქალების და ბავშვების 5—6 ს.

მისამართი: რუსთაველის პროსპექტი № 18 (შესავალი კრუზენშტერნის ქუჩიდან). 25—1

დაიკარგა ს. ა. კ. კ. მთლიანი საკავშირო მანდატი № 4587 აკაკი ფიცხაშვილის სახელზე, ჩ. გ. 1144 1—1

დაიკარგა დამზღვევ სალაროს წიგნაკი № 68866—ხარიტონ სუპიტაშვილის სახელზე, ჩ. გ. 1145 1—1

დაიკარგა აღრიცხვის წიგნაკი ვასილ გიორგის ძე ოდილავაძეს სახელზე, ჩ. გ. 1147 1—1

დაიკარგა დამზღვევ სალაროს წიგნაკი № 55119 გრიშა დარციმელიას სახელზე, ჩ. გ. 1148 1—1

დაიკარგა მიმართვა თბილისის დამზღვევ სალაროდან გორის დამზღვევ სალაროს, ბავშვის მეტრიკული ამონაწერი და დამზღვევ სალაროს წიგნაკი იოსებ ბარნაბიშვილის სახელზე, ჩ. გ. 1143 1—1

დაიკარგა მედსანშრომის კავშირის წიგნაკი № 623 ექიმ დარია ბერეჟიანის სახელზე, ჩ. გ. 1115 1—1

დაიკარგა სიმწიფის მოწმობა ქუთაისის 1-ლი ტექნიკუმის დამთავრების შესახებ № 1433 ვალერიან ვასილის ძე ცხომელიძის სახელზე, ჩ. გ. ნ. 595 1—1

„სეკარის სითხე“

ორგანო-ტერაპევტიული ლაბორატორია **„გალენ-მოსკვა“**

დამზადებული პროფესორ ბიუხნერის მიერ

სასქესო ჯირკვლების ახალი თესლისაგან, ნებადართულია ჯანსახკომის მიერ, № 8362

დარიგება წამლის მიღების შესახებ:

ყოველგვარი ნევრასტენია, დაღლილობა, სიბერის გავლენა, მძიმე ავადმყოფობის შემდეგ ორგანიზმის სისუსტე,—ტიფის, ინფლუენცას, სიფილისის, მშობიარობის შემდეგ ავადმყოფობა, არტერიოსკლეროტიული ცვლილებანი მილებისა. კონსტიტუციონალური ავადმყოფობანი: სისხლნაკლულობა, ჭლექი, დიაბეტი, ხერხემლის გახმობა. ადვილად ითვისებს ყველა. არავითარი ზიანი არ მოაქვს ამ წამლის ხმარებას. ერიდეთ სიყალბეს. უსათუოდ მოითხოვეთ მწვანე ბანდეროლით, წარწერით: „კონტროლ“. სეკარის სითხე, გენერალური წარმომადგენლობა ამიერ-კავკასიაში—თბილისი, თავისუფლების მოედანი, № 2. იყიდება სახმედვაჭრობის ყველა აფთიაქების მაღაზიებში, სააფთიაქო სამმართველოებში და წითელი-ჯვრის აფთიაქებში ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებში. იგზავნება ფოსტითაც, ღირებულების 25 პროც. ბეს მიღებისთანავე, არა ნაკლებ 4 ფლაკონისა.

ფასი 2 მან. 50 კ. ფლაკონი

წერილები, შეკვეთები და ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით:

კოოპერატივ გალენის ამიერ-კავკასიის წარმომადგენლობას, თბილისი, თავისუფლების მოედანი (ყოფ. თამამშ. პასაჟი) № 2, მეორე სართული, განყ. 3.

Письма, заказы и деньги адресовать: Зак. Представительство Кооператива ГАЛЕН, Тифлис, пл. Свободы (б. пассаж. Тамамшева) второй эт., отд. 3.

ნ. 425 0—10

არ დაგავიწყდეთ

ნახევარი საათით ადრე
საჭმელის მიღებამდე
სეკარის სითხის მიღება

Алкогольная вытяжка из семенных желез животных
Органотерапевтический отдел лаборатории „Гален-Москва“ в Москве
Алкогольная вытяжка из семенных желез животных
Liquor testicularis spirituos
Лаборатория „Гален-Москва“ в Москве

ВЫТЯЖКА из СЕМЕННЫХ ЖЕЛЕЗ

„СЕКАРОВСКАЯ ЖИДКОСТЬ“

ОРГАНОТЕРАПЕВТИЧЕСКОЙ ЛАБОРАТОРИИ КООПЕРАТИВА „ГАЛЕН-МОСКВА“

ПРИГОТОВЛЕННАЯ ПО СПОСОБУ ПРОФ. БЮХНЕРА ИЗ СВЕЖИХ СЕМЕННЫХ ЖЕЛЕЗ.

Разрешена Наркомздравом за № 8362

Показание для применения:

НЕВРАСТЕНИЯ ВО ВСЕХ ВИДАХ.

Переутомление, старческая дряхлость, слабость организма после перенесенных истощающих болезней: ТИФА, ИНФЛЮЭНЦЫ, СИФИЛИСА, ПОСЛЕРОДОВЫХ ЗАБОЛЕВАНИЙ. Артериосклеротические изменения сосудов, подагрические заболевания

ВСЕ ВИДЫ ПОЛОВОЙ СЛАБОСТИ

Конституциональные заболевания: малокровие, туберкулез, диабет, спинная сухотка

Легкая усвояемость, отсутствие вредных побочных действий при применении

ОСТЕРЕГАЙТЕСЬ ПОДДЕЛОК обязательно требуйте с зеленой бандеролью и надписью: КОНТРОЛЬ Секаровская жидкость. Генеральное представительство в З.С.Ф.С.Р. Тифлис, пл. Свободы 2. Имеется в продаже во всех магазинах Госмедторга и аптеках Аптекупра

Цена флак. 2 р. 50 к. при выписке 4 и более флак. пересылка за наш счет

Высыл. почтой при получ. задатка 25 %

Письма заказы и деньги адресовать:

Закавказское Представительство Кооператива Гален — Тифлис, площ. Свободы (в пассаж Тамамшева) второй этаж. Отд. 22.

Вход против высш. гост. „Кавказ“